იმისათვის, რომ ჩვენ დაგვედგინა ქართული ტურისტული ფირმებისა დამოკიდებულება ტურისტული პროდუქტების შემუშავება-რეალიზაციის პროცესში ფასეულობებთან დაკავშირებით, ამისათვის შევისწავლე უცხოური და ქართული ტურისტული კომპანიები და მივიღე შემდეგი შედეგები.

უცხოური ტურისტული კომპანიები ეფექტურად იყენებენ თავიანთ ფასეულობებს პრაქტიკაში. მაგალითად:

Coral Travel ქმნის დასვენების და ტურიზმის კულტურას, რომელიც დაფუძნებულია კლიენტისა და პარტნიორის ნდობასა და პატივისცემაზე. მათ მიერ შემოთავაზებული ფასეულობები არის საიმედოობა, გულახდილობა, ბიზნესის სიმტკიცე; მომხმარებლისათვის მაღალი სერვისის შეთავაზება; ღირებული და მაღალხარისხიანი საქონლის შექმნა და ხარისხის ახალი სტანდარტების შემუშავება;

ტურისტული კომპანია „HOT“ მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა ფასეულობებს. ესენია: ერთობლივად მოქმედება; იყოს მონინავე, გულახდილი და პატიოსანი; მომხმარებელთა საჭიროებების უზრუნველყოფა მათთვის ყოველთვის პრიორიტეტულია; შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა - ისინი მოქმედებენ როგორც მათი მომხმარებლების ადვოკატი; უწყვეტი პარტნიორობის დამყარება მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან;

იყვნენ აქტიური და კრეატიული - იმისთვის, რომ მომხმარებლებს შესთავაზონ განსაკუთრებული საქონელი და მომსახურება; დასახულ მიზანს ასრულებენ ბრწყინვალედ და ატყობინებენ მომხმარებლებს იმის შესახებ თუ როგორ აკეთებენ ამას და რა გაკეთდა ამ მიმართულებით.

ტურისტული კომპანია „Apus Peru” თავიანთ მომხმარებლებს სთავაზობს - უნიკალურობა - ინოვაციურობა და კრეატიულობა, დაუვიწყარი გარემოებები, პატიოსნება, ქველმოქმედება. ტურისტული კომპანია Amadeus - ის ძირითადი ფასეულობებია: მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა - ისინი უსმენენ თავიანთ მომხმარებლებს გულისყურით და მუშაობენ ერთად როგორც თანამშრომლები, ისინი ყოველთვის ასრულებენ პირობას და ისინი მაქსიმალურად არიან ორიენტირებულნი თავანთი მომხმარებლების წარმატებაზე. ჯგუფური მუშაობა - ისინი პატივს სცემენ ყველა თანამშრომლის იდეას. პასუხისმგებლობა - ისინი კომპანიის რესურსებს ფრთხილად განაგებენ და გამუდმებით ახდენენ საკუთარი უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას. სწრაფვა წარმატებისაკენ - ისინი სწავლობენ საკუთარ შეცდომებზე, არიან ნოვატორები და ყოველთვის მიესალმებიან ცვლილებებს.

„Georgica Travel“ - ტურისტული კომპანია დაარსდა 1998 წელს. კვალიფიციურმა პერსონალმა და შრომისმოყვარე თანამშრომლებმა განაპირობა მისი პოზიციების გამყარება საქართველოს ტურისტულ სექტორში. ისინი თავიანთ მომხმარებლებს სთავაზობენ მაღალი ხარისხის მომსახურებას და ქმნიან მათთვის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს თავიანთი ტურებით. ისინი წარმატების გარანტიად თავიანთ კვალიფიციურ და გამოცდილ თანამშრომლებს მიიჩნევენ. მათ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აქვთ გრძელვადიანი და სანდო პარტნიორობის ისტორია. ყველა მათი ტური ორიენტირებულია გრძელვადიან შთაბეჭდილებებზე და ცდილობენ ყველა მათი მომხმარებელი სახლში დაბრუნდეს სრული შთაგონებებით.

„VIP Travel“ - ტურისტული კომპანია 2007 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს საბაზრო სივრცეში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს რაც შეიძლება ბევრი ტურისტის ჩამოყვანა საქართველოში. თავიანთი საქმიანობის პროცესში მათი მთავარი ღირებულება მომსახურების ხარისხზე და ოპერატიულობაზე ორიენტირებულია. მათთვის

მთვარია, რომ ყველა საქართველოში ჩამოსულმა ტურისტმა მიიღოს მაქსიმალური კმაყოფილება, დადებითი ემოციები და რაც მთავარია შეიყვაროს საქართველო და ქართველი ხალხი. ამ ფორმასთან ერთად თქვენ შეძლებთ განახორციელოთ თქვენი ოცნებები და აყვეთ ცხოვრების რიტმს. მათი მთავარი მიზანი მომხმარებლის დაკმაყოფილება და მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებაა. ქართული ტურისტული კომპანია „Discover Georgia” 2011 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ტურისტულ ბაზარზე. მათი ფასეულობები საკმაოდ მრავალფეროვანია. პროფესიონალიზმი, ინოვაცია, სანდოობა; მრავალფეროვნება.

ტურისტული კომპანია In Geo Tour დაარსდა 2005 წელს. მათ ძირითად ფასეულობას მათი მომხმარებლები წარმოადგენენ. ყველა მომხმარებლისათვის არსებობს 24 საათიანი ცხელი ხაზი. მათ ჰყავთ ასობით ერთგული მომხმარებელი და თითოეულ მომხმარებელთან მათ გააჩნიათ ინდივიდუალური მიდგომა. მომხმარებლების 80% კვლავ ირჩევს მათ მომსახურებას, რაც მათი მომსახურების მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

ამგვარად, უცხოური ტურისტული ფირმების - „Nippon Travel Agency”, „Luxury Travel”, „House of Travel”, „Nomad Adventure Tours” და ა. შ. სხვათა მარკეტინგულ სტრატეგიებში ფასეულობებზე ორიენტირების შესწავლით ნაჩვენებია, რომ ისინი გაცილებით მეტად სწავლობენ თანამედროვე მომხმარებლებს, მეტ ყურადღებას აქცევენ ფასეულობების ჯაჭვის შექმნას, მის მრავალფეროვნებას მომხმარებლების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, რაც წარმატებით აისახება მათ მარკეტინგულ სტრატეგიებში.

უცხოური ტურისტული ფირმები გაცილებით უფრო ხშირად და მაღალ დონეზე ახდენენ ფასეულობებზე ორიენტირების საკითხების შესწავლასა და დახვეწას, ვიდრე ქართული ტურისტული ფირმები. არსებული მონაცემების შესწავლით და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით ცხადი ხდება, რომ უცხოურ ტურისტულ ფირმათა 90% იყენებს ფასეულობებს სტრატეგიებში და მათთვის მნიშვნელოვანია მათზე ორიენტირაცია, ხოლო ქართულ ტურისტულ ფირმათა შემთხვევაში, მხოლოდ 55.6%-თვის არის იგი მნიშვნელოვანი.

როგორც უკვე არაერთხელ ავლნიშნეთ, ფასეულობები წარმოადგენს ფირმისათვის იმ სტრატეგიის იმ ძირათად ელემენტს, რომელიც მოუტანს მას კონკურენტულ უპირატესობას. უცხოური ფირმები აქტიურად იყენებენ ფასეულობებს მათ მარკეტინგულ საქმიანობაში მომხმარებელთა მოსაზიდად და მათი კმაყოფილების დონის ასამაღლებლად, ამ ფასეულობების შესრულების ერთგულები არიან. რაც შეეხება ქართულ ტურის-

ტულ კომპანიებს, მათი ძალიან მცირე რაოდენობა ეყრდნობა ფასეულობებს. ზოგიერთი ტურისტული სააგენტოს ვებ-გვერდზეც კი შეუძლებელია ფირმის ფასეულობების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ძირითადად ფასეულობებს მეტნაკლებად იყენებენ ის ქართული ტურისტული კომპანიები, რომლებიც არიან ლიდერები ბაზარზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ფასეულობები ხშირ შემთხვევაში პირობითია.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **კოტლერი ფ., არმსტრონგი გ.**, „მარკეტინგის საფუძვლები“, თარგმანი ინგლისურიდან, თბილისი 2015;/ **ოტლერ ., რმსტრონგ .**, „რინციპლეს ოფ მარკეტინგ“, თრანსლატიონ ფრომ ნგლისჰ, თბილისი 2015;
- [2] **დოლიკაშვილი ლ.**, „ტურიზმის საფუძვლები“, თბილისი 2013;/ **ოლიკასჰვილი .**, „რინციპლეს ოფ თოურისმ“, თბილისი 2013
- [3] **Восколович Н. А.**, „Маркетинг туристических услуг“, Москва 2001;
- [4] **Котлер Ф.**, „Маркетинг в третьем тысячелетии: как создать, завоевать и удержать рынок“, Пер. с. англ. Москва;
- [5] **Котлер Ф.**, „Маркетинг 3.0. От продуктов к потребителям и далее – к человеческой душе“, Москва 2011.

საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესის დინამიკა და ტენდენციები

DYNAMICS AND TRENDS OF CURRENT PROCESSES IN BANKING SECTOR OF GEORGIA

გიორგი კათამაძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

GIORGI KATAMADZE

PhD Student, Batumi
Shota Rustaveli State University

ანოტაცია

კვლევის მიზანია ბოლო პერიოდში საქართველოს საბანკო ბაზარზე მიმდინარე პროცესების ანალიზი, მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, ქვეყნის ეკონომიკაზე კომერციული ბანკების საქმიანობის გავლენის ანალიზი და ბანკების გაერთიანებების პროცესის შეფასება-საგარეულო შედეგების პროგნოზირება. კვლევაში მოცემულია საფინანსო ინსტიტუტების ზრდადობა-კლებადობის დინამიკის ანალიზი და ამ პროცესის გავლენა ზოგადად ეკონომიკურ პროცესებზე.

საკვანძო სიტყვები. ბანკები, მსხვილი ბანკები, მცირე ბანკები, დაკრედიტება, ფინანსები, ეკონომიკა, კრიზისი.

ABSTRACT

The present research paper aims to analyze the current processes of banking sector in Georgia, to determine their causal connection, to analyze the influence of commercial banks on the economy of the country. The study provides analysis of the dynamics of growth and decrease of financial institutions in Georgia and the impact of this process on general economic processes.

keywords. Bank, Large Banks, Small Banks, Lending, Finance, Economics, Crisis.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე იხვეწება ფინანსური ოპერაციების შესრულების მეთოდები და საშუალებები, რომლის პირდაპირპროპორციულად ვითარდება ბანკები და ზოგადად ძლიერდება საბანკო ინსტიტუტი. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ბანკი გახდა მძლავრი და ძლიერ ეფექტიანი ბერკეტი, რომელსაც შეუძლია სწრაფად და მარტივად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკაზე, სწორედ ეს ფაქტორია უმთავრესი საფუძველი იმისა, რომ საბანკო ზედამხედველობა ხორციელდებოდეს მაქსიმალურად მაღალკვალიფიციურად და უწყვეტად.

გლობალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ღია და სენსიტიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე როგორც საქართველო. ექსპორტ-იმპორტის ტარიფები და შეზღუდვები, სავალუტო პროცესები, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები, ომები, ემბარგო, ბლოკადა, ბოიკოტი, თუ სხვადასხვა სახის სანქციები მსოფლიო ქვეყნებისათვის თანამედროვე ცხოვრების ჩვეულებრივი პროცესები გახდა, თუმცა საბანკო სექტორი საქართველოში ყველა შემოაღწეული პროცესების ნეგატიური გავლენის მიუხედავად მდგრადად ვითარდება და იზრდება როგორც მოგებისა და ზოგადად აქტივების მხრივ, ასევე ინსტიტუციონალურად.

საქართველოში საკრედიტო ბაზარზე კომერციული ბანკების პარალელურად აქტიურად ვითარდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ონლაინ საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციები, მართალია მათი რესურსი ბანკთან შედარებით არის ძვირი და პროდუქტები განსხვავებული, თუმცა მომხმარებლისათვის გააჩნია დადებითი მხარეებიც, კერძოდ ძირითადად ფიზიკური პირებისა და ბიზნეს კომპანიების იმ კატეგორიისათვის არის მისაღები, რომელთა საქმიანობა და დოკუმენტური პირობები (ოფიციალური შემოსავლის დადასტურება) არ აკმაყოფილებს ბანკების მოთხოვნებს.

1921 წლის 21 თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ნყობილება, ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და „საქართველოს სახელმწიფო ბანკს“ სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკი ასრულებდა“ საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება... 1991 წლის აგვისტოში ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა გენერირებულიყვნენ ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა

როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს. [1]

ლიტერატურის მიმოხილვა და ნაშრომის მეთოდოლოგია: კვლევის პროცესში მიღებული შედეგები ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, საქართველოს კანონს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი, სტატისტიკური, სინთეზური, კომპონენტური ანალიზისა და შედარების მეთოდი.


რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიით მოხდა ეროვნული ბანკის მიერ მონოდებული ოფიციალური მონაცემების სისტემატიზაცია თარიღებითა და სამიზნე კატეგორიების მიხედვით, კომერციულ ბანკებში მიმდინარე ბოლო ათწლეულის ტენდენციების დასადგენად მოხდა ცვლილებებისა და სტატისტიკური ინფორმაციის ქრონოლოგიურ- შედარებითი ანალიზი, ასევე იგივე მასალები დაჯგუფდა როგორც პერიოდის ასევე კომპონენტებისა და სემენტების მიხედვით. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით გამოკვეთილი აქტორებისა და შედეგების სინთეზის საფუძველზე მივიღეთ კვლევის ერთიანი სურათი.

კვლევა. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ბოლო წლებში უფრო და უფრო იზრდებიან კაპიტალისა და მოგების თავალსაზრისით, ხოლო ბოლო ორი-სამი წელია დაიწყო ბანკების გაერთიანება-გამსხვილების ახალი პროცესი, კერძოდ დიდი ბანკები იძენენ შედარებით მცირე ბანკებს სრულიად ან მათი პორტფელის ნაწილს. შეიძლება ითქვას, რომ ეს საქართველოს საბანკო სექტორში ახალი და ვფიქრობ საფუძვლიანი კვლევისათვის მაღალი ინტერესის მქონე პროცესია.


„საქართველოს ბანკმა“ შეიძინა „ტაო პრივატ ბანკი“, [2] „თიბისიმ“ ბანკმა ჯერ „კონსტანტა“ შეიძინა, შემდეგ 2015 წელს კი „პროკრედიტ ბანკის“ მიკროსესხების პორტფელი, 2016 წელს კი „სოსიეტე ფენ-

ერალისგან“ „რესპუბლიკის“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა რომლის მიერთება საბოლოოდ 2017 წელს დასრულდა. [3]

საქართველოში ბანკების გამსხვილება-გაერთიანების პროცესი ბოლო ათწლეულებია აქტიურად მიმდინარეობს, მაგალითად 1995 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით ჯამში 102 ბანკი ოპერირებდა საქართველოში და ამჟამად 16 კომერციული ბანკი აგრძელებს საქმიანობას ჯამში 134 ფილიალითა და 841 სერვის ცენტრით, ხოლო 10 წლის წინ, 2007 წლის ნოემბრის მდგომარეობით საქართველოში საქმიანობდა 18 ბანკი 122 ფილიალითა და 402 სერვის ცენტრით. [4]



აქვე უნდა შევადაროთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა: კერძოდ 2007 წლის ნოემბერში საქართველოში ფიქსირდება 10 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 798 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი, ხოლო 10 წლის შემდგომ 2017 წლის ნოემბერში 79 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და 1121 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.



ეს დინამიკა საშუალებას იძლევა მარტივი დასკვნის გამოტანის იმის თაობაზე, რომ გამარტივებულ, მცირე საკრედიტო პროდუქტებზე, ოპერაციებსა და მომსახურებაზე იზრდება მოთხოვნა ქვეყანაში.

შესაძლებელია თუ არა იყოს ჯანსაღი კონკურენცია ქართულ საბანკო ბაზარზე, როცა ბაზრის უდიდესი ნაწილი რამდენიმე ბანკის მიერ კონტროლდება?

უნდა ითქვას, რომ მცირე ბანკების (მცირე რაოდენობის ფილიალებითა და სერვის-ცენტრებით წარმოდგენილი) მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაც იცვლება, რასაც საქართველოში მოქმედი რამდენიმე კომერციული ბანკის ზრდის დინამიკა ადასტურებს. დიდი ბანკი საზოგადოებაში სტაბილურობასა და სიძლიერესთან ასოცირდება. მსხვილ ბანკებს შეუძლია კლიენტს შესთავაზოს საუკეთესო პირობები, ვინაიდან მისი ოპერაციების მასშტაბები აძლევს საშუალებას ერთჯერადად მინიმალური მოგებითაც დაკმაყოფილდეს და ამით კლიენტი მოიზიდოს. ბანკები, რომლებიც ორიენტირებულნი არის კორპორატიულ დაფინანსებაზე ძირითადად ცდილობენ მოიზიდონ დიდი ბრუნვებისა და მაღალი მოგების მქონე ბიზნეს სუბიექტები, მაგრამ როცა ბანკი იწყებს პორთფელის დივერსიფიცირებას, კერძოდ მცირე კომპანიებთან თანამშრომლობას, ჩნდება საჭიროება ამ სეგმენტის მომსახურებისათვის როგორც პროცედურული ასევე ტექნიკური დეტალების გამართვის, ამიტომ რიგ შემთხვევაში ბანკს ურჩევნია შეიძინოს პირდაპირ მცირე სესხების სეგმენტზე ორიენტირებული და უკვე გამართულად მომუშავე ბანკი. ვფიქრობ, ეს მომენტიც არის ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესის ერთ-ერთი ფაქტორი.

საქართველოს საბანკო-საფინანსო ბაზარზე მსგავსი ტიპის, კლიენტთა ერთ კატეგორიაზე ორიენტირებული ბანკები არ გვხვდება, აქ ბანკები არის უნივერსალური - ყველა კატეგორიის ბიზნეს სუბიექტსა თუ ფიზიკურ პირს თანაბრად ემსახურებიან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სეგმენტაციის პროცესი (კორპორატიულ და არაკორპორატიულ ბანკებად) უკვე საქართველოშიც მიმდინარეობს, ამის საფუძველს გვაძლევს პროკრედიტ ბანკის გადწყვეტილება მიკრო პორთფელის გაყიდვის შესახებ, ასევე ბანკების მხრიდან მინიმალური გასაცემი სესხის ზღვარის გაზრდა.

კვლევის პროცესში მოხდა ბათუმში მოქმედი ბანკების (საქართველოს ბანკი, ვითიბი ბანკი,

თიბისი ბანკი, ზირაათ ბანკი, პროკრედიტ ბანკი, ბაზის ბანკი, იმ ბანკის, კრედო ბანკი, ფინკა ბანკი, კორსტანდარტ ბანკი, ლიბერთი ბანკი, ჰალიკ ბანკი) კლიენტების (გამოკითხვის დროს ვეკითხებოდით რომელი ბანკის კლიენტი იყო) ზეპირი გამოკითხვა, კერძოდ გამოიკითხა ჯამში 120 კლიენტი და ეთხოვა პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: რომელ ბანკს აირჩევდით სახელფასო ან ნებისმიერი სხვა სისტემატიური თანხის ჩარიცხვა-განაღების მომსახურებისათვის?:

ა) ბანკი, რომელსაც აქვს სხვადასხვა ინტერნეტ-დისტანციური სერვისები, ასევე ფილიალებისა და ბანკომატების ფართო ქსელი მაგრამ აქვს მომსახურების საკომისიო

ბ) ბანკი, რომელსაც არ აქვს სხვადასხვა ინტერნეტ-დისტანციური სერვისები, ასევე ფილიალებისა და ბანკომატების ფართო ქსელი, წარმოდგენილია 3-ზე ნაკლები ფილიალითა და ბანკომატით ქალაქში მაგრამ არ აქვს მომსახურების საკომისიო გამოკითხვამ გვაჩვენა შემდეგი შედეგი, პირველ შეკითხვაზე:

- გამოკითხულთა 65%-ი (78 კლიენტი) აირჩევდა ბანკს, რომელსაც აქვს სხვადასხვა ინტერნეტ-დისტანციური სერვისები, ასევე ფილიალებისა და ბანკომატების ფართო ქსელი მაგრამ აქვს მომსახურების საკომისიო
- გამოკითხულთა 35%-ი (42 კლიენტი) კი აირჩევდა ბანკს, რომელსაც არ აქვს სხვადასხვა ინტერნეტ-დისტანციური სერვისები, ასევე ფილიალებისა და ბანკომატების ფართო ქსელი, წარმოდგენილია 3-ზე ნაკლები ფილიალითა და ბანკომატით ქალაქში მაგრამ არ აქვს მომსახურების საკომისიო.

გამოკითხულთა პასუხების შემდეგ ვცდილობდით დამატებით ერთი შეკითხვის დასმას, კერძოდ: რატომ აირჩევდნენ პირველ ან მეორე ბანკის კატეგორიას? პასუხების ანალიზმა გამოკვეთა ორი კატეგორია:

პირველი კატეგორიის ბანკის შემთხვევაში ძირითადი მიზეზი იყო კომფორტულობა თანხის განკარგვის პროცესში და ასევე დისტანციური არხებით ყოველდღიური/ყოველთვიური გადასახადების მარტივად გადახდა.

მეორე კატეგორიის ბანკის არჩევის შემთხვევაში კი ძირითადი მიზეზი თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ასევე ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის პრობლემა და თვეში მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორჯერადი ოპერაცია იყო.

მსხვილი ბანკებს აქვთ დიდი რესურსები, შესაბამისად ძირითადად ისინი ემსახურებიან მსხვილ კომპანიებს, იმავე კომპანიის თანამშრომლებს სთავაზობენ ექსკლუზიურ პირობებს საკრედიტო და საოპერაციო პროდუქტებზე, რა თქმა უნდა ეს ფაქტორიც განაპირობებს მათი საკრედიტო თუ სადეპოზიტო პორტფელის ზრდასაც.

2016 წლის მანძილზე კომერციული ბანკების მხრიდან შეინიშნებოდა საცალო სესხების პოლიტიკაში პროცედურების შემსუბუქება. 2016 წლის მანძილზე, კიდევ უფრო გამაფრებელი კონკურენციის ფონზე, ბაზარზე გამოჩნდა ე.წ. „გადაბირების“ აქციები უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისათვის. მსგავსი აქციების ფარგლებში არ ხდებოდა მსესხებლების შემოსავლების დადასტურება და ასევე, დაშვებული იყო სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (სესხის თანხისა და უზრუნველყოფის საშუალების ღირებულების თანაფარდობა) მაღალი მაჩვენებელი. [5] თუმცა 2017 წლის 10 აგვისტოს გამოიცა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 117/04 ბრძანება, რომლითაც მკაფიოდ განისაზღვრა სესხის მომსახურების კოეფიციენტი, კერძოდ მასში იგულისხმება მსესხებლის, თანამსესხებლისა და საოჯახო მეურნეობის ჯამური ყოველთვიური გადასახდელებისა და ყოველთვიური წმინდა შემოსავლების თანაფარდობა. ასევე ამავე ბრძანების მე-5 მუხლში ეროვნულმა ბანკმა უკვე განსაზღვრა სტანდარტული სესხი, კერძოდ: „სესხი კლასიფიცირდება სტანდარტულად, თუ მისი ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდა მუდმივად დროულად წარმოებს, ამასთან, მსესხებლის ლიკვიდობა, კაპიტალი და გადახდის უნარი სტაბილურია. ასევე, მსესხებელი ფინანსურად ძლიერია, გააჩნია საშუალო სიმძიმის სტრესის შედეგების უმტკივნეულოდ შთანთქმის უნარი, აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა მოულოდნელი მოვლენებისაგან, ასრულებს მომგებიანობასთან დაკავშირებულ თავის მიზნებს და აქვს საკმარისი ლიკვიდობა, რათა დროულად დააკმაყოფილოს ყველა ვალდებულება, მათ შორის, აღნიშნული აქტივიც.“

დიდ ბანკებს აქვთ დახვეწილი სერვისები: ინტერნეტ ბანკინგი, ვიზა ბარათები, ბანკომატები, ფეიბოქსები და ასე შემდეგ. ასევე კლიენტის მოსაცდელი ოთახები, რიგის ნომრები. მცირე ბანკებს აქვთ მცირე კაპიტალი და ისინი ცდილობენ მინიმალურად გარისკონ, ვინაიდან ერთი გაპრობლემებული სესხი, უკვე მათ კაპიტალს საკმაო ზიანს

აყენებს. მცირე ბანკები, მათი დაკრედიტების პოლიტიკიდან გამომდინარე, აფინანსებენ მცირე თანხებით ბევრ კლიენტს, აქვთ დივერსიფიცირებული პორტფელი, ეს კლიენტებია მცირე მოვაჭრეები, მცირე სურსათის მაღაზიები, ტაქსისტები, ხელოსნები და ასე შემდეგ, ანუ მათი რესურსი უფრო მიმართულია მოსახლეობის საშუალო ფენისაკენ და ძირითადად ფიზიკური პირების სესხებზე არიან ორიენტირებული.

გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ მსხვილი ბანკების შემთხვევაში მარტივია მსოფლიოს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის იაფი სახსრების მოზიდვა, ვინაიდან მსხვილი ბანკების მიმართ მათი ცნობადობისა და კაპიტალის გათვალისწინებით, არსებობს ნდობის დიდი ფაქტორი, შესაბამისად მსხვილი ბანკები ფლობენ იაფ რესურსებს, რომლის სესხად გაცემა საკმაოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთით შეუძლიათ, მცირე ბანკები კი ძირითადად დეპოზიტარებზე და საკუთარ რესურსებზეა დამოკიდებული.

საქართველოში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბანკების საკრედიტო პროდუქტების მომხმარებელია, შესაბამისად საბანკო პოლიტიკის, კერძოდ დაკრედიტების რეგულაციებში მცირედი ცვლილებაც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე, შესაბამისად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკასა და განვითარების ტემპებზე.

საქართველოს კონსტიტუცია იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ: მუხლი 30 : 2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. [6]

ეროვნული ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანი ქვეყანაში ფასების სტაბილურობაა. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას, ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი მიზნის შესრულებას. ფინანსური სტაბილურობა თავის თავში გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც სექტორი, შოკების მიუხედავად, ეფექტურად ასრულებს შუამავლის როლს ეკონომიკაში. ფინანსური სექტორის სტაბილურობა შეიძლება ასევე განვსაზღვროთ, როგორც სისტემურად მნიშვნელოვანი საფინანსო ინსტიტუტებისა

და საფინანსო ბაზრების სტაბილურობა. ფინანსური სტაბილურობა არ გამოორიცხავს სირთულეებს საფინანსო ბაზრების ცალკეული მონაწილეებისთვის. პრობლემები ინდივიდუალურ საფინანსო ინსტიტუტებში საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს პრობლემები უარყოფითად აისახება მთლიანად სისტემის შესაძლებლობაზე შეასრულოს თავისი ფუნდამენტური როლი. [7]

დასკვნები და წინადადებები

- საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს კომერციული ბანკების შემცირება-გამსხ-

ვილების პროცესი;

- ყოველდღიურად უფრო იზრდება მოთხოვნა გამარტივებულ საფინანსო პროდუქტებზე, შესაბამისად იზრდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა;
- მცირე ბანკები ორიენტირებული არიან ძირითადად სამომხმარებლო სესხებზე ან მცირე ბიზნეს სესხებზე;
- სესხებზე და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის სხვაობები ბანკების შეთავაზებებს შორის თითქმის უნიშვნელო გახდა;
- ბანკების რაოდენობის შემცირება ქმნის მონოპოლიის საფრთხეს.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე, თბილისი 2009 გვ. 10-11

[2] საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერნეტ გვერდი, <http://bankofgeorgia.ge/retail/ge/other-services/standard-conditions>

[3] თიბისი ბანკის ინტერნეტ გვერდი, <https://www.tbcbankgroup.com/about-us/history/>

[4] ეროვნული ბანკი, საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დანესებულებები <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>

[5] ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში 2016, გვ.77

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს პარლამენტი, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

[7] საქართველოს ეროვნული ბანკი, <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=517&lng=geo>

მომხონებისა და ვალდებულებების ანალიზის ტალკეული ასექტები

PRESSING ISSUES ON ACCOUNTS RECEIVABLE AND PAYABLE ANALYSIS

ელენე ხარაბაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველო, თბილისი

მერაბ ჯიქია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. საქართველო, თბილისი

ELENE KHARABADZE,

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Georgia, Tbilisi

MERAB JIKIA,

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Georgia, Tbilisi

ანოტაცია

გაყიდვების მოცულობის გადიდებისა და ბიზნესის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი გზაა გაყიდვები შემდგომი გადახდის პირობით, ანუ მყიდველებისათვის გადახდის ვადის გაგრძელება. ეს კი ზრდის ფულადი საშუალებების დროულად დაბრუნებადობის რისკს, რაც წარმოქმნის ზარალს და იწვევს გადახდისუნარიანობის დაკარგვას. ყოველივე აღნიშნული აუცილებელს ხდის შემუშავდეს მოთხოვნების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომლის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მისი მიმდინარე და პროგნოზული ანალიზი.

ანალიზის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: მოთხოვნების მდგომარეობის შეფასება, მისი შემადგენლობა და სტრუქტურა, ანალიზური ინფორმაციის ფორმირება, რაც მოთხოვნების მოსალოდნელი მნიშვნელობების პროგნოზირების შესაძლებლობას მოგვცემს, საკრედიტო პოლიტიკის დამუშავება და ანალიზი, საკრედიტო ლიმიტების და ტალკეული მყიდველისათვის მიცემული კრედიტის ვადის დასაბუთებულობა, მოთხოვნების რეალური ღირებულების განსაზღვრა ფულადი საშუალებების მყიდველობითუნარიანობის ცვლილებების პირობებში, მყიდველებისათვის მიცემული კრედიტისა და მომწოდებლებისაგან მიღებული კომერციული კრედიტის პირობების თანაფარდობის კონტროლი.

ერთი მხრივ, მოთხოვნების ზრდა იწვევს დამატებით დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია დებიტორებთან გარკვეული მუშაობის ჩატარებასთან (დანახარჯები კავშირგაბმულობაზე, მივლინებებზე), ასევე, იზრდება უიმედო ვალებით გამოწვეული დანაკარგები. გარდა ამისა, მოთხოვნების ზრდა გადასახდელის გადახდის ვადის გადაადებით, თავის მხრივ, იწვევს დანაკარგებს, რაც დაკავშირებულია ფულადი საშუალებების მყიდველობითუნარიანობის ცვლილებებთან. მეორე მხრივ, მკაცრი საკრედიტო პოლი-

ტიკის გატარებას, რომელიც მიმართულია გადასახდის გადახდის ვადების შემცირებისკენ და დროულად გადაუხდელობის ფაქტის გამოორიციხისკენ, აქვს თავისი უკუშედეგებიც. ასეთ შემთხვევებში, მოთხოვნები და შესაბამისად, დანახარჯები მინიმალური იქნება მის დასაფინანსებლად. ამასთან, მკაცრმა საკრედიტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს კლიენტების დაკარგვა, რაც თავის მხრივ, შეამცირებს გაყიდვების მოცულობის ზრდას.

შეიძლება შემდეგი დასკვნა ჩამოვყალიბოთ: ბრუნვის პერიოდის გაზრდას, ანუ ბალანსში ისეთი მიმდინარე აქტივების სიდიდის გაზრდას, როგორცაა მარაგები და დებიტორული დავალიანებები, ასევე, კრედიტორებთან ანგარიშსწორების ვადების დაჩქარებას (ბალანსში ნაშთების შემცირებას) თანახლავს ფულადი საშუალებების გადინება, და პირიქით, მარაგების, მოთხოვნების, ანუ ანგარიშსწორებაში საშუალებების, სანარმოს მიმდინარე აქტივების სხვა ელემენტების ბრუნვადობის დაჩქარება (ბალანსში ნაშთების შემცირება), კრედიტორული ვალდებულებების დაფარვის პერიოდის ზრდასთან ერთად იწვევს ფულადი საშუალებების შემოღინებას.

საკვანძო სიტყვები: მოთხოვნები, დებიტორული დავალიანება, საკრედიტო პოლიტიკა, დანახარჯები, ლიკვიდურობის მართვა

ABSTRACT

One of the primary ways to improve sales and to develop business is to increase credit sales, in other words, to extend the terms of payment. This, in effect, increases the risk on nonpayment, which represents accounting loss that could materialize in bankruptcy. Therefore, it is necessary to develop effective system of accounts receivable management, which mainly depends on its current analysis and prognosis.

Account receivable analysis should focus on the following aspects: evaluate the nature of receivable, predict the probable amount of receivable, implement sound credit policy, determine aging of receivable and develop matching mechanism between accounts receivable and accounts payable.

On one hand, lenient credit policy creates more work for the firm because it has to analyze its customers, conduct aging and, subsequently, increase firms' expenses. However, strict credit policy has its drawbacks as well. The primary disadvantage of strict credit policy is the loss of customers, which will also reduce revenue.

The following conclusion was formed: the increase of turnover period of accounts receivable and inventory and the reduction of turnover period of accounts payable causes the reduction of cash and cash equivalents. Furthermore, the reduction of the turnover period of accounts payable and inventory and the increase of turnover period of accounts payable causes the increase of cash and cash equivalents.

Keywords: Accounting, Accounts Receivable, Accounts Payable, Credit Policy, Liquidity Management

გაყიდვების მოცულობის გადიდებისა და ბიზნესის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი გზაა გაყიდვები კრედიტით, შემდგომი გადახდის პირობით, ანუ მყიდველებისათვის გადახდის ვადის გაგრძელებით. ეს კი, ზრდის ფულადი საშუალებების დროულად დაბრუნებადობის რისკს, რაც წარმოქმნის ზარალს და ინვესტს გადახდისუნარიანობის დაკარგვას. ყოველივე აღნიშნული აუცილებელს ხდის შემუშავდეს მოთხოვნების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომლის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს მისი მიმდინარე და პროგნოზული ანალიზი.

მოთხოვნების ანალიზის სისტემის შემუშავება პირდაპირ დამოკიდებულებაშია საწარმოს სტრატეგიული განვითარების მიზნებთან, რაც განსაზღვრავს მყიდველებთან საწარმოს მუშაობის ხასიათს, საკრედიტო პოლიტიკას და მოთხოვნებში დაბანდებული საშუალებების შეფასებისადმი მიდგომას.

საწარმოს მოთხოვნების მოცულობაზე გავლენას ახდენს:

- შემდგომი გადახდის პირობით გაყიდვების მოცულობა, რომლის გადიდებასთან ერთად იზრდება მოთხოვნების ოდენობა;
- დამკვეთებსა და მყიდველებთან ანგარიშსწორების პირობები. რაც უფრო შეღავათიანი პირობები აქვთ მყიდველებს ანგარიშსწორე-

ბისას (გადახდის ვადების გადიდება, კლიენტების საიმედოობის შეფასებაზე მოთხოვნის შემცირება და სხვა), მით უფრო მაღალია მოთხოვნების ნაშთები;

- მოთხოვნებზე ჯარიმების პოლიტიკა. რაც უფრო აქტიურია საწარმო მოთხოვნებზე ჯარიმების საკითხში, მით უფრო მცირეა მისი ნაშთები და მით უფრო მაღალია მოთხოვნების, ანუ დებიტორული დავალიანების „ხარისხი“;
- მყიდველთა საგადამხდელო დისციპლინა. ობიექტურ მიზეზებად, რითაც განისაზღვრება მყიდველებისა და დამკვეთების საგადამხდელო დისციპლინა, შეიძლება დავასახელოთ იმ დარგების საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან. სუბიექტური მიზეზები განისაზღვრება კრედიტის მიცემის პირობებით და იმ ღონისძიებებით, რომელსაც ღებულობს საწარმო დებიტორული დავალიანების დასაფარავად.

მოთხოვნების ანალიზის ხარისხი და მისი შედეგების თანმიმდევრული გამოყენება საწარმოში ანალიზური მუშაობის დამაკმაყოფილებელ დონეზე ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგ ფაქტორებზე ინფორმაციის მიღებით:

- მოთხოვნების მოცულობა და მისი სტრუქტურა, წარმოქმნის ვადების მიხედვით;
- ვადაგადაცილებული მოთხოვნების მოცულობა, ასევე, კონკრეტული დებიტორები, რომელთა დავალიანების დროულად დაუფარავობა პრობლემებს უქმნის საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობას;
- არათავისდროულად გადახდის რისკები და ასევე, შესაძლო დანაკარგები.

ასეთი ინფორმაციის არსებობა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს მოთხოვნების ანუ დებიტორული დავალიანების საიმედოობა, დამუშავდეს მისი პროგნოზული ანალიზის ხერხები, ამაღლდეს მყიდველებთან ანგარიშსწორების მართვის რაციონალური პოლიტიკის არჩევის გადანყვეტილი ვარიანტის დასაბუთებულობა. ამით იქმნება ნანამძღვრები მოთხოვნების პასიური მართვიდან (რომელიც ძირითადად დაყვანილია დავალიანების შემადგენლობისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციაზე) გადავიდეთ აქტიური მართვის პოლიტიკაზე, რაც გულისხმობს მყიდველებისთვის მიცემული კრედიტის პირობებზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას.

მოთხოვნების ანალიზის ძირითადი მიზანია მყიდველთა დაკრედიტების პოლიტიკის და-

მუშავება და მისი დასაბუთებულობა, რომელიც მიმართული იქნება ანგარიშსწორების დაჩქარებისა და გადაუხდელობის რისკის შემცირებისაკენ. ამასთან, საკრედიტო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს გაყიდვების სტიმულირებას.

მოთხოვნების ანალიზის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- მოთხოვნების მდგომარეობის შეფასება, მისი შემადგენლობა და სტრუქტურა;
- ანალიზური ინფორმაციის ფორმირება, მოთხოვნების მოსალოდნელი მნიშვნელობების პროგნოზირების შესაძლებლობას მოგვცემს;
- საკრედიტო პოლიტიკის დამუშავება და ანალიზი, საკრედიტო ლიმიტების და ცალკეული მყიდველისათვის მიცემული კრედიტის ვადის დასაბუთებულობით;

- მოთხოვნების რეალური ღირებულების განსაზღვრა ფულადი საშუალებების მყიდველობითუნარიანობის ცვლილებების პირობებში;
- მყიდველებისათვის მიცემული კრედიტისა და მომწოდებლებისაგან მიღებული კომერციული კრედიტის პირობების თანაფარდობის კონტროლი.

ყველაზე ზოგადი სახით მოთხოვნების სტრუქტურა და სიდიდე შეიძლება გაანალიზებულ იქნეს ბალანსის მონაცემების საფუძველზე. შიდა ანალიზის მიზნებისათვის აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების გამოყენება.

მოთხოვნების ანალიზისათვის იყენებენ ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა მოთხოვნების ხვედრითი წონა საბრუნავი აქტივების საერთო მოცულობაში (%-ით):

$$\frac{\text{მოთხოვნების ხვედრითი წონა მიმდინარე აქტივების საერთო მოცულობაში}}{\text{მოთხოვნები მიწოდებით}} = \frac{\text{მოთხოვნები მიწოდებით}}{\text{მიმდინარე აქტივები}} \times 100$$

მიწოდებით წარმოქმნილი მოთხოვნების შემადგენლობაში საექვო დავალიანებების ხვედრითი წონა (%-ით):

$$\frac{\text{საექვო დავალიანების ხვედრითი წონა}}{\text{საექვო მოთხოვნები}} = \frac{\text{საექვო მოთხოვნები}}{\text{მოთხოვნები მიწოდებით}} \times 100$$

ეს მაჩვენებელი ახასიათებს მოთხოვნების ხარისხს. მისი ზრდის ტენდენცია ადასტურებს ლიკვიდურობის შემცირებას. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება მოთხოვნების შიდა ანალიზის პროცესში:

$$\frac{\text{მოთხოვნების ხვედრითი წონა}}{\text{მოთხოვნები მიწოდებით}} = \frac{\text{მოთხოვნები მიწოდებით}}{\text{გაყიდვების მოცულობა}} \times 100$$

აღნიშნული მაჩვენებელი იძლევა ინფორმაციას ყოველი ერთი ფ.ე გაყიდვებზე რამდენი პროცენტი გაუყიდავი პროდუქცია მოდის.

$$\frac{\text{მოთხოვნების დაუარეიბ პერიოდი}}{\text{გაყიდვების მოცულობა}} = \frac{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება} \times \text{საინალანო პერიოდის ხანგრძლივობა}}{\text{გაყიდვების მოცულობა}}$$

აღნიშნული მაჩვენებლის საფუძველზე შეიძლება შევავსოთ საშუალოდ რა პერიოდში დაიფარება მიწოდებით წარმოქმნილი მოთხოვნები, ანუ დებიტორული დავალიანებები.

ამასთან, არასწორი იქნებოდა ზოგადი მითითება იმის შესახებ, თუ გადასახადის გადახდის შეფერხების რომელი ვადა გვაძლევს შესაძლებლობას მივაკუთვნოთ ის საექვო დავალიანებებს. შიდა ანალიზის მიზნებისათვის საწარმო თვითონ წყვეტს აღნიშნულ საკითხს შექმნილი

კონკრეტული სიტუაციიდან და ანგარიშსწორების არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

გარე ანალიტიკოსი ფლობს მხოლოდ ანგარიშგების ინფორმაციას და ცხადია, ეყრდნობა დებიტორული დავალიანების გაშიფვრის მონაცემებს, რომელიც თან ერთვის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციას, რომელიც ახასიათებს მოთხოვნების მდგომარეობას საქართველოს საწარმოებში, ფინანსური ანგარიშ-

გების მომზადების მოქმედ სისტემაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკით.

მსოფლიო პრაქტიკაში მოთხოვნების, ანუ დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გახსნილობის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს არსებითი რისკების დახასიათება, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ დებიტორებთან. აღნიშნული ინფორმაციების უქონლობა საქართველოს საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში მეტწილად ამცირებს მის გამჭვირვალობას და ცხადია, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგების საიმედოობას.

მოთხოვნების ანალიზის საკმაოდ ეფექტიანი ხერხია მისი შემადგენლობის შესწავლა დაფარვის ვადებთან დამოკიდებულების მიხედვით. ასეთი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ მყიდველთა საგადასახდელი დისციპლინა და ამავდროულად დროს საწარმოს აქტიურობა დავალიანებათა დასაფარავად.

ცნობილია, რომ მოთხოვნების ზრდა იწვევს დამატებით დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია კლიენტებთან (დებიტორებთან) გარკვეული მუშაობის ჩატარებასთან (დანახარჯები კავშირგაბმულობაზე, მივლინებებზე), ასევე, იზრდება უიმედო ვალებით გამოწვეული დანაკარგები. გარდა ამისა, მინოდებით წარმოქმნილი მოთხოვნების ზრდა გადასახდელის გადახდის ვადის გადავადებით, თავის მხრივ, იწვევს დანაკარგებს, რაც დაკავშირებულია ფულადი საშუალებების

მყიდველობითუნარიანობის ცვლილებებთან.

მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიმართულია გადასახადის გადახდის ვადების შემცირებისკენ და დროულად გადაუხდელობის ფაქტის გამორიცხვისკენ, აქვს თავისი უკუშედეგებიც. ასეთ შემთხვევებში, მოთხოვნები მინოდებით და შესაბამისად, დანახარჯები მინიმალური იქნება მის დასაფინანსებლად. ამასთან, მკაცრმა საკრედიტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს კლიენტების დაკარგვა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს გაყიდვების მოცულობის ზრდას.


მამასადამე, საწარმოს მიერ არჩეული სტრატეგიიდან გამომდინარე (მოცულობების გაზრდა და ბიზნესის გაფართოება ან საქმიანობის ჩამოყალიბებული მოცულობების შენარჩუნება, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია და ეყრდნობა კარგი რეპუტაციის მქონე კლიენტების წრეს), საკრედიტო პოლიტიკა და შესაბამისად, მოთხოვნების ანალიზის მიზანდასახულობა იქნება ცვალებადი.

როგორც ცნობილია, ეტაპის ხანგრძლივობა გულისხმობს პერიოდს წარმოებაში მასალების მიღების მომენტიდან მზა პროდუქციის გამოშვების მომენტამდე. თუ საწარმო უშვებს ერთგვაროვან პროდუქციას, მაშინ „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიშის ბრუნვადობით (რომლითაც განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება), შეფასდება საწარმოს საოპერაციო ციკლის მოცემული ეტაპის ხანგრძლივობა.

ერთი საოპერაციო ციკლის ფარგლებში საშუალებების მოძრაობა ასახულია სქემაში:

სქემა 1

სამრეწველო საწარმოს საოპერაციო ციკლის სტადიები



როგორც სქემიდან ჩანს, მონაკვეთი 0-1 შეესაბამება საშუალო დროს, რომლის განმავლობაშიც საწარმოს საშუალებები ავანსის სახით მომწოდებლებთანაა, მონაკვეთი 1-2 ახასიათებს საწარმოს მარაგების შენახვის ვადებს, მათი მიღების მომენტიდან წარმოებაში მათი გადაცემის მომენტამდე, მონაკვეთი 2-3 წარმოების პროცესის ხანგრძლივობაა, მონაკვეთი 3-4 ახასიათებს საწყობში მზა პროდუქციის შენახვის პერიოდს, ხოლო

მონაკვეთი 4-5 – მოთხოვნების ანუ დებიტორული დავალიანების დაფარვის საშუალო ვადას.

საოპერაციო ციკლის დაფინანსების წყაროებით უზრუნველყოფის ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადების შეფასებას (Tkd). პრაქტიკაში და მეთოდურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოდიფიკაცია გამოიყენება აღნიშნული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად:

კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადების გაანგარიშება

№	გაანგარიშების ბაზა	გაანგარიშების ფორმულა
1	აძრავა (V)	$T_{Kd}=(Kd \times D \times *) / V$
2	თვითღირებულება (C)	$T_{Kd}=(Kd \times D) / C$
3	შესყიდვის ღირებულება (S)	$T_{Kd}=(Kd \times D) / S$
4	პერიოდი გაანგარიშებაში გადაადგილდის (II)	$T_{Kd}=(Kd \times D) / II$

*Kd – კრედიტორული დავალიანების სიდიდე;

**D - საანალიზო პერიოდის ხანგრძლივობა.

ამონაგების ბაზაზე გაანგარიშების ხერხი წარმოადგენს ვალდებულებების ანუ კრედიტორული დავალიანების ბრუნვაობის ანალიზის ყველაზე უფრო ზოგადი მიდგომის ხერხს. აქედან გამომდინარე, ის ყველაზე ნაკლებად შესაფერისია ფინანსური ციკლის გასაანგარიშებლად.

უფრო მიზანშეწონილია თვითღირებულების ბაზაზე გაანგარიშების ხერხის გამოყენება. განსაკუთრებით გამართლებულია მისი გამოყენება გარე ანალიზის ჩატარებისას, როდესაც დამატებითი ინფორმაციის მიღება უფრო ზუსტი გაანგარიშების ჩატარების მიზნით გაძნელებულია.

გაანგარიშების მე-3 და მე-4 ვარიანტები ყველაზე ზუსტია, რამდენადაც ეყრდნობა ვალდებულებების ანუ კრედიტორული დავალიანების ანგარიშების ბრუნვის მონაცემებს. მე-3 ვარიანტი ითვალისწინებს კრედიტორული დავალიანების ანგარიშის კრედიტის ბრუნვის გამოყენებას – წარმოქმნილი ვალდებულებების თანხით, ხოლო მე-4 ვარიანტი კი, ორიენტირებას აკეთებს საანალიზო პერიოდში მოწოდებით წარმოქმნილი ვალდებულებების ანგარიშის დებეტის ბრუნვაზე – პერიოდის განმავლობაში გადახდილი თანხით. საოპერაციო ციკლის დაფინანსების წყაროებზე მოთხოვნის არსებობა გრაფიკულად შეიძლება შემდეგი სახით გამოისახოს:

სქემა 2

საწარმოს საოპერაციო და ფინანსურ ციკლებს შორის კავშირი
საოპერაციო ციკლი



საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის (OC) გადამეტების სიდიდემ კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადასთან (Tkd), მიიღო წმინდა საოპერაციო ციკლის, ანუ ფინანსური ციკლის (FC) სახელწოდება:

$$FC = OC - Tkd^*$$

თუ საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა აჭარბებს კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადას, მაშინ საწარმოს წარმოექმნება მოთხოვნა დაფინანსების დამატებით წყაროებზე. ეს შეიძლება იყოს საკუთარი საშუალებები, მიმართული მიმდინარე აქტივების დასაფინანსებლად (საკუთარი საბრუნავი კაპიტალი), ან ნასესხები საშუალებები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში დებულობენ ბანკის მოკლევადიანი კრედიტის სახით.

საოპერაციო ციკლის რაც უფრო დიდ პერიოდს ემსახურება კრედიტორ-მომწოდებელთა სა-

შუალებები, მით უფრო მაღალია საწარმოს გადახდისუნარიანობა.

თუ საწარმო არ სარგებლობს ბანკის კრედიტით და ყოველნაირად ცდილობს თავი გაართვას პრობლემებს მხოლოდ საკუთარი საშუალებებით, მაშინ მისი გადახდისუნარიანობა სრულად დამოკიდებული აღმოჩნდება მყიდველებზე გაცემული კრედიტების (დებიტორული დავალიანებების) მოცულობასა და ვადაზე, მათ კეთილსინდისიერებაზე. ერთი ან რამდენიმე მსხვილი მყიდველისგან ფულადი საშუალებების შემოსვლის შეფერხებამ შეიძლება სერიოზული ფინანსური პრობლემები შეუქმნას საწარმოს.

საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი უმთავრესი წესი: კრედიტის მოზიდვის პირობები შესადაარი-

სი უნდა იყოს იმ პირობებთან, რომლის მიხედვითაც საწარმო თვითონ გასცემს კრედიტს. რამდენადაც მოთხოვნა, ანუ დებიტორული დავალიანება არსებითად წარმოადგენს მყიდველებზე გაცემულ კრედიტს, იგი თავისი შესაძლებლობებით (შესაღარის პირობებში) განონასწორებული უნდა იყოს მომწოდებლისგან მიღებული კომერციული კრედიტის პირობებთან. ბანკის კრედიტით დებიტორულ დავალიანებათა დაფინანსების აუცილებლობისას ხელშეკრულებით გასათვალისწინებელია შესაბამისი კომპენსაცია.

მაშასადამე, საწარმოს გადახდისუნარიანობის უმთავრეს მაჩვენებლებს წარმოადგენს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა და წმინდა საოპერაციო ციკლის სიდიდე (ფინანსური ციკლი).

აღნიშნულ მაჩვენებელთა თანაფარდობისა და მათი დინამიკის საფუძველზე შეიძლება განსაზღვრულ იქნეს მოთხოვნა საოპერაციო ციკლის დაფინანსების წყაროებზე, რაც აუცილებელია საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შესაფასებლად. ფინანსური ციკლის ზრდის ტენდენცია


ადასტურებს საწარმოში დაფინანსებაზე მზარდი მოთხოვნის წარმოშობას.

შესაძლებელია საოპერაციო ციკლისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების ისეთი ორგანიზაცია, რომლის მიხედვითაც კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი აღემატება საწარმოში საშუალებების ბრუნვის პერიოდს. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა საკუთარ კაპიტალზე საოპერაციო ციკლის მომსახურებისათვის არ არსებობს. ამ სიტუაციას სამრეწველო და სამშენებლო საწარმოებისთვის აქვს უფრო თეორიული მნიშვნელობა, მაშინ, როცა სავაჭრო და მომსახურების სფეროს საწარმოებისთვის ამგვარი შესაძლებლობები სავსებით რეალურია.

განვიხილოთ სავაჭრო ორგანიზაციის მაგალითი, რომელიც საქონლის რეალიზაციას ახდენს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით, აქვს მომწოდებელთა კრედიტი 45 დღეში დაფარვის ვადით, ხოლო საქონლის შენახვის საშუალო ვადა კი, შეადგენს 30 დღეს. მოცემული საოპერაციო ციკლი სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

სქემა 3

საოპერაციო ციკლზე კრედიტორებთან ანგარიშსწორების ვადის გადამეტების სიტუაცია



როგორც ჩანს, სავაჭრო ორგანიზაციების მდგომარეობა იმდენად მომგებიანია, რომ 30 დღეში სავაჭრო კაპიტალის ბრუნვის პერიოდში მას შეუძლია კრედიტორებთან ანგარიშსწორება მოახდინოს 45 დღის შემდეგ, ე.ი. საოპერაციო ციკლის დასრულების შემდეგ კიდევ 15 დღის განმავლობაში მას შეუძლია გამოიყენოს მომწოდებელთა კაპიტალი.

დღემდე, მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის ანალიზის შესახებ მსჯელობა მიდის მის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საოპერაციო ციკლში. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საწარმო მიმდინარე საქმიანობაში მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის იყენებს საბრუნავი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც უშუალოდ არ მიეკუთვნება საოპერაციო ციკლს. როგორც ცნობილია, საოპერაციო ციკლის დასკვნით ეტაპს წარმოადგენს მყიდველებისგან ფულადი საშუალებების მიღება, რომელსაც აქვს თავისი ბრუნვის პერიოდი, ანუ ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ის იმყოფება საწარმოს ანგარიშებზე. მაშასადამე, საწარმოს მიმდინარე აქტივებში დაბანდებულ საშუალებათა ერთობლივი

ბრუნვა, იქნება უფრო მეტი, ვიდრე საოპერაციო ციკლი.

საანალიზო პერიოდში ფულადი საშუალებების ცვლილებების სიდიდე უშუალოდ დამოკიდებულია მიმდინარე აქტივების ბრუნვის სიჩქარეზე, ასევე, კრედიტორებთან ანგარიშსწორების ვადის ხანგრძლივობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნა ჩამოვყალიბოთ: ბრუნვის პერიოდის გაზრდას, ანუ ბალანსში ისეთი მიმდინარე აქტივების სიდიდის გაზრდას, როგორცაა მარაგები და დებიტორული დავალიანებები, ასევე, კრედიტორებთან ანგარიშსწორების ვადების დაჩქარებას (ბალანსში ნაშთების შემცირებას) თან ახლავს ფულადი საშუალებების გადინება, და პირიქით, მარაგების, მოთხოვნების, ანუ ანგარიშსწორებაში არსებული საშუალებების, საწარმოს მიმდინარე აქტივების სხვა ელემენტების ბრუნვადობის დაჩქარება (ბალანსში ნაშთების შემცირება), კრედიტორული ვალდებულებების დაფარვის პერიოდის ზრდასთან ერთად იწვევს ფულადი საშუალებების შემოღინებას.

შიდა აუდიტის მნიშვნელობა კონტროლის სისტემაში

INTERNAL AUDIT IMPORTANCE IN CONTROL SYSTEM

იან მესხიძე,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი

IA MESKHIDZE,

PhD, Batumi
Shota Restaveli State University
Associated Professor

ანოტაცია

ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საჯარო მმართველობაში შიდა კონტროლის პროცესის სწორად ორგანიზებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ქონდა ევროკომისიის გენერალური საბიუჯეტო დირექტორატის დაინტერესებას და აქტიურ მუშაობას, რათა ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნების, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებას ისწრაფოდნენ, შეექმნათ ახალი კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა - PIFC“-ის სახელით შეიქმნა და დიდი როლი შეასრულა საქართველოში საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის საკითხების გაუმჯობესებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვის საქმეში და მნიშვნელოვნად განაპირობა შიდა აუდიტის მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლება.

აუცილებელია მუდმივად ხდებოდეს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის სისტემის შეფასება, მისი ნაკლოვანებებისა და დადებითი მხარეების განსაზღვრა. საჯარო მმართველობაში აუდიტის როლის განსაზღვრა და კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა.

აუცილებელია ხელი შეეწყოს საჯარო მმართველობაში კორპორატიული მმართველობის კულტურის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ სიახლეების სწრაფად დანერგვას და ათვისებას განაპირობებს. მაღალ დონეზე უნდა ავიდეს შიდა კონტროლი, რომელიც წარმოადგენს დაწესებულებაში ზედამხედველობის განუყოფელი პროცესების ერთობლიობას, რაც რისკების შეფასებისა და მართვის საშუალებას იძლევა საჯარო სამსახურებში.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, კონტროლის სისტემა, საჯარო მმართველობა.

ABSTRACT

It is of great importance for any country to organize the internal control process in public governance. That's why the

European Commission's Directorate General Budget Directorate has been interested in working hard to create a new concept for those countries in the Middle East who are seeking to join the EU. This concept was created on behalf of the "State Internal Financial Control System - PIFC" and has played a major role in improving internal audit organization issues in Georgia and implementing European standards and significantly contributes to increasing public trust towards the internal audit.

It is necessary to constantly evaluate the internal audit organization system, deficiencies and positive sides in public governance. Determining the role of the audit in public administration and researching the problems related to the control mechanism.

It is necessary to promote the establishment of corporate governance in public governance, which in turn leads to the rapid introduction and development of innovations. At the highest level, internal control should be carried out, which combines an integral process of supervision in the institution, which allows risk assessment and management in public services.

Keywords: internal audit, control system, public governance,

საერთაშორისო შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) განმარტებით „შიდა აუდიტი“ არის დამოუკიდებელი, ობიექტური, მარნმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც მიმართულია დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მიზნების სრულყოფისაკენ. შიდა აუდიტის განვითარებას დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მმართველობითი პროცესების დახვეწასთან ერთად, შიდა აუდიტის პროფესიის განვითარება კერძო სექტორში. შიდა აუდიტორის პროფესია გახდა მზარდი, განვითარებადი და მოთხოვნადი. [1. გვ.3]

90-იან წლებში ევროკომისიის გენერალურმა საბიუჯეტო დირექტორატმა, ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მიისწრაფოდ-

ნენ ევროკავშირში განვერიანებისკენ, შეიმუშავა სრულიად ახალი კონცეფცია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა - PIFC“ (Public Internal Financial Control - PIFC) და სტრატეგია. კონცეფცია მიზნად ისახავდა ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც შიდა კონტროლის სტანდარტების მართვის პროცესებში ინტეგრირებას საჯარო რესურსების მაქსიმალურ დაცულობას უზრუნველყოფდა, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის. „PIFC“ - კონცეფციის მთავარ და მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ სახელმწიფო სექტორს ევროკავშირში შესვლამდე არსებულ ტრადიციულ მიდგომებზე უფრო მაღალი სტანდარტის კონტროლის სისტემების ჩამოყალიბებისა და დანერგვის შესაძლებლობა ჰქონოდა. [1. გვ26-27] ევროკავშირის წევრი ქვეყნები მუდმივად გამოხატავდნენ დაინტერესებას, განეხორციელებინათ კონტროლი ყოფილი კომუნისტური ქვეყნების სახელმწიფო სექტორზე, სადაც მძლავრად იყო გამოხატული კორუფციისა და არაეფექტური ფინანსური მმართველობის პროცესები, თუმცა სახელმწიფო სექტორში კორუფციასთან ბრძოლის რეფორმა მოითხოვდა მთავრობების მხრიდან კონკრეტული ქმედებების განხორციელებას და რეფორმების გატარებისათვის მზაობას.

ევროკავშირის წევრობის მსურველმა ქვეყნებმა დაიწყეს ევროკავშირის მიერ შემუშავებული „სახელმწიფო ფინანსური კონტროლი“ მოდელის დანერგვა საჯარო სექტორში, რომელიც სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

1. ფინანსური მართვა და კონტროლის სისტემა
2. ფუნქციურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტი
3. ჰარმონიზაციის ცენტრი- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე შიდა აუდიტის სუბიექტების კოორდინაციისა და მეთოდოლოგიის ჰარმონიზაციის ერთეული.

[4]

ფინანსურ მართვა და კონტროლო ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს „COSO“ -ტრედვეის კომისიის სპონსორ ორგანიზაციათა კომიტეტის მიერ შემუშავებულ მოდელს და პრაქტიკაში ხორციელდება 5 ურთიერთ დაკავშირებული კომპონენტი, ესენია: კონტროლის გარემო, რისკის მართვა, კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მონიტორინგი და შეფასება.[2]

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერება სახელმწიფო სექტორის ფინანსების

მართვის რეფორმის მთავარი კომპონენტია, რომელიც მთავრობას ეხმარება, საჯარო ადმინისტრაციაში ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონტროლის გარემო, უზრუნველყოს გონივრული რწმუნებით, რომ ყველა ოპერაცია შეესაბამებოდეს კარგი მენეჯმენტის, პროდუქტიულობის, გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპებს, ასევე მარეგულირებელ კანონმდებლობას, ხოლო შიდა აუდიტის ხელმძღვანელის ხელში ინსტიტუტული მარჯვენები. რაც შეეხება საქართველოს საჯარო მმართველობას- აუდიტის სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელია ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი -ჰარმონიზაციის ცენტრი ესაა ორგანო რომელიც უფლებამოსილია კოორდინაცა გაუწიოს ეფექტიანი და ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, სტანდარტებთან შესაბამისობას. მისი მიზანია ურთიერთობის განვითარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან,ყველა საბიუჯეტო დანესებულებასთან, სახელმწიფო ხაზინასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და ა.შ.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ შესახებ კანონის მიხედვით ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ კონსოლიდირებულ ანგარიშს ფინანსთა მინისტრი წარადგენს პარლამენტში განსახილველად.

საქართველოში „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონი არეგულირებს საქმიანობას საჯარო მმართველობაში რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2004 წელს მაშინ როცა საქართველომ გადააწყვიტა გამხდარიყო ევროპული ოჯახის წევრი. ამ პერიოდში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა საქართველოს ფინანსური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა, საფინანსო სექტორის განვითარების დაბალი დონე. იმ პერიოდისთვის ქვეყნის საჯარო სექტორში მძვინვარებდა კორუფცია, ნეპოტიზმი, იზრდებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობა. ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვა და ფინანსური ინსტიტუტების ადმინისტრირება სრულ შეუსაბამობაში იყო საერთაშორისო მოთხოვნებთან. მსოფლიო ბანკის კვლევის საფუძველზე, 2007 წელს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების, „საქართველოს ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერა“, ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა რისკების შეფასებისა და შიდა აუდიტის სამმართველო, რომელიც ით-

ვალისწინებდა შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას და საჯარო ფინანსების მართვის კონტროლის ახალი სისტემის დანერგვის მოსამზადებელი ქმედებების განხორციელებას. შიდა აუდიტი უნდა გამხდარიყო ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ფინანსური მენეჯმენტისა და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

სწორედ ამიტომ 2009 წელს შემუშავდა „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიის“ პროექტი. აღნიშნული სტრატეგია დეტალურად აღწერდა შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების გეგმას საჯარო სექტორში. აუცილებელი გახდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება. ამ მიზნით, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“, რაც საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ამ კანონის საფუძველზე 2010 წლის ივნის-ივლისში, შიდა აუდიტის სუბიექტი 12 ცენტრალურ სამინისტროში ჩამოყალიბდა, გარდა იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებისა. 2010 წლისათვის საქართველოში ჩნდება პირველი დეფინიცია „შიდა აუდიტი საჯარო მმართველობაში“. იმ პერიოდისთვის ქვეყანის მასშტაბით ჩამოყალიბდა 23 შიდა აუდიტის ერთეული: 12 შიდა აუდიტის ერთეული ცენტრალურ სამინისტროში, 5 ერთეული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5 აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ერთი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში. უმეტეს შემთხვევაში შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბება მოხდა გენერალური ინსპექციების ბაზაზე, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში სანყისი ეტაპიდან დაარსდა.[2]

„სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ კანონის მიხედვით რეფორმის განსახორციელებლად საჭირო იყო შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის ერთეულის ფორმირება, რომლის მთავარი ამოცანა გახდა შიდა აუდიტის ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია, ამოცანების დუბლირების თავიდან აცილება, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. ამავე დროს ჰარმონიზაციის ერთეული პასუხისმგებელი იყო ტრენინგების ჩატარებასა და სასწავლო სილა-

ბუსების მომზადებაზე, რათა შემდგარიყო შიდა აუდიტორთა უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ამ ნაბიჯების გადასადგმელად I სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით საქართველოს მთავრობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის ერთეულის ჩამოყალიბება, შესაბამისად 2010 წლის 7 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის 215 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის ეროვნული ცენტრი“, რომელმც შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტები.

2011 წელს „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ძირეული ცვლილებები და ჩამოყალიბდა შემდეგი სახელწოდებით „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი. არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება „ინსპექტირების“ მიმართ, მთლიანად ამოიღეს მუხლები, რომლებითაც რეგულირდებოდა „ინსპექტირების“ განხორციელება დაწესებულებაში და გარდამავალ და დასკვნით დებულებაში გაჩნდა ჩანაწერი „სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემონმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემონმების ღონისძიებებს ახორციელებს დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ერთეული.“

მომდევნო მნიშვნელოვანი ცვლილება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა 2015 წლის 29 დეკემბერს ის არეგულირებს საჯარო დაწესებულებებში სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის წესსა და პრინციპებს მის საფუძველზე განისაზღვრა ფინანსური კონტროლის მეთოდოლოგია, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთობები. კანონი ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე და შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და რიგ საკითხებში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს ჰარმონიზაციის ცენტრთან კოორდინირებულად.

შიდა აუდიტის სუბიექტის (სტრუქტურული ერთეულის) უფროსი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვროს შიდა აუდიტის განხორციელებისათვის საჭირო აუდიტის სახე, მოქმედების სფერო, შიდა აუდიტის განხორციელების სიხშირე და შიდა

აუდიტორთა რაოდენობა, შეიმუშავოს და დანესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგინოს შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმები. კოორდინაცია გაუწიოს შიდა აუდიტორთა საქმიანობას. რაც მთავარია, შეიმუშავოს და განახორციელოს შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამა.

შიდა აუდიტის წლიური და სტრატეგიული გეგმები მტკიცდება დაგეგმილი პერიოდის დაწყებამდე. წლიურ და სტრატეგიულ გეგმებს, აგრეთვე მათში განსახორციელებელ ცვლილებებს ამზადებს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი და ამტკიცებს დანესებულების ხელმძღვანელი, რის შემდგომაც შიდა აუდიტის სუბიექტების წლიური და სტრატეგიული გეგმები ეგზავნება ჰარმონიზაციის ცენტრს. ყოველი შიდა აუდიტორული შემომწებისთვის შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი შეიმუშავებს და ამტკიცებს აუდიტორული შემომწების ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს შიდა აუდიტის მოქმედების სფეროს, ამოცანებს, ხანგრძლივობას, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდებს, აუდიტის სახეს და სხვა. აუდიტორული შემომწების ინდივიდუალური გეგმა რომ დამტკიცდება, იწყება შიდა აუდიტორული შემომწების ეტაპი, რომელიც ხორციელდება ინფორმაციის იდენტიფიკაციის, შეგროვების, ანალიზის, შეფასებისა და დოკუმენტირების საშუალებით. ეს, თავის მხრივ, შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

- აუდიტის დაგეგმვა;
- აუდიტის განხორციელება;
- ანგარიშგება;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. [4.]

აუდიტორული შემომწების განხორციელება შესაძლებელია აუდიტის ხუთი სახეობით. ესენია სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი.

შიდა აუდიტის საბოლოო პროდუქტი, რომელსაც აუდიტის განხორციელებით ქმნის შიდა აუდიტორი, არის შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, რომელიც ასახავს შიდა აუდიტის შედეგებს, მისი განხორციელების პროცესსა და მიგნებებს, მათ ანალიზს და მათ საფუძველზე შეიმუშავებულ რეკომენდაციებს. შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი, გონივრული ვადის მითითებით ანგარიშში ასახულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების და რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის წარდგენის მიზნით ეგზავნება შიდა აუდიტის ობიექტს. შიდა აუდიტის ობიექ-

ტის მიერ გათვალისწინებული გონივრული ვადის გაშვების შემთხვევაში შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი ჩაითვლება საბოლოოდ, ხოლო მასში ასახული მიგნებები და რეკომენდაციები – შეთანხმებულად.

იმ შემთხვევაში, თუ შიდა აუდიტის ობიექტი არ ეთანხმება შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტში ასახულ რეკომენდაციებს, საპასუხო წერილით მიუთითებს არგუმენტაციას თავისი პოზიციის გასამყარებლად. თუ შიდა აუდიტის სუბიექტი და შიდა აუდიტის ობიექტი ვერ თანხმდებიან საბოლოო შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე, შიდა აუდიტის სუბიექტი შეუთანხმებელ რეკომენდაციებს, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად უგზავნის დანესებულების ხელმძღვანელს, რომელიც გონივრულ ვადაში იღებს ამ გადაწყვეტილებას.

მნიშვნელოვანია რომ ჩვენი ქვეყანა იზიარებს გამოცდილი ქვეყნების მაგალითს. შიდა ფინანსური კონტროლის მოდელის დანერგვის მაკოორდინირებელ ერთეულს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო- ჰარმონიზაციის ცენტრი. ის უზრუნველყოფს როგორც შიდა აუდიტის, ისე ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებას, კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას.

შიდა აუდიტის სუბიექტები საქართველოში ჩამოყალიბდა გენერალური ინსპექციის ბაზებზე, ასევე საქართველოში მოცემული ეტაპისათვის შიდა აუდიტორს შეუძლია დასაქმება სერტიფიცირებული აუდიტორის ნოდების გარეშე და არ ევალდება წლის განმავლობაში სპეციალური სასწავლო პროგრამების გავლა და კრედიტების დაგროვება, რაც სავალდებულოა მაგ. ესტონეთში. ესტონეთში შიდა აუდიტის სუბიექტი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, ამასთან, საქართველოსაგან განსხვავებით, არ ატარებს ფინანსურ აუდიტს. ესტონეთში, შიდა აუდიტის ფარგლებში, საქართველოსაგან განსხვავებით ჩამოყალიბებულია ცალკე ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ევროკავშირიდან მიღებულ სახსრებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა საქართველოში შიდა აუდიტის სფეროში არსებულ მდგომარეობას ის ფაქტი ამწვავებს რომ ადამიანთა უმრავლესობა არ ენდობა შიდა აუდიტს, რადგან დღეისათვის მას აიგივებენ გენერალურ ინსპექციასთან, სადამსჯელო სამსახურებთან, სამსახურიდან გათვისუფლებასთან. ჩვენის აზრით, ეს ყველაფერი განაპირობა იმ ფაქტმა რომ საქართველოს სამინისტროებში შიდა აუდიტის სუბიექტების

ჩამოყალიბება განხორციელდა არსებული გენერალური ინსპექციების ბაზებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ამ სფეროს განვითარებისა და დახვეწისათვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა :

- აუცილებელია ევროკავშირის მონოდებული კონცეფცია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა - PIFC“ ამუშავებული იქნას მთელი სისრულით, ამით ქვეყანა მიუახლოვდება შიდა აუდიტის ორგანიზაციის ევროკავშირის დადგენილ სტანდარტს;
- აუცილებელია საჯარო მმართველობაში „კარგი კორპორატიული მმართველობის კულტურის“ ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს სიახლეების სწრაფად დანერგვას და ათვისებას;
- შემუშავებულ იქნეს ისეთი კონცეფცია რომელიც უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების

გადამზადებას, რაც მეტი კვალიფიციური კადრი შეემატება ამ სფეროს მით უფრო მეტად განვითარდება საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტი. ვთვლით, რომ ამ მხრივ გასათვალისწინებელია ისეთი განვითარებული ქვეყნის პრაქტიკა როგორც ესტონეთია. თუ გაიზრდება მაღალკვალიფიციური კარდრების რაოდენობა და ყოველწლიური სერთიფიკატის შენარჩუნების სისტემა გამოინვეეს იმას, რომ შიდა აუდიტორები არ ჩამორჩებიან სისტემაში მიმდინარე სიახლეებს.

შიდა აუდიტის შედეგი უნდა იყოს ის, რომ მოხდეს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება, ოპტიმიზაცია და დახვეწა, რამაც უნდა უზრუნველყოს შიდა კონტროლის, როგორც მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, აღიარება.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები (სტანდარტები).
- [2] საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.
- [3] შიდა აუდიტის მეთოდოლოგია.
- [4] ჰარმონიზაციის ცენტრი. www.testi.ia.ge
- [4] www.mof.ge

MONETARY POLICY'S CRYPTOCURRENCY CHALLENGE

ლელა მამალაძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი საქართველო, თბილისი

LELA MAMALADZE,

Phd Candidate in Economics Faculty of Economics and Business Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების გაცვლის საშუალებათა მუდმივ განახლებას. ამის შედეგია კრიპტოგრაფიული ვალუტა, რომელიც ფულის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის თანამედროვე ეტაპზე შეიქმნა.

ინფორმაციულ ტექნოლოგიებს დიდი გავლენა აქვთ ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა ჯერ კიდევ 2000 წლიდან მოყოლებული დაიწყო „ელექტრონული ფულის ინსტიტუტების ბიზნესის“ ზედამხედველობა, ვირტუალური ვალუტის ჩამოყალიბებამ და მისმა მზარდმა პოპულარობამ ახალი გამოწვევები შეუქმნა ცენტრალურ ბანკებს.

სტატიის მიზანია გამოიკვლიოს ვირტუალური ფულის არსებობით გამოწვეული ზეგავლენა ცენტრალური ბანკების მონეტარულ პოლიტიკაზე. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ამ პროცესების დარეგულირებისთვის შექმნილი ოფიციალური დოკუმენტები, აგრეთვე კრიპტოგრაფიული ვალუტის შექმნა, მისი კლასიფიკაცია, ფუნქციონირების სქემა და გადახდების განხორციელების თავისებურებები. ყურადღება გამახვილებულია კრიპტოგრაფიული ვალუტების დეცენტრალიზებულ სტრუქტურასა და იმ გამოწვევებზე, რაც მისი ზედამხედველობის მხრივ იქმნება ოფიციალური უწყებების მხრიდან კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო.

ნაშრომი ეყრდნობა კვლევის როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. გამოყენებულია სამართლებრივი დოკუმენტების კონტენტ ანალიზი, მოცემულია სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ცენტრალური/ეროვნული ბანკი, კრიპტოგრაფიული/ციფრული ვალუტა, ელექტრონული ფული, სამართლებრივი რეგულირება, ბლოკჩეინი, ბიტკოინი.

ABSTRACT

Scientific and technological progress has become one of the most important factors in the development of human society. The increase number of Internet users and the development of information technologies facilitates permanent renewal of goods and services. So, cryptographic currency the result is the that was created at the modern stage of the long history of money development.

Information Technologies have great influence on the economy. Despite the fact that the European Union sets out the rules for the business practices and supervision of e-money institutions since 2000, the formation of virtual currency and its growing popularity created new challenges to central banks.

The purpose of the article is to analyze the effect of virtual money on central banks' monetary policy. Consequently, the paper discusses official documents created for the regulation of these processes, as well as the creation of cryptographic currency, its classification, functioning scheme and the characteristics of payments. The focus is on the decentralized structure of cryptographic currencies and the challenges that are being supervised by the official agencies due to lack of control mechanisms.

The paper is based on both qualitative and quantitative methods of research. Content analysis of legal documents has been used, statistical data and practical examples. Research methodology of the paper includes analysis of materials related to the study topic, processing primary and secondary information.

Keywords: Monetary policy, central /national bank, cryptographic/digital currency, electronic money, legal regulation, blockchain, bitcoin.

შესავალი

მსოფლიოში კრიპტოგრაფიული ვალუტების პოპულარობა ყოველდღიურად მატულობს, რასაც ადასტურებს მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა, რაც 2013 წელს 300 000-დან 1,3 მილიონამდე იყო, კემბრიჯის უნივერსიტეტის 2017 წლის კვლევის

მიხედვით, არსებობს 2.9-დან 5.8 მილიონამდე მომხმარებელი, რომელიც კრიპტოვალუტის საფულეს იყენებს, მათი უმრავლესობა კი ბიტკოინის მფლობელია (1. გვ., 7)) ვალუტის განვითარების ისტორიამ მიგვიყვანა კრიპტოვალუტის ჩამოყალიბებამდე, რადგან ამ სისტემაში ტრანზაქციებს მინიმალური ღირებულება აქვთ. კრიპტოგრაფიული ვალუტის მეშვეობით პროდუქციისა და მომსახურების შექმნა უფრო და უფრო მეტ ადგილას არის შესაძლებელი. ჯერ კიდევ 2015 წლის თებერვლისთვის ის ათასობით სავაჭრო დაწესებულებასა და მსოფლიოს უმსხვილეს კომპანიებს (Paypal, Microsoft, Dell, Newegg) ჰქონდათ გადახდის საშუალებად მიღებული. შემდგომი წლების განმავლობაში კი მომხმარებელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. (2. გვ. 8) პარალელურად, რიგმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ვირტუალური ვალუტის შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შექმნა.

ამ პროცესებში საქართველო ეტაპობრივად ერთვება. კომპანია e-money-ის ინფორმაციით, საქართველოში კრიპტოვალუტის მომხმარებელთა რიცხვი სწრაფად მზარდია. კომპანიის ცნობით, ბიტკოინის მომხმარებელთა რაოდენობა 2015-დან 2016 წლამდე 400%-ით გაიზარდა, 2016-დან 2017 წლამდე კი - 130%-ით. (3. გვ., 1)

მომხმარებელთა სწრაფი ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, საკითხი ძალიან აქტუალურია. შესაბამისად, საჭიროა განვიხილოთ ყველა ის დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რაც თან ახლავს ამ პროცესებს - ფინანსურ ბაზრებზე გავლენა, მონეტარული პოლიტიკის ფორმირება ამ მიმართულებით, რისკები და განვითარების პერსპექტივები.

კვლევის მიზანია წარმოადგენს საქართველოში კრიპტოგრაფიული ვალუტის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა და მისი შედარება მსოფლიო გამოცდილებასთან. საქართველო, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა საბჭოური გამოცდილებით, დიდ სირთულეებს აწყდება ფინანსური საკითხების მხრივ. მსოფლიო ეკონომიკის ცვალებადი ტენდენციების მიმართ პატარა ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ღია და ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკური გამოცდილება, განიცდიან ურთიერთდამოკიდებული და ინტეგრაციული პროცესების სერიოზულ ზეგავლენას (4. გვ., 1). 1990-იანი წლებიდან მოყოლებული პერმანენტულმა საბიუჯეტო კრიზისმა და მისგან გამონვეულმა მრავალმა სირთულემ, თავისი დალი დაასვა ქვეყნის განვითარებას ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა მიმართულებებით. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი ცდილობს გაიზიაროს

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და მოახდინოს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი წარმართვა.

წარმოშობის მიზანია გააანალიზოს ვირტუალური ფულის არსებობით გამოწვეული ზეგავლენა ცენტრალური ბანკების მონეტარულ პოლიტიკაზე. აგრეთვე, კრიპტოგრაფიული ვალუტის შექმნისა და ფუნქციონირების სქემა, გადახდების განხორციელების თავისებურებები. დადებითი და უარყოფითი მხარეები, დეცენტრალიზებული სტრუქტურა და ის გამოწვევები, რაც მისი ზედამხედველობის მხრივ იქმნება ოფიციალური უწყებების მხრიდან კონტროლის მექანიზმის არარსებობის გამო.

ზემოთჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად საჭირო გახდა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- კრიპტოგრაფიული ვალუტის არსში და რეგულირების საკითხებში გარკვევა;
- კანონმდებლობის ანალიზი და უცხოური გამოცდილების კვლევა;
- კრიპტოგრაფიულ ვალუტასთან დაკავშირებული რისკების გამოვლენა რეგულირების ეფექტიანი მეთოდების შემუშავებისთვის
- საზოგადოების გამოკითხვის და შედეგების შეჯამება

კვლევის ობიექტი და მეთოდები: კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც ზოგადი, ისე სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ, ანალიზი, სინთეზი, დაჯგუფება და ა.შ. რადგან ვირტუალური ვალუტა მზარდი პოპულარობით ბოლო ათწლეულია სარგებლობს, საკითხის გარშემო უამრავი ლიტერატურა, კვლევა და სპეციალური ანგარიშებია შექმნილი. აგრეთვე, საკითხი ფართო გაშუქების საგანია მასმედიაში, რაც შეგვიძლია დავასკვნათ სტატიებიდან, ინტერვიუებიდან თუ ბლოგებიდან გამომდინარე.

I. კრიპტოგრაფიული ვალუტის არსი, კლასიფიკაცია და ფუნქციონირების თავისებურებები

ვალუტის კლასიფიკაციისთვის გამოიყოფა ორი ფაქტორი: იურიდიული სტატუსი და ფულის ფორმატი. ფორმატის მიხედვით, ფული შეიძლება დაიყოს ფიზიკური და ციფრული ფორმის ფულად. ციფრული ვალუტები ფულის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის თანამდროვე ეტაპია. ვირტუალური ვალუტები ფორმითა და გამოყენების სფეროთი ძალიან გავს ელექტრონულ ფულს. ამიტომ, მნიშვნელოვანია მათი გამოიყვანა. კერძოდ, ელექტრონული ფული არის მოთხოვნა მისი გამოშვების მიმართ და მისი გამოშვება ხდება მიღებული ფულადი საშუალებების სანაცვლოდ.

კრიპტოვალუტა - ეს არის ვირტუალური ვალუტა, რომლის ერთ ერთეულად ითვლება მონეტა (coin, ინგლ.), რომელიც მთლიანად დაცულია ნებისმიერი გაყალბებისგან, რადგან შეუძლებელია მისი კოპირება. გამომდინარე იქედან, რომ არცერთ მისამართზე, კომპანიასა თუ ვალუტაზე არაა მიზმი და სრულიად დამოუკიდებელია ნებისმიერი ცენტრალური მარეგულირებელი ინსტიტუტისგან.

ევროპის ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციის თანახმად, „ვირტუალური ვალუტა არის არარეგულირებადი ციფრული ფულის ტიპი, რომლის გამოშვება და ჩვეულებრივ კონტროლიც ხორციელდება მათი შემქმნელების მიერ და გამოიყენება სპეციფიკური ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ“. ვირტუალური ვალუტების კლასიფიკაციისათვის ევროპის ცენტრალური ბანკი იყენებს ორ ძირითად კრიტერიუმს: ა) რეგულირებადი ვალუტით ვირტუალური ვალუტის შექმნის შესაძლებლობა. ბ) ვირტუალური ვალუტით რეალური საქონლისა და მომსახურების შექმნის შესაძლებლობა.

ყველა რეგულირებად ციფრული ფორმატის ვალუტას ცენტრალიზებული სტრუქტურა აქვს, დეცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში კი ციფრული ვალუტა იქმნება წინასწარ განსაზღვრული ალგორითმით და არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ფულის ემისიაზე. (5. გვ., 31)

კრიპტოვალუტას აქვს საკმაოდ დიდი ღირებულება და ეტაპობრივად მკვიდრდება რეალობაში. მისი ასეთი პროგრესირება იმ დადებითი მხარებით არის განპირობებული, რომ მოხმარება არის ძალიან მარტივი, სწრაფი და საკმაოდ დაბალია საკომისიო გადარიცხვებზე. ამდენად აუცილებელია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული ტრანზაქციების დადასტურებას და თავიდან აიცილებს გადამხდელის მიერ იმავე სავალუტო ერთეულით სხვა გადახდის განხორციელებას. ალგორითმების სირთულიდან გამომდინარე არ არის გამოიცილებული პროგრამული შეცდომები, რომლის არაერთი მაგალითი გვაქვს.

შესაბამისად, ვირტუალური ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების არსებობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა. ტრანზაქციები ძალიან იაფი, სწრაფი და გლობალურია, დაცულია ინფლაციისგან. მას აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურა, ანუ მონაწილეობს მხოლოდ მყიდველი და გამყიდველი.

რაც შეეხება უარყოფით ასპექტებს, მნიშვნელოვანია კიბერრისკების გათვალისწინება - არსებობს ჰაკერების საფრთხე. მისი გამოყენება მარტივად შეუძლიათ ტერორისტებს და სხვა

ბოროტმოქმედებს. ამის გამო დიდი რისკია, იმისა, რომ რომელიმე ქვეყანამ ის აკრძალოს. გარდა ამისა, ტრანზაქცია არ არის დაზღვეული - შესრულებული ტრანზაქციის შემდეგ გადარიცხულს ვალუტის უკან დაბრუნება ვერ ხერხდება. იქედან გამომდინარე, რომ ეს ვალუტა, ჯერჯერობით, არაოფიციალურია, არსებობს იმის შანსიც, რომ ბიტკოინის გადამცვლელმა რომელიმე სერვისმა მოგატყუოთ. ფინანსური კრიზისის კვალდაკვალ კრიპტოვალუტა, ფაქტობრივად, უფრო მაღალი უსაფრთხოებისთვის და დაცულობისთვის შეიქმნა, ვიდრე ტრადიციული ფული და აქტივები, თუმცა როგორც რეალობა აჩვენებს, გაკოტრება და ჰაკერული თავდასხმა აქაც დასაშვებია. თანაც, კრიპტოვალუტის ბირჟების გაკოტრების და ანგარიშების გატეხვის შემთხვევებში დაზარალებული ყველაფერს კარგავს სწორედ მარეგულირებადი მექანიზმების არარსებობის გამო. მაგალითად, 2013 წელს ჩინური მსხვილი კრიპტოვალუტის ბირჟის გაკოტრების შედეგად ბიტკოინის მფლობელებმა 5 მილიონი დოლარის მოცულობის ბიტკოინი დაკარგეს. 2014 წელს იმ დროისთვის უმსხვილესი კრიპტოვალუტის ბირჟა ტ.ოხ გაკოტრდა, 473 მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინი გაქრა, რაც დაახლოებით 750 ათას ბიტკოინს შეადგენდა. შესაბამისად, ბიტკოინის ფასი იმ წელიწადს 1160 დოლარიდან 400 დოლარამდე დაინია. (6. გვ., 1)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კრიპტოვალუტა მაღალი რისკის შემცველი ინვესტიციაა, მაღალი მოგებით. კრიპტოვალუტის ბაზარს არავინ აკონტროლებს და მას მხოლოდ მოთხოვნის არსებობა არეგულირებს, შესაბამისად, ახასიათებს ღირებულების ძლიერი ცვალებადობა.

თავი II: საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება

გლობალიზაციის პირობებში, ახალი ტექნოლოგიების მსგავსად, ვირტუალური ფულის გამოჩენამაც წარმოშვა ახალი გამოწვევები ფინანსური ინსტიტუტების ზედამხედველობისათვის. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ მას გააჩნია, როგორც ვალუტის, ასევე საცალო საგადახდო სისტემის და აქტივების თვისებები და ვერ თავსდება ვალუტის, ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტიტუტის მიღებულ განსაზღვრებაში (7. გვ., 2)

ციფრული და ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში საჯარო ადმინისტრირების ტრადიციული სტრუქტურა ეფექტიანი არ არის (8. გვ., 1). ცალსახაა, რომ ვირტუალურ ვალუტას დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან

და მათ განვითარებაზე მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი. მთავარი გამოწვევა, რაც უმეტესი მარგეულირების წინაშე დგას, ბალანსის შენარჩუნებაა; ერთი მხრივ, ფინანსური სერვისების სფეროში ინოვაციების ხელშეწყობასა და, მეორეს მხრივ, არალეგალური მიზნებისთვის ამ ინოვაციების გამოყენებისგან დაცვას, ასევე, ინოვაციათა მომხმარებლების უფლებების დაცვას შორის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ კრიპტოვალუტის ბიზნესი აკრძალა კიდევ (ირანი, სამხრეთ კორეა).

მიდგომები განსხვავებულია სახელმწიფოთა მიხედვით და რაც საინტერესოა, თვით ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც. ევროკავშირი კრიპტოვალუტით ვაჭრობაზე გარკვეული რეგულაციების დანერგვის მომხრეა. წევრი ქვეყნები და კანონმდებლები ბიტკოინთან დაკავშირებით მკაცრი ზომების მიღებაზე თანხმდებიან, რათა ევროკავშირმა კრიპტოვალუტის გამოყენებით ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება აღმოფხვრას. (9. გვ., 2)

ევროპის ცენტრალური ბანკის დოკუმენტში განხილულია ვირტუალური ვალუტის სქემების შესაძლო ზეგავლენები ცენტრალური ბანკის შემდეგი ფუნქციების შესრულებაზე: ა) ფასების სტაბილურობაზე; ბ) ფინანსურ სტაბილურობაზე; და გ) საგადახდო სისტემის სტაბილურობაზე. ასევე, ეს დოკუმენტი შეეხება ცენტრალური ბანკის პოტენციურ რეპუტაციულ რისკს, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ვირტუალური ვალუტის სქემების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულმა ინციდენტებმა (10. გვ., 12). საკანონმდებლო ნორმების არ არსებობის გამო, ეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფო სტრუქტურების გამოწვევას, რადგან აღნიშნული სქემები შეიძლება გამოყენებულ იქნას კრიმინალების, თაღლითებისა და ფულის გათეთრებლების მიერ უკანონო საქმიანობისთვის. ევროპის ცენტრალურ ბანკს ასევე მოჰყავს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ვირტუალური ვალუტის მოცულობის ზრდის ხელშეწყობია: ა) ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და მზარდი გამოყენება, რაც ვირტუალური საზოგადოების წევრების რაოდენობის ზრდას იწვევს; ბ) ელექტრონული კომერციისა და ციფრული საქონლის ზრდა, რომელიც იდეალური გარემოა ვირტუალური ვალუტის სქემებისთვის; გ) ანონიმურობის უმაღლესი ხარისხი სხვა ელექტრონული გადახდის ინსტრუმენტებთან შედარებით, რომელიც მიიღწევა ვირტუალური ვალუტით გადახდის დროს; დ) დაბალი ხარჯები (საკომისიო), ტრადიციული გადახდის სისტემებთან შედარებით; ე) გადახდის ოპერაციების უფრო პირდაპირი და სწრაფი კლირინგი და

ანგარიშსწორება, რომელიც სჭირდება და სასურველია ვირტუალური საზოგადოებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალურ ვალუტის სქემები გააგრძელებს ზრდას, ევროპის ცენტრალური ბანკი საჭიროდ თვლის რომ, პერიოდულად შემოწმდეს სქემების განვითარება, რათა გადაფასდეს რისკები (11. გვ., 8)

2013 წლის დეკემბერში **ევროპული ბანკების სააგენტომ** გადაწყვიტა გამოეცა გაფრთხილება ვირტუალური ვალუტის მომხმარებლებისთვის, სადაც ხაზი გაუსვა იმ რისკებს, რომელიც ემუქრება მომხმარებელს ვირტუალური ვალუტის ყიდვისას, შენახვისას ან ვირტუალური ვალუტით ვაჭრობისას. ანგარიშში ნათქვამია, რომ აუცილებელია მომხმარებელი მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული ვირტუალური ვალუტის თანმდევი საფრთხეებისა და მოსალოდნელი ფინანსური ზარალის მიმართ, რადგან არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი დაცვა, რომელიც აუნაზღაურებს მომხმარებელს დანაკარგს. ყურადღება გამახვილებულია ჰაკერულ საფრთხეებსა და დაუზღვეველ ტრანზაქციებზე, სადაც შეცდომის დაშვების შემთხვევაში ოპერაციის გაუქმება შეუძლებელია. დოკუმენტი ეხება ვირტუალური ვალუტის ღირებულების სწრაფ ცვლილებასა და მომხმარებლების ანონიმურობის გამო არალეგალურ საქმიანობაში ჩაბმის რისკს. (12. გვ., 21)

რაც შეეხება კონკრეტულ სახელმწიფოებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს რადიკალურად განსხვავებული მიდგომები კრიპტოგრაფიულ ვალუტებთან მიმართებაში. **გერმანიის** შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტროს განცხადების მიხედვით, ვირტუალური ვალუტა არ არის ელექტრონული ფული და არც გადახდის კანონიერი საშუალება, ამიტომ გადარიცხვა უნდა განიხილებოდეს, არა როგორც ფულადი სახსრების გადარიცხვა, არამედ როგორც საქონლის ტრანსფერი, რომელიც უნდა დაექვემდებაროს დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადს (13. გვ., 2)

კრიპტოგრაფიული ვალუტის გავრცელების ერთ-ერთ მსხვილ ბაზრად ითვლება **აშშ**. ნიუ-იორკის შტატის ფინანსური სერვისების დეპარტამენტმა 2014 წელს შეიმუშავა, მოიცავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და უსაფრთხოების წესებს ვირტუალური ვალუტის ბიზნესებისთვის. ახალი ტიპის ლიცენზიები (ე.წ. „BitLicenses“) დასჭირდებათ იმ პირებს, რომლებიც ანარმოებენ ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა ვირტუალური ვალუტის მიღება და გადაგზავნა/ გადაცემა კლიენტებზე. ლიცენზიის მქონე პირები ვალდებული არიან მოახდინონ ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირე-

ბა, აგრეთვე, მათზე განხორციელდება აუდიტი (14. გვ., 7). შეერთებული შტატების დედაქალაქში უკვე შეიქმნა ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებას ემსახურება კრიპტოვალუტასთან და ბლოკჩეინის ტექნოლოგიასთან მიმართებაში. 2009 წელს ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ მიიღო ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ვირტუალური ვალუტის გამოყენებას და რომლის მიხედვითაც, აიკრძალა ვირტუალური ვალუტით აზარტული თამაშები და არასრულწლოვანებისთვის ვირტუალური ვალუტის მიყიდვა (15. გვ., 3). 2013 წელს კი გამოიცა ნორმა ბიტკოინთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბიტკოინი არ ატარებს კანონიერი გადახდის საშუალების თვისებებს, არამედ არის ვირტუალური საქონელი და არ შეიძლება გამოყენებული იქნას ბრუნვაში როგორც ვალუტა. ბიტკოინების გადამცვლელების ვებ-გვერდები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ ტელეკომუნიკაციების ბიუროში და დაექვემდებარონ ფულის გათვთვების საწინააღმდეგო მოთხოვნებს (16. გვ. 3). აგრეთვე, საუბარია იმაზე, რომ ვირტუალური ვალუტის ვაჭრობიდან მიღებული მოგება ჩინეთში დაექვემდებარება საშემოსავლო გადასახადს (17. გვ., 9)

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიტკოინის დეცენტრალიზებული ბუნების გამო, მისი შეზღუდვა ან აკრძალვა შეუძლებელია, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება კრიმინალიზებული იყოს. ბიტკოინის იურიდიული სტატუსი არსებითად განსხვავებულია სხავდასხვა ქვეყნებში. ზოგიერთმა ქვეყანამ მისი გამოყენება ვაჭრობისთვის და სხვა მიზნებისთვის ნებადართული გახადა, ზოგიერთმა კი საერთოდ აკრძალა. რეგულაციები და აკრძალვები, რომლებიც ვრცელდება ბიტკოინზე, შესაძლოა სხვა კრიპტოვალუტებზეც გავრცელდეს.

თავი III: საქართველოში არსებული ტენდენციები

საქართველოში კრიპტოვალუტის მომხმარებელთა რიცხვი სწრაფად მზარდია. ბიტკოინის მომხმარებელთა რაოდენობა 2015-დან 2016 წლამდე 400%-ით გაიზარდა, 2016-დან 2017 წლამდე კი - 130%-ით (19. გვ., 1)

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ივნისში შეიქმნა პირველი ქართული კრიპტოვალუტა „ოქროს საწმისი“ (Golden Fleece – GFL), რომელიც მიზნად ისახავს კრიპტოვალუტის გამოუმუშავების (მაინინგი) მონაცემთა ბაზის აშენებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე - საქართველოში.

გარდა ამისა, Bitfury ჰოლდინგი ფლობს საქა-

რთველოში თავისუფალ ეკონომიკურ ზონას. რითაც ტერიტორიაზე სამენარმეო საქმიანობა საქართველოში არსებული ყველა ტიპის გადასახადისგან სრულად გათავისუფლდა.

აღსანიშნავია, რომ ვირტუალური ვალუტა საქართველოში მზარდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, ბევრი სხვა სახელმწიფოს მსგავსად, იგი საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის კანონიერ საშუალებას. მასთან დაკავშირებული საქმიანობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა დგას ეროვნული ბანკის დღის წესრიგში, რომელმაც 2017 წლის დეკემბერში მოუწოდა მოსახლეობას, გამოეჩინათ სიფრთხილე კრიპტოვალუტებთან მიმართებაში. მიმდინარე წლის მაისში კი კრიპტოვალუტების რეგულირების შესწავლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა გერმანიის ფინანსური სექტორის ზედამხედველობის წარმომადგენელთან, ჯენს მუენზერთან. შეხვედრის მიზანი მარეგულირებელი ღონისძიებების შედეგად მიღებული გამოცდილება იყო.

გამომდინარე იქედან, რომ ამ ეტაპისთვის არ არსებობს კონკრეტული კანონპროექტი, რეგულირების ეფექტიანი ნორმის შესამუშავებლად საჭიროა საკითხის სიღრმისეული, მეცნიერული შესწავლა და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

დასკვნა

კვლევის სააფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრიპტოვალუტის დამკვიდრება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცენტრალურ ბანკებს, აწარმოონ ოფიციალური მაკრო-ეკონომიკური სტატისტიკა, რაც, თავის მხრივ, პრობლემებს უქმნის მონეტარული პოლიტიკის სწორად განხორციელებას. მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს ერთობლივი მიდგომა ვირტუალური ვალუტების რეგულირებასთან დაკავშირებით. თუმცა, მსოფლიოს ცენტრალური ბანკები აგრძელებენ თანამშრომლობას ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად

საკითხის შეჯამების საფუძველზე, შეგვიძლია გამოვყოთ კრიპტო ინდუსტრიის თანმდევი შემდეგი გამოწვევები:

- სახელმწიფო მიდგომა და სამართლებრივი რეგულირების საკითხები;
- არის რიგი გაურკვეველობა ტერმინოლოგიურ განმარტებებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ აუცილებელია უცხოური გამოცდილების გაზიარება და აღნიშნული საკითხის დახვეწა;
- ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება. კრიპტოვალუტების ეკოსისტემის

- განვითარების მზარდი ტენდენცია, რომელიც ტრადიციული საფინანსო და საბანკო სფეროს ალტერნატივას ქმნის, შესაძლოა გახდეს საფინანსო ბაზრის ქაოსის გამომწვევი ფაქტორი;
- მალალი ენერგომომხარება, რაც მსგავსი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში სერიოზულ გავლენას იქონიებს კლიმატის ცვლილებაზე;
 - სირთულე კრიპტოვალუტის ნომინალური ღირებულების პროგნოზირებისას.
- აღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ:
- შეფასდეს კრიპტოვალუტის განვითარების

თავისებურებები კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით და განისაზღვროს მოსალოდნელი გამომწვევების გადაჭრის გზები;

- რეგულაციას დაექვემდებაროს კერძო და სამოქალაქო პირების მიერ ახალი კრიპტოვალუტების შექმნის საკითხი;
- სამართლებრივად დარეგულირდეს ციფრული ინდუსტრია;
- გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებისთვის.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Hileman, Garrick; Rauchs, Michel** (2017), global cryptocurrency benchmarking study, University of Cambridge;
- [2] იგივე წყარო;
- [3] რა რისკების წინაშე დგანან კრიპტოვალუტის მომხმარებლები და შესაძლებელია თუ არა მისი აკრძალვა. ხელმისაწვდომია http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=284 (მოძიებულია: მაისი, 2018);
- [4] **Lekashvili, E.** Social Integration in the Context of Regional Economic Integration (On the Example of the South Caucasian States, “Empires and Nations from the 18th to the 20th century”, Volume 2, edited by Antonello Biagini and Giovanna Motta. Cambridge Scholars Publishing, 2014, Co-author G. Gaprindashvili. pp.142-152. ISBN (10): 1-4438-6017-4; ISBN (13): 978-1-4438-6017-8;
- [5] Greenberg (2011). Crypto Currencies. ხელმისაწვდომია: <https://www.forbes.com/forbes/2011/0509/technology-psilocybin-bitcoins-gavin-andresen-crypto-currency.html#7d218aec353e> (მოძიებულია: აპრილი, 2018);
- [6] Cryptocurrency Market. ხელმისაწვდომია <https://taripebi.ge/blog/statia/1733> (მოძიებულია: აპრილი, 2018);
- [7] **Brito, Jerry & Castillo, Andrea** (2013). Bitcoin: A Primer for Policymakers. Technology Policy;
- [8] **Lekashvili E., E** – Governance and Economics Curricula Modernization Needs at Tbilisi State University, IV International Scientific and Practical Conference „Strategic Imperatives of Modern Managements (SIMM – 2018), 19-20 April 2018 and Round Table „Digital Economy: Threats, Opportunities and Education’s Calls”, Kiev National Economic University named after Vadym Hetman, Singulatoryu Kiev Chapter, Kiev, pp.219-222;
- [9] EU agrees clampdown on bitcoin platforms to tackle money laundering ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/uk-eu-moneylaundering/eu-agrees-clampdown-on-bitcoin-platforms-to-tackle-money-laundering-idUSKBN1E928M> (მოძიებულია: აპრილი, 2018)
- [10] ECB’s report on virtual currency schemes (2012) ხელმისაწვდომია: <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemes201210en.pdf> (მოძიებულია: აპრილი, 2018);
- [11] **ჭყოიძე ნატალია. ტომარაძე, გიორგი** (2016) ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები: ვირტუალური ვალუტის რეგულირება Bitcoin-ის მაგალითზე. საქართველოს ეროვნული ბანკი;
- [12] EBA Opinion on Virtual Currencies (2014). ხელმისაწვდომია: <https://www.eba.europa.eu/documents/10180/657547/EBA-Op-2014-08+Opinion+on+Virtual+Currencies.pdf> (მოძიებულია: მაისი, 2018);
- [13] **Ellis, Scott** (2013), A Cryptography Primer. Cura Corporation, Chicago, United States;
- [14] იგივე წყარო;
- [15] Ministry of Commerce of People’s Republic of China (2009);
- [16] BTC China, The People’s Bank of China and Five Associated Ministries Notice: “Prevention of Risks Associated with Bitcoin”;
- [17] **Ye, Juliet** 2009, China Cracks Down on Virtual Currency For Real. ხელმისაწვდომია <http://blogs.wsj.com/chinarealttime/2009/06/29/china-cracks-down-on-virtual-currency-for-real/> (მოძიებულია: აპრილი, 2018);
- [18] რა რისკების წინაშე დგანან კრიპტოვალუტის მომხმარებლები და შესაძლებელია თუ არა მისი აკრძალვა. ხელმისაწვდომია http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=284 (მოძიებულია: მაისი, 2018);
- [19] იგივე წყარო

საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში

THE CHALLENGES AND PERSPECTIVES OF GROWTH BUDGETARY REVENUES IN GEORGIAN SELF-GOVERNING CITIES

მერაბ ვანიშვილი,

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი. საქართველო, თბილისი
ბადრი გეჩბაია,

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო, ბათუმი

ნინო ვანიშვილი,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, საქართველო, თბილისი

MERAB VANISHVILI,

Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University. Georgia, Tbilisi

BADRI GECHBAIA,

Doctor of Economics, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University. Georgia, Batumi

NINO VANISHVILI,

Doctor of Business Administration, Assistant Professor of Georgian Technical University. Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

სტატიაში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შესწავლილია ფინანსური მეცნიერებისა და სამეურნეო ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის პერსპექტივები საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში.

თვითმმართველი ქალაქების საბიუჯეტო შემოსავლების არსებული სტრუქტურის განხილვის საფუძველზე დადგენილია, რომ თვითმმართველი ქალაქები ფინანსურ საკითხებში დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ხაზგასმულია, რომ თვითმმართველმა ქალაქებმა რეგულარულად უნდა იმუშაონ ახალი სახის შემოსავლების შემოღებაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათი ბიუჯეტების შემოსავლებს, რაც თავის მხრივ, ადგილობრივ ხელისუფლებებს მისცემს მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას.

დასაბუთებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება წარმოადგენს, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება, კონკურენცია და შეჯობრებითობა.

საკვანძო სიტყვები: საბიუჯეტო შემოსავლები, ტრანსფერები, გრანტები, გადასახადები, მოსაკრებლები, ტაქსების მოსაკრებელი, ტურისტული მოსაკრებელი, სატრანსფერო პოლიტიკა.

ABSTRACT

In the article, based on the latest literary sources and factual data, there is an important issue of financial science and economic life, such as prospective growth of budget revenues in Georgian self-governing cities.

Based on the consideration of existing structure of budgetary revenues of self-governing cities, it is established that self-governing cities are dependent on financial affairs on the central government. It is stressed that self-governing cities should regularly work on the introduction of new types of revenue, which will significantly increase their budget revenues, which in turn will give local authorities the opportunity to implement important projects.

It is justified that one of the most important tasks of the state government is to implement effective transparency policy in the country, which should ensure fair distribution, competitiveness and competitiveness between separate regions.

Keywords: budget revenues, transfers, grants, taxes, fees, Tax fees, tourist fees, transfer policy.

შესავალი

საქართველოში ადგილობრივი ფინანსების კუთხით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომლებიც სხვადასხვაგვარად აისახა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე და ფინანსურ დეცენტრალიზაციაზე. დეცენტრალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი სტიმული იყო 2004 წლის ოქტომბერში საქართველოს მიერ „ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია, რითაც ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს წინაშე აიღო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება.

2006 წლის 24 მაისს მიღებულ იქნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“, რომელიც ძალაში 2007 წლის 1 იანვრიდან შევიდა. კანონმა დაარეგულირა ისეთი საკითხები, რომლებიც, ამ კანონის მიღებამდე, სხვადასხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებში იყო გაბნეული: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პრინციპები; ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, შესრულება, აუდიტი, ზედამხედველობა, ანგარიშგება, შეფასებისა და კონტროლის წესი; წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებები.

2010 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა თვითმმართველობისათვის, ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების პრინციპის გათვალისწინება იყო და გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულით აისახა კანონში [1].

2011 წელს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხები [2]. აღნიშნული მეთოდოლოგია განახლდა 2015 წელს, სადაც უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმე-

ბიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. მართალია, პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის განახლება ამ ეტაპზე შეეხო ცენტრალური ხელისუფლების მხარჯავ დაწესებულებებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს მუშაობა თვითმმართველი ერთეულებისათვის პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგიის დასახვეწად.

2014 წლის ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება, მუნიციპალიტეტის „საკუთარ უფლებამოსილებას“ განეკუთვნება [3].

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ შესაბამისი ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელების უმთავრესი ინსტრუმენტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტია. მისი მეშვეობით ხდება, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადაცემული უფლებამოსილებების შესრულება.

2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე, გარდა საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა. აღსანიშნავია, რომ მათი ჩართვა დაგეგმილი იყო 2018 წელს, თუმცა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად პარლამენტში შეტანილ იქნა საბიუჯეტო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალში ჩართვას 2019 წლიდან, რაც დამტკიცდა კიდეც.

2016 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შეიმუშავდა საინვესტიციო პროექტების

მართვის მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესები და პროცედურები, განსაზღვრულია მონაწილე მხარეების როლები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. გზამკვლევი საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა შემოთავაზებული კაპიტალური ინვესტიციები თანმიმდევრულად და დადგინდეს პროექტების პრიორიტეტულობა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკის, ისე დარგობრივი და რეგიონული მიმართულებებით [4].

2016 წელს მომზადდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები იყოფა 2 ჯგუფად: მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები – ჯამში 64 მუნიციპალიტეტი; თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტები – ჯამში 5 თვითმმართველი ქალაქი. თვითმმართველი ქალაქის სტატუსი მინიჭებული აქვს შემდეგ თვითმმართველობებს: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი.

თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭება რიგ შემთხვევებში პრივილეგიებს გულისხმობს. მაგალითად: მოსაკრებლების შემოღებაში პრივილეგია – არსებობს შემოსულობები (ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის ნებართვის, პარკირების), რომლებიც მხოლოდ თვითმმართველ ქალაქში მოქმედებს.

გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულაში პრივილეგია – კანონით აღიარებულია, რომ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შორის შემდგენაირადაა განაწილებული: 63% - 5 თვითმმართველი ქალაქი; 37% - 64 მუნიციპალიტეტი [5].

თვითმმართველი ქალაქებიდან ორს აქვს სპეციალური სტატუსი: თბილისი – საქართველოს დედაქალაქი და ბათუმი - აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ამ სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნულ თვითმმართველ ქალაქებს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულაში გააჩნიათ მნიშვნელოვანი პრივილეგია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ანალიზი და კვლევაა ჩატარებული, საჭიროა გადაიხედოს თეორიული პოზიციები და მოხდეს შეჯამება შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის ექსპლანატი პრაქტიკული გამოცდილებისა თვითმმართველ ქალაქებში, გამოვლინდეს რიგი დაბრკოლებები, რათა მოხდეს პრობლემების შესწავლა, ანალიზი და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის, როგორც მუნიციპალური ფინანსების დაგეგმვის ეფექტიანობის ამაღლების თანამედროვე მეთოდის, შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით. ეს მოითხოვს აღნიშნულ პრობლემაზე სამეცნიერო კვლევების გაგრძელებასა და გაღრმავებას.

კვლევის შედეგები: საქართველოში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ვერ გახდა შესაძლებელი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდლების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების მექანიზმის სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა თვითმმართველ ერთეულებში საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციას. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში ერთერთ აქტუალურ პრობლემას ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდლების პროგნოზირება წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შედგენისათვის უპირველესი ამოცანა არის მისი პოტენციური შემოსულობების სახეობათა განსაზღვრა. ამის შემდგომ კი მნიშვნელოვანია შემოსულობათა პროგნოზირება, რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენის უმთავრესი საფუძველია.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობები არის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:



შემოსულობების პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგადასახადო შემოსავლების, გათანაბრებითი ტრანსფერისა და ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირებას. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების და გათანაბრებითი ტრანსფერის პროგნოზირებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს¹ [1, მუხლი 77], ხოლო სხვა შემოსულობების დაგეგმვა მთლიანად დამოკიდებულია თვითმმართველ ერთეულის მიერ მის პროგნოზირებაზე, ძირითადად სტატისტიკური მონაცემების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე.

გარიგებების რაოდენობა ბოლო 6 წლის მანძილზე მუდმივად იზრდებოდა. ამ უკანასკნელში საცხოვრებელ ბინებზე დადებული გარიგებების დიდი მოცულობა მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ განაპირობა. 6 წლის მანძილზე ოჯახების შემოსავლები საშუალოდ 15%-ით იზრდებოდა და ერთ ოჯახზე თვეში 2007 წელს არსებული 348 ლარიდან, 2013 წლის მონაცემებით, 800 ლარამდე გაიზარდა. [„Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.]. ამ მაჩვენებელში ასევე გათვალისწინებულია უცხოეთში მომუშავე ოჯახის წევრების გზავნილებიც.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2012 წელს (საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია) 64 შუალედური ანგარიში იპოთეკური სესხები შინამეურნეობებისთვის, სესხები მშენებლობისათვის და უძრავი ქონებით ოპერაციებისათვის ჯამში 25.1%-ს შეადგინა. [საქართველოს ეროვნული ბანკი. 2018. <https://www.nbg.gov.ge>]. ამ სამ სექტორზე გაცემული სესხები, შესაძლებელია, არსებითად, გავაერთიანოთ “მშენებლობის და უძრავი ქონების” ერთიანი სექტორის ქვეშ. შესაბამისად, ამ სფეროში გაცემული სესხების თითქმის მეოთხედი პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა მშენებლობის სფეროს გაფართოებაზე, რაც 2007 წლის ბოლომდე განსაკუთრებულად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2007 წლიდან (ამ მიმართულებით) კრიზისი ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომამდე და მსოფლიო კრიზისამდე დაიწყო. აღნიშნული პერიოდიდან დაიწყო ინვესტიციების შეკვეცა, ბანკებმა კი კვლავ განაგრძეს კრედიტების გაცემა. მშენებლობის და იპოთეკური სესხების განმსაზღვრელი ნაწილი უშუალოდ

ბინათმშენებლობაზე იყო ორიენტირებული. ბინათმშენებლობა, როგორც ფაქტორი, ზეგავლენას ახდენდა მშპ-ს ზრდაზე, მაგრამ “კაპიტალიზაცია” ამ შემთხვევაში პირობითი იყო, რადგან უპირატესად სამომხმარებლო დანიშნულების აქტივების ფორმირება ხდებოდა. გასათვალისწინებელია იყო, რომ საქართველოში 2005-2008 წლებში ჩამოყალიბებულმა “იპოთეკურმა ბუმმა” მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია უძრავი ქონებაზე ფასების ზრდაზე. თუ წინა წლებში, თბილისში საცხოვრებელი ფართის საშუალო ფასი განუზრელად იზრდებოდა რუსეთთან ომმა, როგორც მძლავრმა შოკმა, ბუნებრივია, ფასების ვარდნა გამოიწვია. ამ პერიოდში საშუალო გასაყიდი ფასი 1 კვადრატულ მეტრზე (2007 წლიდან 2008 წლამდე) 13.4%-ით შემცირდა და 745 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2009 წელს კიდევ 12.8%-ით შემცირდა და 650 აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საქართველოს ეკონომიკა 3.7%-ით დაეცა. ამასთან საინტერესოა ისიც, რომ უძრავი ქონების სექტორში ფასების ვარდნის ერთგვარი კომპენსაცია მოხდა დადებული გარიგებების რაოდენობის ზრდის ხარჯზე (გარიგებების რაოდენობა 2008 წელს 2.3%-ით გაიზარდა, ხოლო 2009 წელს – 6.4%-ით). [„Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015.].


აღნიშნულ წლებში შემოსავლების ზრდამ და საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ იპოთეკური სესხები უფრო ხელმისაწვდომი გახადა და უძრავ ქონებაში ინვესტიციების ზრდა გამოიწვია. 2013 წლის განმავლობაში კი გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა და 690 მლნ ლარს მიაღწია. სულ

იპოთეკური სესხების პორტფელმა 2013 წლის ბოლოსთვის 1.1 მლდ ლარს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, იპოთეკური სესხების მოცულობა მაინც დაბალ დონეზე იყო და ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 4%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მაჩვენებელი 15%-ზე მაღალი იყო. იპოთეკური სესხი საქართველოს მოსახლეობის (დაახლოებით) 2%-ზე ნაკლებს ჰქონდა აღებული.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, უძრავი ქონების ფასის კვლევის 2013 წლის მონაცემებით, უძრავ ქონების შეძენაზე დარიცხუ-

ლი ხარჯების უმეტესობა (57,4 %) არაფინანსურ კორპორაციებზე მოდის, განსაკუთრებით დიდია საოფისე შენობებსა და სავაჭრო ობიექტებზე განხორციელებული ხარჯები. სულ 2013 წელს უძრავი ქონების შესაძენად განხორციელდა ხარჯებმა 180.1 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე დადებული გარიგებების რაოდენობამ 19 187 ერთეული. ზოგადად, 2007 წლიდან 2013 წლის ჩათვლით უძრავი ქონების ფასი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. [საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია 2015].

გრაფიკი 1.2



წყარო: საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია. 2015.

2009 წლის შემდგომ პერიოდში, საქართველოში, ლარის კურსის დაცემის ფონზე, სესხებზე მოთხოვნის ზრდა დროებით შეჩერდა. თუმცა კრიზისის გადალახვის შემდეგ, იპოთეკური სესხების რაოდენობაც და მოცულობაც (მშპ-სთან მიმართებით) ეტაპობრივად დაუახლოვდა საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს, რაც მკვეთრ ზრდას გულისხმობს. მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია ასევე გაიზარდოს მოთხოვნა მშენებლობის ხარისხზე, მრავალფეროვნებაზე თუ ინდივიდუალური მოთხოვნილებების (როგორცაა უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და სხვ.) დაკმაყოფილებაზე.

დღეისათვის განსაზღვრული მიზეზებით გამომწვეული მოთხოვნის ზრდის, ახალი მშენებლობების სიმრავლის თუ სამშენებლო სტანდარტების ამაღლების გამო, გრძელვადიან პერიოდში, საქართველოში უძრავი ქონების ფასის ზრდის ტენდენცია არის მოსალოდნელი. ამჟამად, საშუალო გასაყიდი ფასები უძრავ ქონებაზე თბილისსა და საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება აღმოსავლეთევროპული ქვეყნების ანალოგიურ

მაჩვენებლებს. თუმცა ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული ფაქტორები (დაქირავებულ მუშახელზე არც ისე მაღალი ხარჯები, მიწის დაბალი ღირებულება და სხვ.) და ნაკლები რეგულაციები საქართველოში, მოკლევადიან პერიოდში, უძრავი ქონების შედარებით დაბალ ფასებს განაპირობებს.

საქართველოში უძრავი ქონების ინდექსს (GREI) ქმნის უძრავი ქონების ბაზრის ლაბორატორია. “REM lab“ (უძრავი ქონების ბაზრის ლაბორატორია) თიბისი ბანკის და “ISET” (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა) ერთობლივი პროექტია, რომელიც “JumpStart Georgia“-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზანია ქართული უძრავი ქონების ბაზრის რეგულარული კვლევა და სხვა ინდიკატორებთან ერთად უძრავი ქონების ინდექსის გაანგარიშება. [პროექტს საფუძვლად უდევს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც “ISET” თიბისი ბანკის დახმარებით უზრუნველყოფს უძრავი ქონების ბაზრის კვლევისათვის მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.]

უძრავი ქონების ინდექსით შესაძლებელია დადგინდეს უძრავ ქონებაზე ფასების ცვლილება და უძრავი ქონების ფასების დინამიკა. უძრავი ქონების ბაზრის კვლევისას (მაგალითად, თუ დაკვირვების ობიექტია 1 კვ. მ.-ის საცხოვრებელი ქონების ფასი), უძრავი ქონების საშუალო ფასი შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიმდინარე თვეში უფრო ძვირი ბინები იყიდება ბაზარზე, ვიდრე წინა თვეს. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ზოგადად საცხოვრებელი ქონების ფასები გაიზარდა. სწორედ ამისათვისაა საჭირო უძრავი ქონების ინდექსი, რომ მხოლოდ ფასების რეალური ცვლილება დავადგინოთ. “GREI“-ის მეშვეობით საზოგადოება გაიგებს, გაიზარდა თუ შემცირდა ფიქსირებული უძრავი ქონების ფასი მიმდინარე თვეში, ანუ შესაძლებელი იქნება უძრავი ქონების ფასის რეალური დინამიკის დანახვა.

საერთაშორისო პრაქტიკაში უძრავი ქონების ფასებზე დაკვირვებისას იყენებენ ლასპეიერის, პააშეს და ფიშერის ინდექსებს. [თიბისი ბანკის, Iset-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 2016.]. საქართველოში უძრავი ქონების ინდექსისათვის მონაცემები (განთავსებული განცხადებები) ყოველთვიურად მიიღება და მუშავდება უძრავი ქონების ერთერთი ყველაზე მსხვილი ვებ საიტიდან. 2016 წელს თბილისის მასშტაბით, საშუალოდ, თვეში 5000 განცხადების დამუშავება ხდებოდა. თიბისი ბანკის ინფორმაციით, 2016 წელს ქართული უძრავი ქონების ბაზარი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაყიდვების რაოდენობამ 89 120 ერთეულს მიაღწია.

2016 წლის დეკემბერში 1 კვ.მ საცხოვრებელი უძრავი ქონების გაყიდვის საშუალო ფასმა 866 აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს მთაწმინდა იყო დედაქალაქის ყველაზე “ძვირი” რაიონი (გაყიდვის საშუალო ფასი 1 033 აშშ დოლარი), ხოლო ყველაზე იაფი რაიონი - სამგორი (გაყიდვის საშუალო ფასი 547 აშშ დოლარი). 2017 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, თბილისში ახლადაშენებული ბინების საშუალო გასაყიდმა ფასმა 1 კვადრატულ მეტრზე 603 აშშ დოლარს მიაღწია. საანგარიშო პერიოდში ახლადაშენებული ბინების საშუალო ფასი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-ით ნაკლებია. [<http://www.iset-pi.ge/index.php>].

სამომავლოდ, საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პარალელურად უძრავი ქონების საბაზრო ფასის ზრდას ვარაუდობენ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ყოველწლი-

ურად უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაცია ყველაზე მეტი რაოდენობით ხდება თბილისში, აჭარასა (ბათუმი) და კახეთში (თელავში).

ამგვარად, 1990 წლის შემდგომი პერიოდიდან, საქართველოში ეკონომიკური და ინსტიტუციური ცვლილებების მიზანი იყო ჰიპერინფლაციის შეჩერება, ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსება და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის ინსტიტუციონალური პირობების შექმნა.

თუ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში წარმოების დაცემის პერიოდი საშუალოდ 4 წელი იყო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მან 7 წელი შეადგინა. როგორც ჩანს, საქართველოში დაცემის პერიოდი იყო შედარებით ხანმოკლე, მაგრამ ყველაზე ღრმა. ამასთან, ეკონომიკამ დიდწილად ჩრდილოვან სექტორში გადაინაცვლა.

ინსტიტუტები, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესს, მეორე მხრივ, ეკონომიკისაგან საზოგადოებისთვის სასარგებლო შედეგების მიღებას, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

უძრავი ქონების ბაზარი მგრძობიარე იყო და არის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ. ბოლოდროინდელმა საგარეო და საშინაო ეკონომიკურმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით დოლართან მიმართებით ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ, შეიძლება უძრავი ქონების ბაზარზეც გამოიწვიოს გარკვეული ტენდენციები. მაგალითად, შესაძლებელია შემცირდეს მოთხოვნა იპოთეკურ კრედიტებზე. უძრავი ქონების ბაზარზე ნეგატიური გავლენის საფრთხეს შეიცავს ასევე უცხოეთში დასაქმებული ქართველების მხრიდან საქართველოში განხორციელებული ტრანსფერების შემცირებაც.

უძრავი ქონების ინდექსის და სხვა ინდიკატორების რეგულარულად კვლევა, რომლებიც უძრავი ქონების ბაზრის ტენდენციებს ასახავენ, ქვეყნისათვის სარგებლის მომტანი იქნებოდა. ბანკები არ ფლობენ ამ სეგმენტის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს და ეპიზოდურად უკვეთავენ სხვადასხვა ორგანიზაციას უძრავი ქონების ბაზრის სეგმენტურ კვლევებს. ცხადია, ბაზრის მდგომარეობის მუდმივი შესწავლა და ანალიზი აუცილებელია სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად ბიზნესში და მთლიანად ეკონომიკაში, თუმცა ამას რეგულარული სახე უნდა ჰქონდეს და არა ერთჯერადი ან ეპიზოდური.

იმისთვის, რომ მოსალოდნელი დინამიკის უფრო ზუსტი განსაზღვრა იყოს შესაძლებელი,

საჭიროა გავითვალისწინოთ ძირითადი ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებიც უძრავი ქონების ფასებზე ახდენს გავლენას. ისევე როგორც სხვა სექტორებში, განმსაზღვრელი მოთხოვნა-მიწოდებაა, რომელზეც, თავის მხრივ, ისეთი

ფაქტორები მოქმედებს, როგორცაა დემოგრაფია და მისი ცვლილებები, მოსახლეობის შემოსავლების დინამიკა, კრედიტებზე ხელმისაწვდომობა, ეკონომიკური ზრდა, დეველოპერების დანახარჯები და მიწის ფასები.

ლიტერატურა/REFERENCES

[1] **ბურდული თ.**, უფროსი მკვლევარი, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, ეკონომიკა და საბანკო საქმე, 2015, Burduli T., Senior Researcher, Economic Transformation in Georgia: Road from Shock therapy to Deep and Comprehensive Free Trade Zone, Economics and Banking, 2015.

[2] საქართველოს უძრავი ქონებისა და ინვესტიციების მართვის კომპანია. კვლევა 2015. Real Estate and Investment Management Company of Georgia. Real Estate Market Research Georgia 2015.

[3] „Colliers International Georgia“ კვლევითი ცენტრი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა. 2015. თიბისი ბანკის, IS-ET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JUMPSTART-ის ერთობლივი პროექტი. უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 2016.

[4] <http://www.geostat.ge/>

[5] <http://www.iset-pi.ge/index.php>

[6] <https://www.nbg.gov.ge>

[7] <https://napr.gov.ge>

IMPACT OF ETHNIC CROPS ON SOCIAL CAPITAL AND BUSINESS

თეიმურაზ შენგელია,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი. საქართველო, თბილისი

TEIMURAZ SHENGELIA,

Doctor of economic science, professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Head of International Business Department. Tbilisi, Georgia

ანოტაცია

თანამედროვე პირობებში სოციალური კაპიტალის პრობლემას მიეძღვნა არა ერთი ისტორიკოსის, სოციოლოგისა და ფსიქოლოგის მნიშვნელოვანი კვლევა, ის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ეკონომიკურ მეცნიერებაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ დაამკვიდრა პოლიტოლოგმა რ. პატნემმა და სოციოლოგმა ჯ. კოულმანმა. მათი კვლევები მიეძღვნა სოციალური კაპიტალის ფენომენის სრულყოფილ შესწავლას. სოციალური კაპიტალის პრობლემატიკაზე, განსაკუთრებით მის სოციალურ-კულტურული ასპექტების შესწავლაზე არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნდა. განსაკუთრებით საინტერესოა ამ პრობლემის შესწავლა რეგიონული და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინებით. წინამდებარე სტატიაში განხილულია სოციალური კაპიტალის პრობლემა საქართველოში მცხოვრები რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, რაც იძლევა შესაძლებლობას სრულიად ახლებურად წარმოვადგინოთ სოციალური კაპიტალის კვლევის მეთოდოლოგია და მივიღოთ ემპირიული შედეგები. ამ ხასიათის დასკვნები იძლევა შესაძლებლობას მათი შედეგები გამოვიყენოთ ეფექტიანი მენეჯმენტის პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური კაპიტალი, ეთნიკური ჯგუფები, ბიზნესი, ქროს-კულტურული, ემპირიული დასკვნები.

ABSTRACT

The concept of social capital becomes more popular not only in sociology and economics, but in other sciences as well, in which this issue is widely discussed. “Social capital” is quite a broad concept. Diversity of opinions on the nature of this phenomenon complicates the methodology of its measuring. Analysis of existing explanations of social capital, theoretical approaches to its study show that social sciences are still very far from clear understanding of agreed explanation of this phenomenon and the mechanisms of its influence

on business. It has been determined in result of research that the degree of trust is connected with business success, and it is considered that in those cultures, where trust is higher, the degree of transaction reduces; in such countries the level of investments is higher. We consider that social capital promotes formation of social relations of an individual, which becomes the basis for the so-called efficient economic behavior and finds a positive reflection on development of business. The results of study of social capital in ethnic groups of different categories showed that the factor of trust was practically unchanged within last 15 years. As it has been mentioned, apart from trust, tolerance and civil identity are also important. The study has showed that they are connected with economic advance of the country. It was determined in the process of cross-cultural research of social capital that most of the ethnic difference is noticed in the multicultural society.

Key words: Social capital, ethnic groups, businesses, crossover-cultural, empirical conclusions.

შესავალი

სოციალური კაპიტალი ადამიანური ურთიერთობების კომპლექსია, რომელიც განიცდის კონვერტირებას კაპიტალის სხვა ფორმებში. სოციალურ ჯგუფში ასეთი კაპიტალის არსებობა ხელს უწყობს მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს სოციალურ დონეზე - საკუთრივ საზოგადოებაში. საზოგადოებას, რომელსაც აქვს სოციალური კაპიტალის მარაგი, ეკონომიკურ განვითარებაში უფრო წარმატებული [11, გვ.32], ხოლო ადამიანები უფრო ჯანმრთელი და ბედნიერიები [14, გვ. 32; 5.გვ.68].

სოციალური კაპიტალი აკმაყოფილებს ეკონომიკური კაპიტალის ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა: შეზღუდულობა, დაგროვების შესაძლებლობა, ლიკვიდურობა, კონვერტაციის, ტრანსფერის უნარი. სოციალური კაპიტალის დაგროვების უნარი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ მახასიათებელს, არამედ ის იმ ქსელის

სპეციფიკაა, რომელშიც ჩართულია ინდივიდები [11, გვ 34]. რეგიონულ და საერთოეროვნულ დონეზე სოციალური კაპიტალი ქმნის ეკონომიკური ზრდის პირობებს: ხელს უწყობს ახალი საწარმოების შექმნას, მცირე ბიზნესის და მენარმოების განვითარებას, ბაზრის ეფექტიანობის ამაღლებას. დღეისათვის, სოციალური კაპიტალის გავლენა ეკონომიკაზე დადასტურდა მთელ რიგ კვლევებში [მაგალითად: 1, გვ.19]. მათში, როგორც წესი, დადგენილია სოციალური კაპიტალის (პირველ რიგში, ნდობის) კავშირი ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, მაგალითად, ინვესტიციების, მთლიანი შიდა პროდუქტის, ეკონომიკურ ზრდასთან. ეს ცხადყოფს ნდობის ფაქტორის მაღალ როლს ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ სრულად ვერ ხსნის სოციალურ კაპიტალის გავლენას ბიზნეს ურთიერთობებზე. საზოგადოების დონეზე სოციალურ კაპიტალი მნიშვნელოვნად უკავშირდება ეთნიკურ კულტურას [6, გვ. 102] და ის გარკვეულწილად განისაზღვრავს ამ ფენომენით. ამის გამო, მულტიკულტურული საზოგადოების კვლევის პროცესში სოციალური კაპიტალის ქროსს-კულტურული შედარებები, გახდა ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ასეთ საზოგადოებათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველო.

ცხადია, რომ სოციალური კაპიტალის ბიზნესზე გავლენის მექანიზმის დადგენა შეუძლებელია მისი კვლევისთვის ეთნო-კულტურული მეთოდების გამოყენების გარეშე. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პოლიკულტურული საზოგადოების (როგორც საქართველოა, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა კულტურული კონფესიების, განსხვავებული ისტორიისა და ეთნოგენეზის წარმომადგენლები) სოციალურ კაპიტალს გააჩნია თავისებურებები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინტენსიური დისკუსია და „სოციალური კაპიტალის“ კონცეფციის შესწავლა სამეცნიერო ლიტერატურაში დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისში. ჩვენს დროში სოციალურ კაპიტალის კონცეფციის სწრაფი განვითარება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ მისი ფუძემდებლები ძალიან მკაფიოდ განსაზღვრავენ თანამედროვე საზოგადოებისა და ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძვლებს ისეთი ცნებებით, როგორცაა: ნდობა, კულტურა, სოციალური ქსელები, ნებაყოფლობითი ასოციაციები, ადამიანური კაპიტალი და სხვა. თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ

მეცნიერებაში არსებობს ცალკეული პუბლიკაციები სოციალური კაპიტალის პრობლემაზე, ამასთან თეორიულად და პრაქტიკულად ეს კონცეფცია ბოლომდე არ არის დამუშავებული.

სოციალური კაპიტალის ცნების ისტორიული საფუძვლები მე-18 და მე-19 საუკუნეებით თარიღდება და ის უკავშირდება ისეთი ავტორების ნაშრომებს, როგორცაა: დურჰემი, სიმმელი, ვებერი, ტოკვილი და სხვებს [10, გვ. 52]. შეიძლება ითქვას, რომ მისი თანამედროვე კონცეფცია წარმოიშვა ამ სფეროში სამი ცნობილი მეცნიერის ფუნდამენტური კვლევებით. ესენია ბურდიე, კოულმანი და პატმენი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს „სოციალური კაპიტალის“ თანამედროვე მულტიდისციპლინური თეორიის განვითარებას. 1916 წელს გამოქვეყნდა ლინდა ჰანიფანის სტატია, რომელიც ეხებოდა სოფლის სკოლების ადგილობრივ მხარდაჭერას, სადაც ავტორმა ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ გამოყენება პირველად სოციალური ინტეგრაციის აღსანიშნავად.

ეკონომიკური მეცნიერებისთვის სოციალური კაპიტალის კონცეფცია ადამიანის კაპიტალის კონცეფციის ლოგიკური განვითარება იყო. თუ გავანალიზებთ სოციალურ კაპიტალის კონცეფციას ეკონომისტების ნაშრომებში, შეიძლება აღინიშნოს, რომ აქ ის განიხილება როგორც საქონელი. ასე მაგალითად, კ.ჩარლზი და პ.კლაინი სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც საქონელს, რომელიც ინდივიდების მიერ გამოიყენება არასაბაზრო სოციალურ ურთიერთობის პროცესში იმ მიზნით, რომ მათ მიიღონ ისეთი ღირებულებები, როგორცაა: რჩევა, ფინანსური მხარდაჭერა და სხვა [17, გვ.50]. ბიზნესის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ნდობა, როგორც სოციალური კაპიტალის ძირითადი კომპონენტი, ასტიმულირებს ტრანზაქციული ხარჯების შემცირებას, ხელს უწყობს მდიდარი ინფორმაციის გაცვლას, მონაწილეთა სხვადასხვა ინტერესების ჰარმონიზაციას. ამიტომ, რეპუტაცია ბიზნესში ხდება ღირებული აქტივი, რომელიც ნდობითი ურთიერთობების გასაღრმავებლად მნიშვნელოვანია. ბიზნესში დაუსაბუთებელი ნდობა მიგვიყვანს გაზრდილ დანახარჯებამდე, რადგან ის მოითხოვს ინვესტიციებს, დროს, ფულსა და მატერიალურ დანახარჯებს. შესაბამისად, ტრანსაქციული ხარჯების შემცირება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნდობაში და შესაბამისად სოციალურ კაპიტალში ინვესტირების შედეგი. ნდობის, როგორც სოციალური კაპიტალის დეტერმინანტის შესახებ კლასიკური ნაშრომები ეკუთვნის ფრენსის ფუკუიამას.

მეცნიერი სოციალურ კაპიტალს განიხილავს, როგორც საზოგადოების გარკვეულ პოტენციალს ან მის ნაწილს, რომელიც იგება მისი წევრების ნდობაზე. ნდობა სოციალური კაპიტალის მთავარი ელემენტია. ფ.ფუკუიამას ნდობა ესმის, როგორც საზოგადოების წევრებს შორის იმის მოლოდინი, რომ მისი სხვა წევრები მოიქცევა მეტ-ნაკლებად პატიოსნად, ყურადღებით, საზოგადოებაში დადგენილი საერთო ნორმების შესაბამისად. ამ ნორმების ნაწილი დაკავშირებულია ფუნდამენტურ ფასეულობებთან (მაგალითად, ღმერთის ან სამართლიანობის აღქმა), მაგრამ ისინი ასევე მოიცავენ ისეთი საყოველთაო საკითხებს, როგორიცაა პროფესიული სტანდარტები და ქცევის კოდექსი. ფ.ფუკუიამა ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან გავლენას, რომელსაც ახდენს კულტურა, სოციალური კაპიტალი და ნდობა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე. თავის წიგნში „ნდობა“, მეცნიერი ასაბუთებს, რომ ქვეყნის ბიზნესის სტრუქტურის სპეციფიკური მახასიათებლები: სანარმოოთა მასშტაბები, ეკონომიკურ სისტემაში მათი განაწილება, ცალკეული ფირმების ორგანიზაციის ფორმები, განაპირობებულია ისეთი ფენომენით, როგორიცაა კულტურა [12.გვ. 48].

თუ ზემოთ თქმულს შევაჯამებთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკურ კვლევებში სოციალური კაპიტალი ხშირად განიხილება, როგორც საქონელი ან სარგებლიანობის მაქსიმალური ზრდისა და ტრანსაქციული დანახარჯების შემცირების გზა. სოციალური კაპიტალის სტრუქტურაში, ბიზნესის სფეროს მკვლევარები ხშირად განიხილავენ ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ნდობა (სოციალური კაპიტალის სისტემანარმომქმნელი ფაქტორი) და საზოგადოების სოციალური ერთიანობა.

სხვადასხვა კულტურაში

სოციალური კაპიტალის ვარიანტულობა


მეცნიერთა უმრავლესობა, რომლებიც სოციალურ კაპიტალის პრობლემას იკვლევს, აღნიშნავს, რომ ის დიდწილად საზოგადოების კულტურის მახასიათებლებზეა დამოკიდებული. კერძოდ, რ. პატენემს მიაჩნია, რომ სოციალური კაპიტალი ისტორიული და კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული [5. გვ.49]. ფ.ფუკუიამამ თავის წიგნში „ნდობა“ გამოთქვა მოსაზრება, რომ სოციალურ კაპიტალს, რომელიც მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისა და ეკონომიკისთვის, აქვს ღრმა კულტურული ფესვები. განსაზღვრავდა რა კულტურას, როგორც „მემკვიდრეობით ეთიკური ჩვევას“ ფუკუიამას მიაჩნდა, რომ ეთიკური

კოდები, რომელთა საფუძველზე საზოგადოება არეგულირებს ხალხის ქცევას, კულტურას აქცევს საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად [6, გვ. 106].

არსებობს ემპირიული კვლევები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია კულტურაზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეთიკური ჯგუფებისა და მთელი ქვეყნების კეთილდღეობაზე. კერძოდ, რ. ინგლეჰარტმა განიხილა ურთიერთობები ნდობის დონეს, ქვეყნების ეკონომიკური განვითარებასა და კულტურულ მახასიათებლებს შორის რელიგიური კუთვნილების მიხედვით [8.გვ 169]. ნახატი 1 გვიჩვენებს, რომ ისტორიულად პროტესტანტული საზოგადოებები ინტერპერსონალური ნდობის დონით კათოლიკურთან შედარებით, სხვებზე მაღლა დგანან. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია მაშინაც კი, თუ ჩვენ ვაკონტროლებთ ეკონომიკურ განვითარებას: ინტერპერსონალური ნდობასა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს შორის არის მნიშვნელოვანი კორელაცია ($r = 0.60$), მდიდარი კათოლიკური ქვეყნებიც ამ მასშტაბით უფრო დაბალა დგანან, ვიდრე ისტორიულად პროტესტანტული ქვეყნები.

ამ საზოგადოებებში, კათოლიკები და პროტესტანტები, ინტერპერსონალური ნდობის მასშტაბით თითქმის ერთსა და იმავე სიმაღლეზეა განლაგებული. მათი საერთო ისტორიული გამოცდილება, და არა ინდივიდუალობა, გადამწყვეტი ხდება. ისტორიულად, კათოლიკური ეკლესია ცენტრალიზებული ადმინისტრაციის იერარქიული ინსტიტუტის პროტოტიპი იყო, პროტესტანტული ეკლესიები შედარებით დეცენტრალიზებული და უფრო ღიაა. პროტესტანტული კულტურული მემკვიდრეობა უკავშირდება მაღალ ნდობას, ტოლერანტობას, კეთილდღეობასა და პოსტმატერიალზმს, რომელიც წარმოადგენს თვითგამოხატვის ფასეულობებს, მაშინ როდესაც კომუნისტური მმართველობის მემკვიდრეობა უარყოფით გავლენას ახდენს ამ ღირებულებებზე, თუნდაც თუ ანალიზიდან გამოვრიცხავთ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დიფერენციაციას და სოციალური სტრუქტურას [8, გვ. 172]. ამდენად, სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური კაპიტალის განსხვავებული დონე გვიჩვენებს (იხ. მაგალითად, რ.ინგლხარტის “ფასეულობების მსოფლიო კითხვარი” <http://margaux.grandvinum.se/SebTest/wvs/index>), რომ სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია საზოგადოებების პოლიტიკური სისტემის კულტურულ თავისებურებებზე.

ნახატი 1. 65 ქვეყანაში პიროვნებათაშორისო ნდობა და ეკონომიკური განვითარების დონე (Inglehart, 2000)



ამ საზოგადოებებში, კათოლიკები და პროტესტანტები, ინტერპერსონალური ნდობის მასშტაბით თითქმის ერთსა და იმავე სიმაღლეზე განლაგებული. მათი საერთო ისტორიული გამოცდილება, და არა ინდივიდუალობა, გადამწყვეტი ხდება. ისტორიულად, კათოლიკური ეკლესია ცენტრალიზებული ადმინისტრაციის იერარქიული ინსტიტუტის პროტოტიპი იყო, პროტესტანტული ეკლესიები შედარებით დეცენტრალიზებული და უფრო ღიაა. პროტესტანტული კულტურული მემკვიდრეობა უკავშირდება მაღალ ნდობას, ტოლერანტობას, კეთილდღეობასა და პოსტმატერიალზმს, რომელიც წარმოადგენს თვითგამოხატვის ფასეულობებს, მაშინ როდესაც კომუნისტური მმართველობის მემკვიდრეობა უარყოფით გავლენას ახდენს ამ ღირებულებებზე, თუნდაც თუ ანალიზიდან გამოვრიცხავთ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დიფერენციაციას და სოციალური სტრუქტურას [8, გვ 167]. ამდენად, სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური კაპიტალის განსხვავებული დონე გვიჩვენებს (იხ. მაგალითად, რინ-გლხარტის “ფასეულობების მსოფლიო კითხვარი” <http://margaux.grandvinum.se/SebTest/wvs/index>), რომ სოციალური კაპიტალი დამოკიდებულია საზოგადოებების პოლიტიკური სისტემის კულტურულ თავისებურებებზე.

საქართველოს ეთნიკური ჯგუფების სოციალური კაპიტალის ქროს-კულტურული თავისებურებები

მოცემული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ვარაუდი არის ის, რომ ეთნიკური კულტურები გავლენას ახდენენ სოციალური კაპიტალის თავისებურებებსა და ბიზნესის განვითარებაზე. ცხრილი 1 გვიჩვენებს იმ შერჩევით ეთნიკური ჯგუფებს, რომლებშიც გამოკვლეულია საქართველოს სოციალურ კაპიტალში კულტურათაშორისი განსხვავებები და სოციალური კაპიტალის ურთიერთობა ინდივიდების ეკონომიკურ მახასიათებლებთან. კვლევის პროცესში შესწავლილია საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი) მცხოვრები ექვსი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები რომელთა საერთო რაოდენობა 574 ადამიანია. რესპონდენტთა უმრავლესობა უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ქართველები გამოიკითხა სამივე ქალაქის მიხედვით, რათა მომხდარიყო რეგიონალური განსხვავებებით შექმნილ ცვალებადობას ნიველირება. ამ კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის გაზომვა. კითხვარი სტანდარტული იყო, ის მოიცავს მეთოდოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური კაპიტალის სტრუქტურის, სოციალურ-ეკონომი-

მიკური წარმოდგენების შესწავლას. კვლევაში შეირჩა შემდეგი ეთნიკური ჯგუფები: ქართვე-

ლები, აზარბეიჯანელები, სომხები, ებრაელები, რუსები.


ცხრილი № 1

საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური კაპიტალის შესწავლის ნიმუში

ეთნიკური ჯგუფი	რესპონდენტების რაოდენობა	სამსუაღო ასაკი	მშსკატეგორია	ქალები
ქართველები	161	117	80	81
აზერბაიჯანელები	130	38	71	59
სომხები	110	36	65	45
ებრაელები	94	112	50	44
რუსები	79	38	49	30

ჰისტოგრამა № 1.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ექვსი ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის მაჩვენებელთა გაზომვა



ვიზუალურად, ჰისტოგრამა № 1 გვიჩვენებს, რომ სოციალური კაპიტალის ყველა კომპონენტის ინდიკატორები ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებულია. თუმცა, ამ განსხვავებების განხილვამდე საჭიროა, განისაზღვროს, რამდენადაა ისინი

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. კრუსკალ-ულისის H კრიტერიუმის გამოყენება გვიჩვენებს, რომ ყველა განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (ცხრილი 2).

ცხრილი 2

კრუსკალ-ულისის - კრიტერიუმების მიხედვით განსხვავებები სოციალური კაპიტალში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მიხედვით

	ნდობა	ტოლერანტობა	სამოქალაქო იდენტობა	სამოქალაქო იდენტობა (პრაქტიკურობა)
ქართველების (საშ. რაში)	413.9	445.2	436.3	433.1
აზერბაიჯანელები (საშ. რაში)	421.7	442.0	441.5	465.5
სომხები (საშ. რაში)	417.1	404.2	387.6	388.5
ებრაელები	401.1	366.0	370.9	380.9
რუსები (საშ. რაში)	375.5	439.1	445.3	510.7
χ^2	11.0	16.3	14.5	33.0
p	0.03	0.006	0.013	0.000

კვლევის მიხედვით ყველაზე დაბალი ქულა აზერბაიჯანელებში, სომხებში და რუსებში ნდობის ფაქტორს აქვს. ეს მონაცემები არ წარმოადგენს სიახლეს. საქართველოს ეთნიკურ ჯგუფებში ნდობის ფაქტორი ზოგადად დაბალია და ეს დასტურდება ამ საკითხზე სხვა ადგილობრივი და უცხოური გამოკვლევებით. მთლიანი შერჩევიდან ყველაზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი შეინიშნება რუსებში - 3 ქულა 5 ქულიან სკალაზე და სომხებში (ჰისტოგრამა 1), დანარჩენი ჯგუფებისათვის, საშუალო ჯგუფის ნდობის ინდიკატორი დაახლოებით 3-დან 4 ქულამდე მერყეობს. ამრიგად, კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ექვსიდან ხუთი ეთნიკურ ჯგუფში, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ეთნო-კულტურული მახასიათებლებით ნდობის ინდიკატორები, უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. კრუსკალ-უილისის -კრიტერიუმის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. როგორც ჩანს, ჯგუფის შიგნით არსებობს რყევები, მაგრამ ისინი არ არიან პრინციპული. ანუ, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შევძლებთ ჯგუფების მოძიებას, რომელთა წარმომადგენლებს ძალიან დაბალი და ძალიან მაღალი ნდობა აქვთ. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, სახელმწიფოში დომინირებს დაბალი ნდობის ტენდენცია, რომელიც შენარჩუნებულია ცალკეული ეთნიკური ჯგუფის კულტურული თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად.

კვლევაში განხილულ იქნა საერთო ტოლერანტობა (ჰისტოგრამა 1), რომელშიც შედიოდა სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა ტოლერანტობის მაჩვენებლები. სხვა ეთნიკური ჯგუფების, არაკონფესიური ჯგუფების, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების, დისიდენტების. შეიძლება ითქვას, რომ საერთო ტოლერანტობა უფრო დაბალია რუსებში და სომხებში, ვიდრე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებში. სავარაუდოდ, ტოლერანტობის შეფასებისას, ჩვენ კულტურის გავლენას ვაწყდებით. მოდერნიზაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ეთნიკურ ჯგუფებში, ტოლერანტობა შეიძლება განსხვავდებოდეს. სხვა ტრადიციული ჯგუფები, როგორც წესი, ნაკლებად ტოლერანტული არიან სხვა ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ჩვენ ასევე ვგრძნობთ მოდერნიზაციის დონის გავლენას ტოლერანტობის დონეზე.

სამოქალაქო იდენტობის გამომხატვის პარამეტრს ახასიათებს ჯგუფებს შორის განსხვავებები და ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, რომ მთავარი განსხვავება ისაა, რომ ეს მაჩვენებელი დაბალია - რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის, ხოლო მაღალია ქართველების და ებრაელებისთვის. მსგავსი ტენდენცია შეიძლება დაფიქსირდეს, როდესაც ვთვლით სამოქალაქო იდენტობის პოზიტიურობას.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ კვლევაში შესწავლილი ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის დამახასიათებელი მონაცემებს, შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი განსხვავებული ხაზები. გამოკვლეულ ჯგუფებში ნდობა უფრო მაღალია და ტოლერანტობა და სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლები უფრო დაბალია. სავარაუდოა, რომ ამაში იმალება ჯგუფური სოციალური კაპიტალის არსი, რომელიც ეთნიკური კუთვნილების მიხედვით განისაზღვრება. ასეთმა სოციალურმა კაპიტალმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს სეპარატიზმს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნდობა ყოველთვის არ შეიძლება იყოს სოციალური კაპიტალის მახასიათებელი, თუ გავითვალისწინებთ სოციალურ კაპიტალს მაკროდონეზე. პოლიკულტურული საზოგადოების სოციალური კაპიტალის შეფასებისას, საკმარისი არ არის მხოლოდ ინტერპერსონალური ნდობის დადგენა - ეს შეიძლება იყოს სოციალური კაპიტალის შიდაჯგუფური მახასიათებელი, ასეთი კაპიტალი შესაძლებელია არ გავიდეს ეთნიკური ჯგუფის მიღმა. აუცილებელია სოციალური კაპიტალის შეფასება სისტემურად და სისტემის პარამეტრებში უნდა ჩავრთოთ სოციალური კაპიტალის გარე ჯგუფური ინდიკატორები. სოციალურ დონეზე ესაა სამოქალაქო იდენტობის მახასიათებლები და ტოლერანტობის დონე ჯგუფების წარმომადგენლებსათვის. თუ გადავიტანთ ეთნიკური ჯგუფის სოციალური კაპიტალის მახასიათებლებს ბიზნეს პრაქტიკაზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნდობა დადებით როლს თამაშობს ბიზნესის განვითარებაზე, მაშინ როდესაც ტოლერანტობა და სამოქალაქო იდენტობა უარყოფითად აისახება მასზე. ამ საკითხს მიეზღვნა არაერთი გამოკვლევა (იხ. მაგალითად: შპენგელია, 2017), სადაც შესწავლილია ნდობის ზეგავლენა მულტინაციონალური კომპანიის განვითარებაზე.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] **Adler P., Kwon S.** (2002): «Social capital: Prospects for a new concept.» *Academy of Management Review* 27(1), 17-40.
- [2] **Almedom A.M.** Social capital and mental health: An interdisciplinary re- view of primary evidence // *Social science and Medicine*. 2005. 61. P. 943–964.
- [3] **Berishvili Kh.** (2017) Contradictory character of the process of liberalization and integration of economic relations and influence of this process on the countries with small economy. 6th Business & Management Conference, Geneva, p. 3 [4] **Coleman J.** (1988). *Social Capital in the Creation of Human Capital*. *The American Journal of Sociology*, Vol. 94, Supplement: Organizations and Institutions: Sociological and Economic Approaches to the Analysis of Social Structure, pp. 95–120.
- [5] **Putnam R.** (2002) *Democracies in Flux: The Evolution of Social Capital in Contemporary Society* (Edited by Robert D. Putnam), Oxford University Press. pp. 67-89
- [6] **Fukuyama F.** *Social capital // Culture matters: How values shape human progress* / Eds. L.E. Harrison, S.P. Huntington. New York, 2002. P. 98–111.
- [7] **Hofstede G.** *Culture and organization: Software of the mind*. New York, 1997. 4–21
- [8] **Inglehart R.,** Genes, culture, democracy, and happiness // *Culture and Subjective well-being*. / Eds. E. Diener, E.M. Suh. Cambridge, Massachusetts, 2000. P. 165–183
- [9] **Putnam R.D.** Social capital: measurement and consequences // *Canadian Journal of Policy Research* 2001, vol.2, № 1, p. 41–51.
- [10] **Shengelia T.** (2017) Interpersonal and Organizational Trust, As Factor of Social Capital and Its Influence On the Motivation of International Company Employees. *Ecoforum Journal*, Volume 6, Issue 2
- [11] **Shengelia T.** (2017) Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. Pages 32-32
- [12] **Shengelia T.** (2014) Business Aticophobia and the Terms For Overcoming in Georgia. *Georgian International Journal of Science, Tecnology and Medicine*, Volume 6, Issue 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 331-337
- [13] **Shengelia T.** (2017) Determination of correlative relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. Pages 32-32
- [14] **Shengelia T.** (2017) The role of state regulation of investment in the Georgia business development. *International business in the world economic system*. Universal, Tbilisi. ISBN 9789941175986
- [15] **Shengelia T.** (2016) Generation of Knowledge Into Conception of Cultural Pragmatizm and its Influence on International Business. *Ecoforum Journal*. Volume 5, Issue 2, p.265-268
- [16] **Shengelia T.** (2015). Terrorism, As Socio-Political Phenomenon and Impeding Factor For Global Business. Volume 4, Issue 2, pp.80-86, *Journal of Social Sciences*, Volume 3, Issue 2, International Institute of Social and Economic Sciences. PP. 81-87.
- [17] **Shengelia T.** (2014) Tendencies of The Capital International Movement and Its Influence on the Economy of the Sovereign State. *Georgian International Journal of Science, Tecnology and Medicine*, Volume 6, Issue 1, Number 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 49-55
- [18] **Shengelia T., Berishvili Kh.** (2014). Evaluation of the Global Position of Georgia and its Role In the Development of Business. *Georgian International Journal of Science, Tecnology and Medicine*, Volume 6, Issue 1, Nova Science Publishers, Inc. PP. 57-65
- [19] **Shengelia T.** (2013) Influence of Role of International Busines on Formation of International Relation Policy. *Georgian International Journal of Science, Tecnology and Medicine*, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 219-228.
- [20] **Shengelia T., Berishvili Kh.** (2013). Globalization and Place of Georgia in International Business. *Georgian International Journal of Science, Tecnology and Medicine*, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 229-238.

შრომითი რესურსების მიწოდების შესაძლებლობების ანალიზი დემოგრაფიული მახასიათებლების ფონზე

ANALYSIS OF THE POSSIBILITIES OF SUPPLY OF LABOR RESOURCES ON THE BACKGROUND OF DEMOGRAPHIC CHARACTERISTICS

დარეჯან ჩხუბაძე,

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

DAREJAN CHKHUBADZE,

Batumi Shota Rustaveli State University,
Associate Professor

ანოტაცია

შრომითი რესურსები განსაზღვრავს ქვეყნის შრომის ბაზრის პოტენციალსა და სამუშაო ძალის მიწოდების შესაძლებლობებს.

ბოლო პერიოდში კიდევ უფრო იზრდება შრომითი რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების როლი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ცალკეული რეგიონის შრომითი პოტენციალის სწორად შეფასებას, განვითარების კანონზომიერებისა და რეგიონული თავისებურებების გამოვლენას ისეთი მახასიათებლების ფონზე, როგორც დემოგრაფიულია.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა კრიზისმა კატასტროფულად შეამცირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დემოგრაფიული ზრდისათვის აუცილებელი რესურსები. მკვეთრად დაეცა შობადობის მაჩვენებელი, საფრთხე დაემუქრა შრომითი რესურსების ბუნებრივ ზრდას. ამას თან დაერთო ინტენსიური ემიგრაციული პროცესების განვითარება, რამაც არსებითად გააუარესა შრომითი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები. სტაციონარულთან ერთად განვითარდა ინტენსიური შრომითი ემიგრაცია, აღმოცენდა უმუშევრობა, დასაქმება გახდა არაეფექტიანი, დაეცა ცხოვრების დონე, განვითარდა სიღარიბე, მკვეთრად გაუარესდა სამუშაო ძალის აღწარმოება, კრიტიკული ვითარება შეექმნა სოციალ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

ასეთ ვითარებაში აუცილებელი გახდა იმ პოსტულატების ძიება და ანალიზი, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებდა შრომითი რესურსების კვლავწარმოებას და დასაქმებას ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, როგორცაა: შობადობა-მოკვდაობა-დაავადებების დიფერენციაცია-სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, როგორც მოსახლეობის დინამიკის ძირითადი კომპონენტები. კვლევაში აქცენტიც სწორედ მათ ურთერთკავშირზეა გაკეთებული, რაც საკითხს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას სძენს.

საკვანძო სიტყვები: შრომითი რესურსების კვლავწარმოება, დემოგრაფიული მახასიათებლები, მოკვდაობა-დაავადებები.

ABSTRACT

Labor resources define the potential of the country's labor market and workforce. The role of the formation, distribution and use of labor resources is increasing in recent years. It is of particular importance to correctly assess the labor potential of the individual region, the development of regeneration and regional peculiarities in the context of such characteristics as the demographics. Recently, the comprehensive crisis has reduced catastrophic resources for the demographic growth of the Autonomous Republic of Adjara. The rate of mortality has deteriorated sharply, threatening the natural growth of labor resources. This was accompanied by the development of intensive emigration processes which significantly worsened the quantitative and qualitative indicators of labor resources. In addition to the incentive, intensive labor emigration developed, unemployment, employment became ineffective, the level of living, the poverty, the deterioration of the work force, the critical situation faced by the prospects of social-economic development.

In such circumstances it was necessary to search and analyze the postulates that would link each other with the reproduction of labor resources and the demographic characteristics, such as: Differentiation of Mortality/Mortality Diseases-life expectancy, as the main components of population dynamics. The focus of the study is on their interactions, which makes the issue even more relevant.

Keywords: reproduction of labor resources, democratization characteristics, mortality and disease.

ადამიანური (შრომითი) რესურსები, როგორც საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალა, მუდმივობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდე-

ბას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამალღებას.

ნებისმიერ ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის, როგორც შრომითი პოტენციალის, მიწოდებისა და გამოყენების პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთან, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკის განვითარების დონესთან. სწორედ დემოგრაფია წარმოადგენს სოციალური მეცნიერების ნაწილს, რომელიც ეხება მოსახლეობის და მის ურთიერთკავშირს გარემო პირობებსა და სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. აღნიშნული კავშირი განპირობებულია იმით, რომ მოსახლეობა შრომითი რესურსების შევსების უალტერნატივო წყაროა და მასზე, როგორც შეუცვლელ ცოცხალ სამუშაო ძალაზე, ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონე. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სახელმწიფოთა მთავრობები მოსახლეობის აღწარმოებისა და შრომითი რესურსების მიწოდებისა და გამოყენების პრობლემების მოგვარებას ყველგან და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ. ასეთი კავშირების შესწავლა მნიშვნელოვანია, რამდენადაც:

1. ის ეხმარება სახელმწიფოსა და საზოგადოებას უკეთ გაუმკლავდეს მოსახლეობის ცვალებად მოთხოვნებს, როგორცაა: მაგალითად მოთხოვნა განათლებაზე, ჯანდაცვაზე და სხვა.
2. ვინაიდან მოსახლეობის აღწარმოება და ეკონომიკა დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია და ერთმანეთს აპირობებენ. როგორც სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ძალუძთ დემოგრაფიული პროცესების დაჩქარება ან შენელება, ასევე დემოგრაფიულ პროცესებს შეუძლიათ გარკვეული კორექტივები შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების ტემპებში, დააჩქარონ ან დაამუხრუჭონ იგი.
3. სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მოვლენებს შორის მჭიდრო კავშირის საფუძველზე ყალიბდება კონკრეტული დემოგრაფიული ვითარება, რაც მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მოსახლეობის სასურველი და ოპტიმალური რიცხოვნობის განსაზღვრაში.
4. იგი უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მიწოდების შესაძლებლობას;
5. დემოგრაფიული საკითხი რომ ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ამას ისიც ადასტურებს, რომ მოსახლეობის სიმრავლეზე, ან სიმცირეზე თვით ქვეყნის ბედია დამოკიდებული. მისგან პირდაპირ გამომ-

დინარეობს: ერის გენოფონდის მდგრადობა, ქვეყნის ეკონომიკა, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა, ქვეყნის რეგულარული ჯარის ოდენობა, ქვეყნის სამობილიზაციო რესურსი.

წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს შრომითი რესურსების მიწოდების შესაძლებლობები დემოგრაფიული მახასიათებლების ფონზე. შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გააკეთოს ობიექტური დასკვნა.

ბუნებრივია ისმის კითხვა - რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში? შეიძლება ითქვას-ფრიად არასახარბიელო. რასაც ცხადად ადასტურებს ქვეყანაში მიმდინარე უარყოფითი დემოგრაფიული პროცესის (შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის ზრდა), მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის, ადამიანური რესურსების რაოდენობრივ-პროფესიონალური მახასიათებლების, დასაქმების დინამიკის და შრომის სტატისტიკის სხვა ოფიციალური მაჩვენებლები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას აქვს **სისტემური კრიზისი** ხასიათი. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილები და კრიზისის ნიშნებია: დარღვეული მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი; შობადობის კრიზისულ ზღვრამდე შემცირება; სიკვდილიანობის ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება; მცირემვილიანი ოჯახების მომრავლება; ჯანმრთელობის გაუარესება; უარყოფითი მიგრაციული სალდო; მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის შემცირება; მთიანი რეგიონის დეპოპულაცია (ბოლო წლების მონაცემებით ზღვისპირა ზონაც პრაქტიკულად ცარიელია);

დემოგრაფიული პრობლემების **ძირითადი მიზეზებია:**

- ეკონომიკური მდგომარეობა - საზოგადოების უმრავლესობას ერთი ან ორი შვილი ჰყავს, ვინაიდან მათ არ აქვთ საშუალება, რომ ოთხ ან ხუთ შვილს მისცეს ელემენტარული საარსებო მინიმუმი იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის ნახევარი დაუსაქმებელია.
- არაერთია ის ფაქტი რომ ხშირ შემთხვევაში სამშობიაროდან ბავშვის გამოყვანა, საბანკო კრედიტით ხდება. ეს ჩვენი რეალობაა.
- სისტემური ეკონომიკური კრიზისის შედეგად უაღრესად შეზღუდულია სახელმწიფო რესურსებიც;

- თანამედროვე საქართველოში დემოგრაფიულ მდგომარეობას ართულებს უმუშევრობა, ოჯახების არასაკმარისი შემოსავლების პირობებში საცხოვრებლისა და ბავშვის მოვლა-აღზრდის დაბალი ხელმისაწვდომობა.
- თანამედროვე მოდერნიზებულ სამყაროში დაპირისპირება ახალ და ტრადიციულ ფასეულობათა სისტემებს შორის.
- საზღვარგარეთ მოსახლეობის გადინება, ძირითადად - ახალგაზრდების.


საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გამწვავება ნათლად ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების

დაცემა, რაც დემოპულაციაში პოულობს თავის საბოლოო გამოხატულებას.

საქართველოს მოსახლეობა 2017 წელს 3 728 000 ადამიანს შეადგენს, რაც 2008 წელთან შედარებით 120 500 ადამიანით ნაკლებია. მოსახლეობის შემცირება მიგრაციამ და სიკვდილიანობის ზრდამ გამოიწვია.

ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა მოკვდაობა. თუ 1980-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 000 ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. უკვე ნაკლები ბავშვი იბადება ვიდრე საჭიროა მშობელთა თაობის რაოდენობრივი შეცვლისათვის.

დიაგრამა 1



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით (geostat.ge)

მოკვდაობის მაღალ დონესა და მნიშვნელოვანწილად, მის ზრდას აპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის არაჯეროვანი დონე; სიღარიბე და მასთან დაკავშირებული სიძნელეები, მავნე ნივთიერებებით გარემოს ინტენსიური დაბინძურება; კვების რაციონში არასრულფასოვანი (გენმოდიფიცირებული) ნაწარმის წილის ამაღლება, განსაკუთრებით კი-მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად ყოველი მეხუთე ადამიანი

პენსიონერია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერის დაბერებაც ლოგიკურად, სიკვდილიანობის მაჩვენებლებს ზრდის.

მოკვდაობა დემოგრაფიული ანალიზის თვალსაზრისით სიკვდილის მრავალ ცალკეულ შემთხვევისგან ფორმირდება და ერთობლიობაში არის **ენდოგენური**, (გამონვეულია ადამიანის ორგანიზმის შინაგანი განვითარებით) და **ეგზოგენური**, (დამოკიდებულია გარემოს მოქმედებაზე) ურთიერთქმედების შედეგი, მაგრამ მათი როლი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და კაცობრიობის

ისტორიის ცალკეულ პერიოდში განსხვავებულია. ვინაიდან მოკვდაობის ფაქტორები მრავალასპექტიანია, კვლევაც სხვადასხვა ტიპური ნიშნების მიხედვით ხდება, რაც საკმაოდ შრომატევადია.

ასევე განსხვავებულია მოკვდაობის კვლევის მიმართულებები: ანტენატალური, ახალდაბადებულთა, გენერაციული, დედათა, ინტრანატალური, კვაზიენდოგენური, სიკვდილის მიზეზების მიხედვით და ა.შ. მოკვდაობა. (1. გვ, 197-200).

სიკვდილის მიზეზების მიხედვით მოკვდაობის ანალიზი საშუალებას იძლევა: შეფასდეს მოკვდაობაში სიკვდილის ცალკეული მიზეზების მნიშვნელობა, გაკეთდეს დასკვნა ამა თუ იმ დაავადების შემცირებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. თუ გადავავლებთ თვალს დაავადებათა განვითარების ისტორიას ამ თვალსაზრისით შევნიშნავთ განსხვავებას მოკვდაობის სტრუქტურაში, ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებათა შორის, თანაფარდობის ცვალებადობას. კერძოდ, ბოლო პერიოდში მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის, ახალწარმონაქმნებისა და აგრეთვე უბედური შემთხვევების, მოწამლეულებისა და ტრამვების მიზეზებით. (გამოკვლევა წარმოებს x დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით). (1. გვ. 224-226)

თუ შევადარებთ ერთმანეთს დაბადებულთა და გარდაცვლილთა თანაფარდობას არც აქ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ბუნებრივი მატება ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევა, (იხ. დიაგრამა

2). უფრო მარტივად და გასაგები ენით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკვდაობა აჭარბებს შობადობას. (2014 -2015 წ.წ.)

გარდა გრაფიკულისა მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლის-ბუნებრივი მატების განვითარების ტენდენციებს, ანალიტიკურად, აღწერს ტრენდის განტოლება (მოდელის) სახით. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა ტრენდის ფორმის, ანუ მათემატიკური ფუნქციის შერჩევა, რომლის მიხედვითაც იქნება განხორციელებული დინამიკური მწკრივის ანალიტიკური მოსწორება (შესასწავლი დროის პერიოდში ამა თუ იმ პარამეტრის ცვლილების ხასიითის გათვალისწინებით).


ტრენდის ფორმის შერჩევისას ადექვატურობის საზომად გამოყენებული სხვადასხვა კრიტერიუმებიდან გამოყვავით აპროქსიმაციის სტანდარტული შეცდომა (საშუალო კვადრატული გადახრა ტრენდიდან), რომელიც ასე განისაზღვრება:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (y_t - \hat{y}_t)^2}{n - m}} \quad (3. გვ.66-68)$$

სადაც- Y_t არის პარამეტრის ფაქტობრივი მნიშვნელობა. \hat{y}_t -პარამეტრის თეორიული (გაანგარიშებითი) მნიშვნელობა, n - შესასწავლი დინამიკური მწკრივის დონეების რიცხვი, m -პარამეტრების რიცხვი ტრენდის განტოლებაში,

დავუშვათ, რომ ბუნებრივი მატების ძირითადი ტენდენცია 2013-2017 წლებში აღინიშნება წრფივი, ფუნქციით. (შესაძლებელია პარაბოლურიც).

დიაგრამა 1



შენიშვნა: ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით (geostat.ge)

გამოვთვალოთ აღნიშნული განტოლების პარამეტრები უმცირეს კვადრატთა ხერხით, წრფივ განტოლებას ექნება შემდეგი სახე: $Y_t = a_0 + a_1 t$
 პარამეტრების მოსაძებნად ვსარგებლობთ განტოლებათა შემდეგი სისტემით:

$$\begin{cases} \sum y = na_0 + a_1 \sum t \\ \sum yt = a_0 \sum t + a_1 \sum t^2 \end{cases}$$

განტოლებათა ამ სისტემის ამოხსნის გასამართივებლად ვიყენებთ პირობით ნულიდან ათვლის ხერხს, რომლის დროს $\sum t^p = 0$,

ტრენდის განტოლებათა პარამეტრებისა და დაპროექსიმაციის გასაანგარიშებლად შევადგინეთ დამხმარე ცხრილი:

წლები	y	T	T ²	y T	Y _t	(y - Y _t) ²
2013	1094	2	4	2186	6206.4	26.15
2014	11348	-1	1	-11348	6507.0	75.41
2015	14128	0	0	0	6807.6	11.02
2016	5798	1	1	5798	7108.2	1.71
2017	5471	2	4	10942	7408.8	3.75
სულ	34038	0	10	3006	34038	68.04

ჩავსვათ მიღებული ჯამები შესაბამის განტოლებათა სისტემაში (შესაძლებელია პარაბოლურიც).

$$\begin{cases} 34038 = 5a_0 \\ 3006 = 10a_1 \end{cases} \text{ საიდანაც } a_0 = \frac{34038}{5} = 6807.6 \text{ , } a_1 = \frac{3006}{10} = 300.6$$

ამგვარად წრფივი განტოლება მიიღებს ასეთ კონკრეტულ სახეს:

$$Y_t = -6807.6 + 300.6 t$$

განვსაზღვროთ ბუნებრივი მატების თეორიული დონეები, შესაბამის მოდელში პირობით აღნიშვნების ნაცვლად შესაბამისი წლის რიგითი ნომრის ჩასმის გზით:

$$Y_1 = -6807.6 + 300.6 \times (-2) = -6206.4$$

როგორც ჩანს, ფაქტიურ და მოსწორებულ დონებს შორის განსხვავება არ არის. ($\sum y = \sum Y_t = 34038$). ეს კი იმაზე მეტყველებს რომ, რომ შერჩეულმა წრფივმა განტოლებამ ადექვატურად ასახა ბუნებრივი მატების განვითარების (ცვალებადობის) ტენდენცია. ეკონომიკურად a_0 ასახავს დინამიკური მწკრივის საშუალო დონეს, ხოლო a_1 განვითარების აჩქარებას. იგივე შინაარსის გამომხატველია აპროქსიმაციის სტანდარტული შეცდომის სიდიდე: $\sigma = \frac{\sum (y - Y_t)^2}{n-2} = \frac{68.04}{3} = 22.7$ განვითარების ტიპი ხასიათდება თანაბრად აჩქარებული ზრდით (ვინაიდან $a_1 > 0$, ბუნებრივი მატება ყოველწლიურად საშუალოდ იზრდება 601.2 კაცით (2 a_1)).

შესასწავლ პერიოდში ბუნებრივი მატების მოცულობის რყევადობის დონის შეფასებისათვის ვიყენებთ აპროქსიმაციის კოეფიციენტს, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით

$$k = \frac{a_1}{\bar{y}} \cdot 100 \text{ , სადაც } \bar{y} = \frac{\sum y}{n} = \text{ბუნებრივი მატების საშუალო დონეა, ტოლია } \frac{34038}{5} = 6807.6\text{-ის.}$$

$k = \frac{300.6}{6807.6} \times 100 = 4.41\%$ აპროქსიმაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი მატების განვითარება 2013-2017 წლებში იყო მდგრადი.

ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის ტენდენციით ხასიათდება. ამიტომ დემოგრაფიული პროცესები განხილული უდა იქნას გლობალურ ასპექტში, მაგრამ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი ვერ იქნება მუდმივი სიდიდე. იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობის გამოთვლით თეორიულად მიღებული მონაცემები შეი-

ძლება მკვეთრად განსხვავდებოდნენ რეალურ პრაქტიკაში არსებული მისი ფაქტორივი შედეგებისგან.

ამ საკითხის რეგიონულ ქრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს ბადებს. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოს რეგიონების დეპოპულაციას განიცდიდა მხოლოდ ერთი რეგიონი-რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, ხოლო ამჟამად ასეთივე მდგომარეობაშია კიდევ ხუთი რეგიონი (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას როგორც დემოგრაფიული განვითარების, ისე დასაქმების თვალსაზრისით მეტად გამოკვეთილი თავისებურებანი აქვს და აღწერს დემოგრაფიული განვითარების გზას.

აჭარაშიც თვალში საცემია დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელთა გაუარესება, რაც ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლისათვის შეადგენდა 376 ათას კაცს. 2014 წლისათვის კი 396 ათას კაცს. შესაბამისად ამ 12 წლიანი პერიოდისათვის რეგიონში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი არის 0,004. ზრდის ამ ტემპით ადვილად შეიძლება გამოითვალოს მომავლის პროგნოზები.

შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ აჭარის აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში 2006-2016 წლებისათვის მერყეობს 36-60 %ის შუალედში. მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არ შეიმჩნევა, თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის 5-8 %-ით ზრდა ფიქსირდება. 2006-2016 წლებში დასაქმებული მოსახლეობის წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში მოთავსებულია 75-87 % შუალედში, ამასთან უკანასკნელ წლებში ის აღწევს რეკორდულ მაჩვენებელს 87 %-ს. დაქირავებული მოსახლეობა 27-40 %-ის შუალედშია მოთავსებული. ამასთან უკანასკნელ წლებში უმუშევართა პროცენტული წილი კლებულობს და მინიმალურ რეკორდულ მაჩვენებელს-13 %-ს აღწევს. ანალოგიური ცვლილებები შეიმჩნევა მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაშიც.

ჩვენ ვიზიარებთ რა ავტორთა შეხედულებებს აჭარის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში რელიგიური ფაქტორის გარკვეული ზეგავლენის შესახებ, მაგრამ ეს წარსულია და არა თანამედროვეობა. კრიზისის პერიოდში აჭარაში შობადობის

ზრდა უფრო სწრაფი ტემპით მოხდა, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში და თუ ამჟამად აჭარაში ბევრად მეტი ბუნებრივი მატებაა საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ეს მოკვდაობის დაბალი დონითაა გამოწვეული. მოკვდაობის დაბალ ზოგად მაჩვენებელს კი მოსახლეობის შედარებით ახლგაზრდა სტრუქტურა განსაზღვრავს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების კვლავწარმოებასა და დასაქმებას ახასიათებს მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც მოითხოვს მის დამოუკიდებელ დემოეკონომიკურ რეგიონად განხილვას და კვლევას. აჭარა დღემდე წარმოადგენს საქართველოს სხვა რეგიონებისათვის შრომითი რესურსების მიმწოდებელ დონორ რეგიონს. საჭირო ხდება ამ თვალსაზრისით მომავალი ვითარების განსაზღვრა და დასაბუთება

დასკვნა - ამრიგად, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. გაეროს მონაცემებით 2050 წლისთვის მოსალოდნელია, რომ საქართველოს მოსახლეობა 38 %-ით ანუ 1 170 000 კაცით შემცირდება. დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების მიზნით, სახელმწიფო უკვე ახორციელებს არაერთ პროგრამას. თუმცა გასაკეთებელი მაინც ბევრია.

აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები:

საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება; ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება; უმუშევრობის შემცირება, რაც შრომით მიგრაციას შეამცირებს.

ადამიანის სიკვდილის გამომწვევი სნეულეზების დადგენასთან ერთად, შესწავლა თვით ამ სნეულეზების წარმომშობი ეკოლოგიური ხასიათის მიზეზებისა და და ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ქმედითი ღონისძიების განხორციელება მოსახლეობის გამანადგურებელი ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, სიგარეტის წევა გოგონების მიერ და სხვა) ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ, რამდენადაც ეს მოვლენები ხელს უწყობენ არა მხოლოდ შობადობის კლებას, არამედ არაჯანსაღი (სნეული) ბავშვების დაბადებასა და ადრეულ ასაკში მათ გარდაცვალებას.

იმედია, ამ ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით შემუშავებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას უდავოდ შეუძლია თვალსაჩინო წვლილის შეტანა დემოგრაფიული ოპტიმიზის შექმნაში, შედეგში საყოველთაო კეთილდღეობისა და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებაში.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] გ ნულაძე, ა. სულაბერიძე „დემოგრაფიის საფუძვლები“, თბ. 2015 წ.
- [2] ლ. ჩიქავა „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონალური თავისებურებანი“, დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომათა კრებული.თბ.2014.
- [3] ს. გელაშვილი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2, ამოცანებისა და ტესტების კრებული, თბ.2017.
- [4] საქსტატის შესაბამისი წლების წელიწადეულები.
- [5] www.ssa.gov.ge;
- [6] www.geostat.ge
- [7] www.ttimes.ge ;
- [8] www.matsne.gov.ge

ბუნებრივი და შრომითი რესურსების გონივრული და ეფექტური გამოყენების გობიერითი ასპექტი

SOME ASPECTS ABOUT REASONABLE AND EFFECTIVE USE OF NATURAL AND LABOR RESOURCES

თამაზ გამსახურდია,

ეკონომიკის დოქტორი,

თეიმურაზ ფასტვენიძე,

ტექნიკის დოქტორი ასოცირებული პროფესორები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

TAMAZ GMSAKHURDIA,

Doctor of Economics,

TEIMURAZ PESTVENIDZE,

Doctor of Engineering Associate Professors.

Akaki Tsereteli State University, Georgia, Kutaisi

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების ძირითადი მიმართულებები, საშუალებები და მიღწევის გზები. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მეცნიერული შესწავლისა და მათი ეფექტური გამოყენების ზოგიერთ საკითხზე. ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის როლის მნიშვნელობა ადამიანის რესურსების დასაქმებაში, ემიგრაციული პროცესების შემცირებაში, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის საქმეში.

ასევე აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტი ჯერჯერობით კვლავ დაბალია, რაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად აისახება ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ყურადღება გამახვილებულია ქვეყანაში არსებული საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის უარყოფით გავლენაზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

გაანალიზებულია ხელისუფლების მცდელობა, მთიანი რეგიონების მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით მიღებული კანონები, თუ ნორმატიული აქტების მნიშვნელობა და მითითებულია ხარვეზები.

ნაშრომში აღნიშნულია ის პირობები და მოტივაციები, თუ რატომ ეტანებიან ბიზნესმენები უფრო მეტად სავაჭრო საქმიანობას, ვიდრე სამეწარმეო ბიზნესში გრძელვადიანი ინვესტიციების ჩადებას, რომელსაც შეუძლია დიდი სიკეთის მოტანა, როგორც მათთვის, ასევე ქვეყნისათვის. მოცემულია ინვესტიციების ეფექტურად დაბანდების ზოგიერთი შესაძლო ვარიანტი აგრარული და ნიაღისეული სიმდიდრეების მოპოვება-გადამუშავების დარგებში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსი, ინოვაცია, მენეჯმენტი, ინვესტიცია, კრედიტი.

ABSTRACT

The paper deals with the main directions, means and ways to improve the economic potential of the country. The focus is mainly on the scientific study of human and natural resources and some of their effective use. It shows the importance of SMEs in the employment of human resources, reduction of emigration processes, improving demographic conditions and increasing economic potential of the country.

It is also noted that the efficiency use of human resources in the country is still low, which, of course, has a sharp impact on the economic situation.

The focus is on the negative impact of banking-credit policy in the development of SMEs and the improvement of the living standards of the population.

It is also analyzed that the government attempts to make the regulations for improvement of the conditions of the mountainous regions, but there are some errors.

The paper states the conditions and motivations why businessmen tend to trade more than the long-term investment in entrepreneurial business, which can bring great goodness for both themselves and the country. There are some possible ways of investing in agricultural and fossil wealth-in processing industries.

Keywords: Human Resources, Innovation, Management, Investment, Credit.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა ძირითადად დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე - ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია-პროფესიონალიზმზე, ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობაზე, ინოვაციებზე, შრომის მოტივიზაციაზე, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა. ყოველივე ეს

ადამიანური რესურსების სულიერი და ზნეობრივი პროცესების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული.

ფაქტია, რომ შრომა არის ადამიანის მიზანშეწონილი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომელიც მიმართულია სულიერი და მატერიალური სიმდიდრის შესაქმნელად, ან მომსახურების მიზნით. ნაყოფიერი შრომის გარეშე შეუძლებელია დასახული მიზნების განხორციელება. ცნობილია, რომ ფიზიკური თუ გონებრივი შრომა დასაბამიდან იყო და არის საზოგადოების განვითარების, კვლავწარმოების უშრეტე წყარო. წინა საუკუნეებში ადამიანის შრომის შედეგად მიღწეული შედეგები სახეზეა: ეგვიპტის პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი, ძველი მსოფლიოს სხვა საოცრებები, კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, სვეტიცხოველი, გელათი, ჯვარი, ბაგრატი, ცათამბჯენები და მრავალი სხვა საინტერესო ნაგებობანი, რომლებსაც მაღალი კულტურული და ისტორიული ფასეულობა გააჩნია.

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება, ორ საუკუნეზე მეტს ითვლის, რომელმაც საფუძველი დაუდო შრომის მეცნიერულ კვლევას, სწორედ მეცნიერული მენეჯმენტის განვითარებამ მისცა საშუალება სპეციალისტებს, ეფიქრათ პრიორიტეტული დარგების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

საქართველო კავკასიის რეგიონში ითვლება ერთ-ერთ მაღალ ავტორიტეტულ ქვეყნად, თუმცა ამჟამინდელი სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი მეზობელი ქვეყნების განვითარების ტემპები უფრო მაღალია, რაც რეგიონის დემოგრაფიულ სურათზეც აისახა. 1926 წელს ამიერკავკასიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ქართველები 207 ათასით მეტი ვიყავით აზერბაიჯანელებზე, ხოლო - სომხებზე მილიონ ნახევრით. დღეს კი, აზერბაიჯანელები 4 მილიონით მეტი არიან ქართველებზე. 1980-იან წლებში საქართველოში ყოვლწლიურად საშუალოდ 94 000 ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა წელიწადში 47 ათასამდე შემცირდა. სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში მოკვდაობა გაცილებით მეტია, ვიდრე შობადობა. ამჟამად ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობა 4 მილიონ 725 ათას კაცს შეადგენს. როგორც წესი, მშობიარე ქალების ასაკი 20-29 წელია. 1989 წლის აღწერიდან დღემდე ამ ასაკის ქალების რაოდენობა, სამწუხაროდ, წლიდან წლამდე მცირდება. აგრეთვე გაუარესდა სხვა მაჩვენებლებიც, მაგალითად შემცირდა ქორწინებისა და გაიზარდა

განქორწინების მაჩვენებლები. თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში 49 ქორწინებაზე 1 განქორწინება მოდიოდა, დღეისათვის ყოველი მეორე ქორწინება, სავალალოდ, განქორწინებით მთავრდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შობადობაზე. ქვეყნიდან მილიონზე მეტი ადამიანი წასული საზღვარგარეთ. იუნესკოს ოფიციალური დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა განახევრდება. ასეთი კატასტროფული მონაცემების აღმოფხვრისათვის ხელისუფლებამ, გონივრული მენეჯმენტის გამოყენების საფუძველზე უნდა განახორციელოს ეფექტური ეკონომიკური რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მძიმე პირობებში მყოფი ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

წინა ხელისუფლებასთან შედარებით ახალმა ხელისუფლებამ გარკვეული ქმედითი ნაბიჯი გადადგა მოსახლეობის ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო და მართლწესრიგის გაუმჯობესების მიზნით, რაც აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია, რადგან ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმები და გაკეთებული კეთილშობილური საქმეები დანგრეული და აღსადგენი მეურნეობის ფონზე მკრთალად ჩანს. დანგრეული მეურნეობის აღდგენას ათეული წლები სჭირდება, მაგრამ ქართველი კაცის პატრიოტული სულისკვეთებისა და თავისი სამშობლოსადმი დიდი სიყვარულით ყველაფრის დაძლევა შესაძლებელი.

მოტივირებული მშრომელი ადამიანების გარეშე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. შევედეთის გმირის მანერჰიმის სიტყვებით თუ განვსჯით - „ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების მიერ აშენებული ქვეყანა არავის უნახავს. სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები ქმნიან, რომლებიც მზად არიან, უყოყმანოდ შესწირონ თავი სამშობლოს, პატრიოტიზმის გარეშე ქვეყნის აღმშენებლობა წარმოუდგენელია“. თითქმის იგივეა ჩვენი მგოსანის აკაკი წერეთელის ნააზრევი: „ვინაც სამშობლოს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი“.

დღეს ქართველი კაცი გაზარმაცებული და ინდიფერენტულია, არ ადარდებს თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი. როგორ უნდა იყოს განწყობილი თითოეული მოქალაქე თავისი ქვეყნისადმი და როგორ უნდა ფიქრობდეს თავისა თუ ქვეყნის მომავლისათვის ნათლად ჩანს პოლონეთის მაგალითიდან: ჩვენი ქვეყნების უახლესი ისტორია ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ესაა სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი. თუმცა პოლონეთში ჩატარებულ-

მა სწორად გათვლილმა რეფორმებმა (შოკურმა თერაპიამ) უფრო სწრაფი და მაღალეფექტური შედეგები მოიტანა. პოლონეთში შიდა პროდუქტის ხვედრითი წილი ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ მაღალია, ცხოვრების პირობები, სხვა ანალოგიური გზით მიმავალ ქვეყნებთან შედარებით, უკეთესია, რაც ქვეყნიდან მოსახლეობის დენადობის შეჩერებას უწყობს ხელს. პოლონელები ოპტიმისტური განწყობილებით უყურებენ ჯერ კიდევ არსებული პრობლემების გადწყვეტას. ზედმინვნით უყვართ ქვეყანა, მშობლიური ენა, კულტურა და ისტორიული წარსული, მტკიცედ და კატეგორიულად მოითხოვენ სახელმწიფოში პოლონური ენის ცოდნას, ასეთია მათი სულისკვეთება. უნდა მივხადოთ პოლონელ ხალხს - დაფიქრდეთ ქართული ენის სინმინდის დაცვაზე. გავამკაცროთ და რეალური გავხადოთ საჯარიმო სანქციები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უგულენლყოფენ კანონის მოთხოვნებს ფირნიშებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმებისას სახელმწიფო ენის მიმართ. დაუშვებლად მიგვაჩნია ფირმის რეგისტრაციაში გატარება - არაქართული შინაარსის ამსახველი უცხო ალფავიტიტ ჩანერილი სიტყვების გამოყენება.

ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის საჭიროა გონივრული ნაბიჯების გადადგმა და ეფექტური ღონისძიების განხორციელება, რომ მენარმემ შემოქმედებით საქმიანობაში იგრძნოს ისეთი ბერკეტების შემოღება, რომლებიც მოტივირებულს გახდის სამენარმეო საქმიანობას. კერძოდ, შემოღებული უნდა იქნეს გრძელვადიანი კრედიტები დაბალი საპროცენტო განაკვეთით. საბანკო საქმიანობის პროგრამიდან ამოღებულ იქნას ბინების იპოთეკით დატვირთვა და საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით გაუქმდეს ბანკების შემოსავლების გადიდების მახინჯი პრაქტიკა. სახელმწიფომ იფიქროს იმისათვის, რომ კრედიტის აღება მსესხებელს გულში ჩაუსახავს იმედებს, რომ აღებული კრედიტი მისთვის მისაღებია და არ იწვევს მის დათგრუნვას. ბინების იპოთეკით დატვირთვამ გაამდიდრა ბანკები და გააღატაკა ქართული ოჯახები. ასეულობით და ათასეულობით ადამიანი დარჩა უსახლკაროდ, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის გადინებას საზღვარგარეთ. დაცარიელდა სოფლები თუ ქალაქები. მაგალითად, ბოლო ათ წელიწადში ძალიან გაიზარდა გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობა, თუ 2002 წელს ასეთი 143 სოფელი იყო, ამჟამად 223 შეადგენს. თუ 2000 წელს 16 ერთკომლიანი სოფელი იყო, 2014 წელს ასეთი 39 სოფელია.

2002 წელს საქართველოში 28 დიდი (5000 და მეტი მოსახლეობით) სოფელი იყო, ამჟამად ეს რიცხვი 12-დგა შემცირებული. სამწუხაროდ ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება. ზოგს ქვეყნის დედაქალაქში სურს დაბინავდეს, იქიროს ნესტიანი სარდაფი და მიჰყოს ხელი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციას. ამით არჩინოს თავი და ოჯახი. ამიტომ, რომ დედაქალაქში ტევა აღარ არის, აქ ქვეყნის მოსახლეობის 40%-ზე მეტი ცხოვრობს, რაც იწვევს დიდ სირთულეს თბილისისათვის.

საქართველოს ყველა კუთხეში თუ ადრე სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა მიტოვებული ოდა-სახლები, გავერანებული ლამაზი გარემო ითხოვს მოვლა-პატრონობას. გული გეტკინება, რომ ნახოთ რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო და ზემო სვანეთის, იმერეთის, სამეგრელოს და სხვა კუთხეების ადამიანების ყოფა-ცხოვრება, მათ გაუსაძლის მდგომარეობაში უხდება ყოფა. ყოველივე ამის გამოსწორებისათვის საჭიროა მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხალხის წარმომადგენლებთან ერთად, იფიქროს და მათი მონაწილეობით შედგეს შესაფერისი პროექტი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტს ქვეყნის აღდგენა-აღორძინებას. ხელისუფლებამ შექმნას სპეციალური ფონდი, რომელიც გრანტებით უზრუნველყოფს იმ ადამიანებს, რომლებიც შექმნიან და განახორციელებენ სოფლების გადარჩენის სპეციალურ პროექტებს. ჩვენ არაერთხელ აღვინიშნავს და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართველი კაცი უფრო მობილიზიზებული და გულანთებული უნდა იყოს მშობლიური კუთხის სიყვარულით. აბა, ნახეთ ებრეულმა ერმა რას მიაღწია. მონდომებითა და შრომით აღაშენა და ნალკოტად აქცია უდაბნო და დღეს ისრაელის სახელმწიფო ანგარიშგასანევი ქვეყანაა მსოფლიოში. მცირემინიან ისრაელში ერთ მტკაველ მინას ვერ ნახავთ დაუმუშავებელს. წლის ყველა სეზონში „კიბუცებში“ მოჰყავთ ყველაფერი ის, რაც ადამიანის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ჩვენთან ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა ელის მშრომელი ადამიანის ხელს. ახლანდელმა ხელისუფლებამ სოფლის მცხოვრებლებს დიდი შვება მისცა-დაუხნა ათასობით ჰექტარი მიწა და უთხრა-მოუარე და მიიღე მოსავალიო. სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა ხელი არ გაანძრია. ვინც შრომა არ დაიზარა უხვი მოსავალი მიიღო. რა ხდება, რა არის მიზეზი? ხალხი გაზარმაცდა, იმზე აღარ ფიქრობენ, რომ „სხეულის გადასარჩენად პურია საჭირო, სულის გადასარჩენად კი სიყვარული“. ამაზე თუ დაფიქრებულია ქართველი კაცი, რომელიც ფიქრობს საზღ-

ვარგარეთ წასვლაზე, იქ ურჩევნია მონად ემსახუროს უცხოელს, ვიდრე თავის ქვეყანაში შრომით და ვაჟკაცური საქმიანობით ისახლოს თავი. ჩვენს ქვეყანას რაც სჭირს, ყველაფერი ჩვენი ბრალია - „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ბევრმა შეიძულა შრომა, სხვის ხელში შემყურე გახდა და სხვისგან ელის დახმარებას. როდემდის? თუ ქვეყანა მაქსიმალურად გამოავლენს და გამოიყენებს არსებულ რესურსებს, იმედია, შევძლებთ, ძირითადად ვანარმოთ მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო პროდუქტი, სანამ უნდა ვიყოთ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი გენმოდინფიცირებული იმპორტული პროდუქტის იმედად? ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ქართულ ბაზარზე არსებული პროდუქტის 80% ფალსიფიცირებულია, მათ შორის ბევრი იმპორტულიც არაა ნატურალური. დანარჩენი 20% კეთილსინდისიერი მენარმის პროდუქტია.

ჩვენი ქვეყანა არავის მონა არ უნდა იყოს. ქართველი ხალხი ყოველთვის გმირული სულისკვეთების ხალხად ითვლებოდა. ნუ დავივიწყებთ ილიასეულ სენტენციას „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, როცა ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაშია, ერთ მუშტად შევიკრათ, ქართველებო. შეუძლებელი შევძლოთ, როგორც ეს შეძლო დიდმა დავით აღმაშენებელმა. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო შაგრენის ტყავივით მცირდება. პოლიტიკოსების უნიათობის გამო ქართული მინების 20 და 33% ოკუპირებულია რუსეთისა და თურქეთის მიერ. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი ხელისუფლება ხელგაშლილი ეგებება უცხოელ მიგრანტებს, როგორც დემოგრაფი ა. თოთაძე აღნიშნავს, რომ ზუსტი სტატისტიკა მიგრანტების შესახებ არ არსებობს, მაგრამ ვიზუალურადაც თვალში საცემია თბილისში 100 კაციდან 10 მიგრანტია. ანუ გამოდის, რომ მოსახლეობის თითქმის 10% მიგრანტია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში 500 ათასამდე ადგილმონაცვლე მოსახლეობიდან უმრავლესობა ჯერ კიდევ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. თვალში საცემია ისიც, რომ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებიც კი თავს არიდებენ მიგრანტების მიღებას და თხოულობენ დანესდეს ქვოტები მათ რაოდენობაზე, ჩვენთან კი სტატისტიკის არ არსებობის გამო არც კი ვიცით რამდენი მიგრანტი თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეები ცხოვრობენ ჩვენთან და არავის გამოუთვლია ის ზღვარი თუ რამდენი უცხოელის მიღება შესაძლებელი ისე, რომ არ დავზარალოთ ჩვენი დემოგრაფიული სურათი.

ამ სიტუაციაში შეიძლება საკუთარ ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობაში აღმოგჩნდეთ.

გასაკვირი არ არის, ქვეყანა რთულ და მძიმე მდგომარეობაში იყოს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ვერ ვახერხებთ ადამიანური რესურსების მიზანმიმართულ და ეფექტურ გამოყენებას. ამის მიზეზი ბევრია, მათ შორის კარგი და პატიოსანი კადრის დაუნახაობა. რას ნიშნავს ეს? არ არის ცნობადი სახე ელიტისათვის. სახელისუფლებო სტრუქტურებში გამოუცდელ და დაბალკვალიფიციურ კადრებს ზურგს უმაგრებს „ნეპოტიზმი“, ნათესაური კლანი. არკვეულნილად, ამის მიზეზია, რომ ქვეყნის ხელისუფლების მართვის ზედა და ქვედა სტრუქტურებში ჭარბობს უნიათო და არაფრის მკეთებელი კადრები. სწორედ ამ უნიათობამ, არაკომპეტენტურობამ და უპასუხისმგებლობამ ქვეყანა მიიყვანა კრიზისამდე. ჩვენი აზრით, მოუთმენელი და აღმაშფოთებელია სამთავრობო სტრუქტურებში ისეთი გავლენიანი ადამიანების ყოფნა, რომლებიც ქმნიან იმის ილუზიას, რომ ქვეყანაში არ არის ღირსეული და გამოცდილი კადრი, ამით ხელს უწყობენ საბოტაჟს და აფერხებენ ქვეყნის წინსვლას.

ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი და წელგამართული რომ იყოს, საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ გააზრებული ეფექტური შრომის შედეგად მიღებული იქნება სასურველი შედეგები, რომლებიც უზრუნველყოფს ქვეყნის კეთილდღეობას.

დღევანდელი მარკეტები გადავსებულია უცხოური წარმოების კვების თუ სამრეწველო პროდუქციით. ჩვენი დაკვირვებით, ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ადამიანების დიდ ნაწილს სურვილი აქვთ კომერციულ საქმიანობას მოჰკიდონ ხელი, როცა ადამიანების უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, კვალიფიკაცია და გამოცდილება, მაგრამ ეს დარგი უფრო შემოსავლიანია. ნებისმიერ რეგიონში სავაჭრო ობიექტების მშენებლობის ბუმი დგას. რა არის მიზეზი? როგორც ირკვევა, ქვეყანაში მაინც და მაინც არ იჩენენ ინტერესს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, როცა ქვეყანაში ამის საჭირო რესურსი არსებობს. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ინვესტორები თავს არიდებენ სამენარმეო საქმიანობაში ინვესტიციების ჩადებას, რადგან აღნიშნულ დარგში აქ პროცესი რთულია, მოითხოვს დიდი და შრომატევადი სამუშაოების განხორციელებას, მაგრამ აქ ჩადებული ინვესტიციები უამრავი სიკეთის მომტანი შეიძლება გახდეს ქვეყნისთვის და თვით ინვესტორებისთვის.

საც. ჯერ ერთი, დასაქმდება ათასობით შრომითი რესურსები, მოხმარებული იქნება ადგილობრივი ბუნებრივი თუ წიაღისეული რესურსები, წარმოებული ნატურალური პროდუქტებით უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობა, ჩამოყალიბდება დისტრიბუციები, სადაც უმეტესწილად დასაქმდება ახალგაზრდობა, ბიუჯეტში შევა მილიონობით შემოსავალი, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას. როცა ქვეყანას ეროვნული ხელისუფლება მართავდა, განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდათ გამახვილებული რესპუბლიკაში ბუნებრივი სიმდიდრის მეცნიერულ შესწავლაზე. მაშინდელ ხელისუფლებას ნორმალურ ფუნქციონირების საშუალებას არ აძლევდნენ, როგორც შინაური, ასევე გარეშე მტრები, რომ ქვეყანა ყოფილიყო ეკონომიკურად ძლიერი და დამოუკიდებელი. ერზე მოფიქრალი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ მოკლე დროში ბევრი რამ გააკეთა. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს ხელშეკრულება გაფორმდა ყატარის სასულთნოსთან სასმელი წყლის საქართველოში ჩამოსხმაზე და ყატარში გატანაზე. ყატარელ ბიზნესმენტა დელეგაციამ სასმელი წყალი ასპინძის რაიონში შეარჩია. ისინი თავიანთი ხარჯებით აშენებდნენ ქარხანას. ჩამოსხმულ ერთ ლიტრ მტკნარ წყალში 4 ამერიკულ დოლარს გადაგვიხდიდნენ. საქმე გადანყვებულ იყო და ყატარელები ხარობდნენ - მთელ ყატარს მოამარაგებს საქართველოს წყალი! ეს იქნებოდა უდიდესი შემოსავალი საქართველოსთვის, მაგრამ კრიმინალურმა გადატრიალებამ ყველაფერი ჩაშალა და დაღუპა. ასევე გადანყვებულ იყო, რომ ბერძნები საქართველოში ბაყაყების ფერმას ააშენებდნენ, სადაც 4 ათას კაცს დაასაქმებდნენ, წელიწადში 12 მილიონ ქილა ბაყაყის კონსერვს დაამზადებდნენ და თითოეულ კონსერვში საქართველოს 14 ამერიკულ დოლარს გადაუხდიდნენ! ამ პროექტმაც ჩაილურის წყალი დალია. აღსანიშნავია, რომ დმანისისა და ბოგდანოვკის რაიონში მსოფლიოში ბაზალტის მარაგის ცხრა მეათედია დავანებული. ბაზალტი შეუცვლელი პროდუქტია სარაკეტო მშენებლობაში, გადამუშავებული ბაზალტისაგან ამზადებენ კოსმონავტების სკაფანდრებს და ისეთ ქსოვილებს, რომლის გარეშე ადამიანი კოსმოსში ვერ გაფრინდება. ასეთი დიდი მარაგის მქონე დმანისსა და მის შემოგარენში უნდა შექმნილიყო დიდი დასახლება, მაგრამ წინათ არსებული ხელისუფლების ხელმძღვანელობა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გეოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს მასში არ ალებინებდნენ მონაწილეობას, რათა ჩვენს მო-

სახლეობას არ სცოდნოდა, რა სიმდიდრეს ფლობდა იგი ბაზალტის სახით. იგივე შეიძლება ითქვას დარიშხანის საბადოზე, რომელიც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მთებში მოიპოვებოდა (ახლა კონსერვაციაა გაკეთებული). საბჭოთა კავშირის დროს იაპონელები ამ წიაღისეულს ათეული წლების განმავლობაში ეზიდებოდნენ რაჭიდან და მერე მსოფლიო ბაზარზე ასმაგად ყიდდნენ. არსებული სერიოზული კვლევების თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე 1261 დასახელების სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება. უფლება არ გვაქვს თქვათ ჩვენი ქვეყანა ღარიბიაო. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ უფრო განვითარდეს, მას შემდეგ, როცა ღრმად შევისწავლით ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს და მას ჩავაყენებთ ქვეყნის სამსახურში. ახლად არჩეულმა პარლამენტმა უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა, ხელისუფლებამ განახორციელოს ახალ-ახალი პროგრესული რეფორმები, რათა მიაღწიოს სანუკვარ მიზანს. მოტივირებული და გონივრული შრომა ბიძგს მისცემს სამენარმეო საქმიანობის ეფექტურ განვითარებას. თუ გვინდა ვარსებობდეთ და ერი გადავარჩინოთ, საჭიროა მუხლჩაუხრელი შრომა, მოყვასისადმი თანადგომა, მიტევება, რჩევა, ერთგულება, ერთმანეთისათვის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. მოვუსმინოთ იოანე ოქროპირის შეგონებას „უბედურება ის კი არაა, რომ ნაიქეცი, უბედურება ისაა, ადგომა რომ არ გინდა“. შეიძლება ადამიანი ნარუმატებელი იყოს, მაგრამ არ უნდა შეეპუოს ამას შრომით, ბრძოლითა და გონიერი მენეჯმენტის მეშვეობით, რისკების გონივრული გათვლებით უნდა დავძლიოთ წინააღმდეგობები და მივაღწიოთ წარმატებებს.

ქვეყნის ხელისუფლებამ ჯერ-ჯერობით ვერ გამოახა ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას და ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენი აზრით, საჭიროა ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომლის დაგეგმვაში და რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი პროფესიონალები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და არა თვითმარქვია დილეტანტები, რომლებიც სამწუხაროდ, მრავლად არიან მიტმასნილი მმართველობაში. დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფოს აუძლურებს არა ფულის, არამედ ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა“. სწორედ ეს სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მყოფმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ინვესტიციების შემდგომ

მოზიდვასა და სამენარმო საქმიანობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ყოელივე ამან უარყოფითი გავლენა იქონია იმაზე, რომ ქვეყნის სასურსათო კალათაში ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის წილი, რაც ქვეყნის მაშტაბით 2/3-ის ტოლია, ხოლო დედაქალაქში გაცილებით მეტი - 80 პროცენტია. ცხადია, იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის ასეთი მოძალევა ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის განვითარებას. უკარგავს გლახს საქმიანობის მოტივაციას, მნიშვნელოვნად აღარბებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და იწვევს მათ დესოციალიზაციას. ამას, უდავოდ, მოჰყვება სოფლების, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონების დაცლა, რასაც, შესაძლოა, შორს მიმავალი და შეუქცევადი ნეგატიური შედეგები მოჰყვება. ცხადია, ბოლო დროს მიღებული კანონი მთიანი რეგიონების შესახებ წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომელებიც დროულ კორექტივებს მოითხოვს. ქვეყანას ეშველება როცა ადამიანური რესურსების დასაქმებისას აღმოვფხვრით ნეპოტიზმსა და ნათლიმამობის მახინჯ ფორმებს, რომელთაც ადგილი აქვს ცენტრალური თუ ადგილობრივი მართველობის სტრუქტურებში. სახელმწიფომ აუცილებელი სამართლებრივი და ფინანსური, ეკონომიკური პირობების შექმნით ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სოფლად სხვადასხვა კოოპერატივებისა და გაერთიანებების შექმნასა და ფუნქციონირებას. მოსაწესრიგებელია ბუნებრივი და წიაღისეული რესურსებით სარგე-

ბლობის წესებიც. აუცილებელია მეტი გამჭირვალეობა ამ საქმეში, რათა ერთეულები არ დაეპატრონონ ისედაც მწირ რესურსებს. ქვეყნის ადამიანური რესურსების გადარჩენა და საზღვარგარეთ გადინების შემცირება შეუძლებელია მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებით, აუცილებელია მოსახლეობის თვითშეგნების, შრომის დისციპლინისა და სამენარმო საქმიანობის ამაღლებისათვის სწორი პოლიტიკის განხორციელება. სანამდე უნდა ვითმინოთ ქვეყნის განვითარების ასეთი დაბალი ტემპით და თავი ვიიმედოთ სტატისტიკური მონაცემებით, რომლის მხედვით, თითქოს საქართველო არაფრით ჩამოუვარდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ზრდის ტემპებს. სინამდვილეში ჩვენ გვჭირდება გაცილებით უფრო მრავალჯერ მაღალი ზრდის ტემპები, რათა მივალწიოთ ისეთი ქვეყნების დღევანდელი ცხოვრების დონეს მაინც, როგორცაა თურქეთი, აზერბაიჯანი, ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ა. შ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის აღმოფხვრა როგორც ქვეყნის მოქალაქეების ასევე სახელმწიფო მოხელეებს შორის, რაც გააერთიანებს ერს, გაუმჯობესდება ხელისუფლებასა და ხალხ შორის ურთიერთობა, შემცირდება ნეპოტიზმი, მომხვეჭელობა, ამაღლება შრომის ეფექტიანობა, მეტად დაფასდება, დღესდღეობით დაუფასებელი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი და ქვეყნის ყველა მატერიალური, ფინანსური, ბუნებრივი თუ ინტელექტუალური რესურსი მიმართული იქნება ქვეყნისა და მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობისაკენ.

ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. საქართველოში 2017 წლის მონაცემების მიხედვით შობადობის მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 14.3-ის ტოლია, რაც დინამიკაში კლების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა წლების მიხედვით მატულობს და 2017 წლისათვის 73,5 წლითაა განსაზღვრული. მოსახლეობის დაბერებას ასევე განაპირობებს გარე მიგრაცია, რომელშიც უფრო მეტი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა გვხვდება.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია გამოავლინოს შრომის ბაზრის ფორმირებაზე დემოგრაფიული დაბერების პროცესის გავლენა; განისაზღვროს დემოგრაფიული დაბერების მიზეზები და შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნებისა და სტატისტიკური მეთოდები.

ძირითადი ნაწილი. შრომის ბაზრის ფორმირება შრომითი რესურსების საფუძველზე იწარმოება. შრომითი რესურსები — ქვეყნის მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი, ე.ი. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ჩაბმულია ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ანდა პრეტენზიას აცხადებს შრომაზე. თავის მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი პირობების გათვალისწინებით იყოფა ორ ჯგუფად: ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობად (შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში. აქ შედის ასევე მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გარკვეულ დროს არ მუშაობს, ელოდება სამუშაოს და სურს მუშაობა) და ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობად (მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც არ აქვს და არც ეძებს სამუშაოს საშინაო საქმეებით დაკავებულობის გამო, აქ შედიან ასევე სტუდენტები და სამხედრო სამსახურში მყოფნი, ასევე საპენსიო ასაკის მოსახლეობა, რომელიც ჩაბმული არაა მეურნეობაში). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, მონაწილეობს რა საზოგადოებრივ წარმოების პრო-

ცესში, განაპირობებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობას, რაც ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთი ძირითად ინდიკატორს წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაზე დემოგრაფიული დაბერების ფაქტორი მოქმედებს.

დემოგრაფიული დაბერება წარმოადგენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ხანშიშესული და მოხუცი ადამიანების წილის ზრდას. დემოგრაფიული დაბერების მიზეზია ხანგრძლივი ცვლილებები მოსახლეობის აღწარმოების ხასიათში. ანსხვავებენ „დაბერებას ქვემოდან“, რომელიც შობადობის კლების შედეგად ბავშვების რაოდენობის შემცირებით განისაზღვრება და „დაბერებას ზემოდან“, რომელიც გამონვეულია მოხუცებულობის ასაკში მოკვდაობის დონის შემცირებით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით, რასაც მოჰყვება მოხუცი ადამიანების რაოდენობისა და წილის ზრდა. აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიულ დაბერებას ძირითადად განაპირობებს „დაბერება ქვემოდან“. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ნაკლებად მოქმედებს დემოგრაფიულ დაბერებაზე, ვინაიდან მისი განმაპირობებელი მოკვდაობის შემცირება ძირითადად ბავშვების ასაკს ეხება, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობს მოსახლეობის გაახალგაზრდავებას.

დემოგრაფიული დაბერება შემჩნეულ იქნა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ მისი მნიშვნელობის, მასშტაბებისა და მიზეზების გაცნობიერება მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. დემოგრაფიული დაბერების პროცესის შეფასებისათვის შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სკალაა ჟ. ბოჟე-გარნიეს მიერ შემუშავებული და ე. როსეტის მიერ განვითარებული სკალა:

ეფასი	50 დი ვერსის ძიანის ბრთა ქადაი (წმ) მოედ წოსახლეობაში	მოსახლეობის დაბერების ეფასები და დონეები
I	1-ზე ხალხი	დეპორტაციული სივსტევილე
I	2-დან 3-მდე	საბერის მიბველი ვაობიქე
II	4-დან 7-მდე	საჯორივსაბერის კაობიქე
IV	8-დან 9-ზე	დეპორტაციული საბერე
	10-დან 14-მდე	დეპორტაციული საბერეა სიწყისი დონე
	14-დან 18-მდე	საშუალო დონე
	18-დან 24-მდე	მაღალი დონე
	25-დან 30-ზე	ძალიან მაღალი დონე

აღნიშნული სკალის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ძალიან მაღალი დონე ფიქსირდება - 20,6 %, ხოლო 2010 წლისათვის იგი 18,3%-ით განისაზღვრებოდა.


65 წლისა და უფროსი ასაკის პირთა რაოდენობის ფარდობითი შეფასებისათვის გაეროს დემოგრაფიის მიერ შემუშავებულია სამ საფეხურიანი სკალა:

- 4% ნაკლები - ახალგაზრდა მოსახლეობა;
- 4-7% - მოსახლეობა სიბერის კარიბჭეზე;
- 7%-ზე მეტი - დაბერებული მოსახლეობა¹.

ამ სკალის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა 2018 წლისათვის დაბერებულად ითვლება (14,6%)

დემოგრაფიული დაბერების ორი ძირითადი ფაქტორი შეიძლება გამოვყოთ: სიკვდილიანობის (სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდა) და შობადობის შემცირება. აღნიშნული ფაქტორები თვალნათლივ არის გამოსახული საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდაზე.

დიაგრამა 1



1 გ. წულაძე, ა.სულაბერიძე, დემოგრაფიის საფუძვლები, თბ. 2015

პირამიდის ანალიზისას დიდი ყურადღება ექცევა როგორც მის ფორმას, ასევე მოსახლეობის ცალკეული ასაკობრივ-სქესობრივი ჯგუფების სიდიდეს. შობადობისა და სიკვდილიანობის მაღალი დონის შემთხვევაში პირამიდას ექნება განიერი ფუძე და ვიწრო თხემი. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ქვეყანაში შობადობის დონე არც თუ ისე მაღალია, რადგან როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში 0-4 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წევრთა რიცხოვნობას აჭარბებს ზედა ასაკობრივ ჯგუფებში მათი რიცხოვნობა. რაც მიუთითებს წინა წლებში შობადობის მაღალ დონეზე. პირამიდის გაშლილი წვერო კი მიუთითებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. სიკვდილიანობის დონის კლება, განსაკუთრებით ზედა ასაკობრივ ჯგუფებში პირამიდის წვეროს გაფართოებას იწვევს.


მოსახლეობა შეიძლება სამ ნაწილად დავაჯგუფოთ: 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე ნაკლები ასაკის), 15-65 წლამდე ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანი ასაკის) და 65 წლის ზემოთ ასაკის მოსახლეობა (შრომისუნარიანზე უფროსი ასაკის), რომელიც საპენსიო ასაკს წარმოადგენს. შრომისუნარიანი ასაკის პიროვნებას უწევს ორი დანარჩენი ასაკის, როგორც საპენსიო, ასევე შრომისუნარიან ასაკამდე ასაკობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია დიაგრამა 2-ზე:

დიაგრამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას უკავია.


ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობის არსებული დინამიკა კლების ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. (დიაგრამა 3).

სამუშაო ძალის რიცხოვნობამ 2018 წლის პირველ კვარტალში 1938,7 ათ. კაცი შეადგინა. 2000 წელთან შედარებით იგი 5,39%-ით, ხოლო 2017 წელთან შედარებით 2,23%-ით შემცირდა. მოსახლეობის რიცხოვნობა 2000 წელთან მიმართებაში კი შემცირდა 9,4%-ით.

დიაგრამა 2



დიაგრამა 3



ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) რიცხოვნობა წლების მიხედვით არათანაბრად ვითარდება. სწორი ტენდენციის გამოსავლენად, ზრდადია მწკრივი თუ კლებადი, საჭიროა იგი მოვასწოროდ. მოსწორებისას შეიძლება გამოვიყენოთ წრფივი ფუნქცია:

$$y_t = a_0 + a_1 t$$

სადაც, t წლებია

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum t = \sum y \\ a_0 \sum t + a_1 \sum t^2 = \sum ty \end{cases}$$

a_0 და a_1 პარამეტრების გასაანგარიშებლად ვიყენებთ ნორმალურ განტოლებათა სისტემას:

განტოლებათა სისტემის ამოხსნით ვგებულობთ პარამეტრების რიცხვით მნიშვნელობებს.

აღნიშნული განტოლების ამოსახსნელად შეიძლება მივმართოთ გაანგარიშების გამარტივებულ ხერხს, თუ ათვლას დინამიკური მწკრივის ცენტრში გადავიტანთ, მაშინ

$$\sum t = 0$$

$$\text{ამიტომ, } a_1 = \frac{\sum ty}{\sum t^2} \text{ და } a_0 = \frac{\sum y}{\sum t^2}$$

ცხრილი 1

წლები	y	t	y ²	t ²	yt
2009	1971,8	-5	9859	25	1986.16
2010	1970,9	-4	7883,6	16	1985.62
2011	1988,2	-3	4964,6	9	1987.08
2012	2004,5	2	4009	4	1984,54
2013	1978,6	1	1978,6	1	1984
2014	1984,6	1	1984,6	1	1984.92
2015	2018,0	2	4036	4	1982.38
2016	1996,2	3	5988,6	9	1981.84
2017	1983,1	4	7932,4	16	1981.3
2018	1938,7	5	9693,5	25	1980.76
Σ	19834,6	0	-59,7	110	19834,6

$a_0 = 1903,46$

$a_1 = 0,54$

$\hat{y}_t = a_0 + a_1 t = 1903,46 + 0,54 t$

განგარიშების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასიოდება.

ცხრილი 2

სამუშაო ძალა

ასაკი	ათ.კაცი	S _{med}
15-19	51,8	51,8
20-24	135,7	187,5
25-29	211,2	398,7
30-34	192,8	591,5
35-39	192,7	784,2
40-44	198,8	983
45-49	188,2	1171,2
50-54	214,7	1385,9
55-59	210,9	1596,8
60-64	155,3	1752,1

$$\bar{X}_{\text{საფ.}} = x_{\text{საფ.}} + h_{\text{საფ.}} \frac{f_{\text{საფ.}} - f_{\text{საფ. 1}}}{(f_{\text{საფ.}} - f_{\text{საფ. 1}}) - (f_{\text{საფ. 1}} - f_{\text{საფ. 2}})} \approx 66 \text{ წელს}$$

$$\bar{X}_{\text{საფ.}} = x_{\text{საფ.}} + f_{\text{საფ.}} \frac{\sum_{i=1}^k s_i x_i - 1}{f_{\text{საფ.}}} \approx 45,2 \text{ წელს}$$

სამუშაო ძალის მოდალური ასაკი 66 წლით განისაზღვრა, მაშასადამე დასაქმებულთა შორის ყველაზე მეტი ამ ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობაა, თუმცა რეალურად ამ ასაკის მოსახლეობის 76,2% თვითდასაქმებულია. მედიანური ასაკი 45 წელს შეადგენს (მედიანა რანჟირებული მწკრივის შუამდებარე წერია). გაანგარიშებები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირება დემოგრაფიული დაბერების ფონზე მიმდინარეობს.

ასაკობრივი სტრუქტურის დასახასიათებლად სტატისტიკაში გამოიყენება დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის განზოგადებულ რაოდენობრივ მახასიათებელს. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ დემოგრაფიული დატვირთვის დონე და სტრუქტურა ყოველ 1000 შრომისუნარიან პიროვნებაზე. საქართველოს მაგალითზე დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები შემდეგ მნიშვნელობებს ღებულობენ:

ზავშევბით დატვირთვის მაჩვენებელი:

2010 წლისათვის $k_1 = \frac{3-10}{3,2-20} 1000 = 263,9$; 2016 წლისათვის - 314,1; 2018 წლისათვის - 336,2 ზავშეა.

ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი:

2010 წლისათვის $k_2 = \frac{50}{3,2-20} 1000 = 283,9$; 2016 წლისათვის - 428,8; 2018 წლისათვის - 447,3 ზანდაზმული

საერთო დატვირთვის კოეფიციენტი:

$k_3 = \frac{3,2-10}{3,2-20} 1000 = k_1 + k_2 = 547,8$; 2016 წლისათვის - 642,9; 2018 წლისათვის - 683,5 ზავშეა და ზანდაზმული

დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი განისაზღვრება 15 წლამდე ბავშვების, შრომისუნარიანი და საპენსიო ასაკის მოსახლეობის ურთიერთშეფარდების საფუძველზე. ეს მარტივი მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენი არასრულწლოვანისა და პენსიონერის უზრუნველყოფა უწევს შრომისუნარიან ადამიანს. დინამიკაში იზრდება როგორც კერძო, ასევე საერთო დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები. ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი აჭარბებს ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტს თავისი მნიშვნელობით.

ზემოთ ასაკის მოსახლეობას უჭირავს. ამიტომ, დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის მეშვეობით ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობის დახასიათება რთულია.

საერთო დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა პირი, რომელიც 15 წელზე უმცროსია და პენსიონერია არაპროდუქტიულია, ხოლო 15 წლის ასაკიდან 60 წლის ასაკის ჩათვით პროდუქტიული, რაც რეალურად ასე არაა. დაბალგანვითარებულ ქვეყნებში დასაქმებულთა შორის მნიშვნელოვანი წილი სწორედ 15 წლამდე და 60 წლის

საქართველო, როგორც დემოგრაფიული თვალსაზრისით გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყანა, საგულისხმო გამოწვევების წინაშე დგას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის განყოფილების (UNPD) პროგნოზით, საქართველოში 65 და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც 2015 წელს 14 პროცენტი იყო, 2030 წლისათვის 19 პროცენტამდე გაიზრდება. პროგნოზით მოსალოდნელია სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი ზრდა: თუ 2012 წელს საქართველოში ქალის სიცოცხლის ხანგრძლივობა 79 წელი, ხოლო მამაკაცის — 70 წელი იყო, 2030 წლისთვის რიცხვები, შესაბამისად, 80.6 და 74.1 წლამდე გაიზრდება. დღევანდელი შრომითი ბაზარი ხანდაზმული მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობაში არ